საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
Известия Национальной Академии Наук Грузии
Proceedings of the Georgian National Academy of Sciences

ბიომედიცინის სერია
БИОМЕДИЦИНСКАЯ СЕРИЯ
BIOMEDICAL SERIES

2020 № 5-6

ტომი
том
VOL. ***46***

ჟურნალი დაარსებულია 1975 წელს
Журнал основан в 1975 году
Founded in 1975

თბილისი Тбилиси Tbilisi
2020

სარედაქციო კოლეგია

ნოდარ მითაგვარია (მთავარი რედაქტორი)
თემურ ნანეიშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე)
გურამ ბექაია (მთ. რედაქტორის მოადგილე)
თამარ დომიანიძე (სწ. მდივანი)

ნუგზარ ალექსიძე — *ოლღა ლავრიკი (რუსეთი)*
ჯეიმს ბიჩერი (აშშ) — *ილია ლაზრიშვილი*
ეგორ ვასეცკი (საფრანგეთი) — *დავით მიქელაძე*
მერაბ კოკაია (შვედეთი) — *დავით ნადარეიშვილი*
ბორის კორსანტია — *სერგეი რაზინი (რუსეთი)*
პატრიკ კურმი (საფრანგეთი) — *რომან შაქარიშვილი*

სარედაქციო საბჭო

ნაირა აივაზიანი (სომხეთი) — *ლავრენტი მანაგაძე*
ივან დემჩენკო (აშშ) — *დავით მეტრეველი*
ზურაბ ვადაჭკორია — *ზურაბ ქევანიშვილი*
დმიტრი ვასილენკო (უკრაინა) — *ნინო ცისკარიშვილი*
ოთარ თოიძე — *ალექსანდრე ცისკარიძე*
არჩილ კეზელი — *დიმიტრი წვერავა*
ირინე კვაჭაძე — *ბეჭან წინამძღვრიშვილი*
დიმიტრი კორძაია — *არჩილ ხომასურიძე*
ფელიქს მაკაროვი (რუსეთი) — *ულდუზ ჰაშიმოვა (აზერბაიჯანი)*

კორექტორი: დ. სონაძე *კომპიუტერული დიზაინი და დაკაბადონება: ა. სურმავა*

ეს ნომერი გამოცემულია
ი. ბერიტაშვილის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების დაფინანსებით
თბილისი, 0160, ლ. გოთუას 14

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Н. Митагвария (гл. редактор)
Т. Нанейшвили (зам. гл. редактора)
Г. Бекая (зам. гл. редактора)
Т. Домианидзе (уч. секретарь)

Нугзар Алексидзе
Джеймз Бичер (США)
Егор Васецки (Франция)
Мераб Кокая (Швеция)
Борис Корсантия
Патрик Курми (Франция)
Ольга Лаврик (Россия)
Илья Лазришвили
Давид Микеладзе
Давид Надарейшвили
Роман Шакаришвили
Сергей Разин (Россия)

РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

Наира Айвазян (Армения)
Зураб Вадачкория
Дмитрий Василенко (Украина)
Иван Демченко (США)
Ирина Квачадзе
Зураб Кеванишвили
Арчил Кезели
Дмитрий Кордзая
Феликс Макаров (Россия)
Лаврентий Манагадзе
Давид Метревели
Отар Тоидзе
Улдуз Хашимова (Азербайджан)
Арчил Хомасуридзе
Дмитрий Цверава
Бежан Цинамдзгвришвили
Александр Цискаридзе
Нино Цискаришвили

Корректор: *Д. Сохадзе* *Компьютерный дизайн и верстка: А. Сурмава*

Издано Обществом физиологов Грузии им. И.С. Бериташвили
Тбилиси, 0160, ул. Л. Готуа, 14

EDITORIAL BOARD

N. Mitagvaria (Editor-in-Chief)
T. Naneishvili (Vice-Editor)
G. Bekaya (Vice-Editor)
T. Domianidze (Scientific Secretary)

Nugzar Aleksidze
James Bicher (USA)
Patrick Curmi (France)
Merab Kokaia (Sweden)
Boris Korsantia
Olga Lavrik (Russia)
Ilia Lazrishvili
David Mikeladze
David Nadareishvili
Sergey Razin (Russia)
Roman Shakarishvili
Egor Vassetzky (France)

ADVISORY BOARD

Naira Aivazian (Armenia)
Ivan Demchenko (USA)
Zurab Kevanishvili
Ulduz Khashimova (Azerbaijan)
Archil Khomasuridze
Dmitri Kordzaia
Felix Makarov (Russia)
Lavrenty Managadze
David Metreveli
Archil Kezeli
Irina Kvachadze
Otar Toidze
Alexander Tsiskaridze
Nino Tsiskarishvili
Bezhan Tsinamdzgvrishvili
Dmitry Tsverava
Zurab Vadachkoria
Dmitry Vasilenko (Ukraine)

Proof-reader: *D. Sokhadze* *Computer design and make-up: A. Surmava*

Published by I. Beritashvili Georgian Physiologists Society
14, L. Gotua Str., Tbilisi, 0160

ჟურნალი ეძღვნება გამოჩენილი მეცნიერის, ბიოფიზიკოსის, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტის დამაარსებლის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

მალხაზ ზაალიშვილის

დაბადებიდან 100 წლისთავს

Журнал посвящен 100-летию со дня рождения выдающегося ученого, биофизика, основателя Института молекулярной биологии и биофизики, академика Национальной Академии наук Грузии, заслуженного деятеля науки, доктора биологических наук, профессора

Малхаза Заалишвили

The journal is dedicated to the 100th anniversary of the birth of an eminent scientist, biophysicist, founder of the Institute of Molecular Biology and Biophysics, Academician of the Georgian National Academy of Sciences, Honored Scientist, Doctor of Biological Sciences, Professor

Malkhaz Zaalishvili

ძალხაზ ზაალიშვილი

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

სახელოვანი მამულიშვილი აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი - 100

მრავალმხრივ გამორჩეული ადამიანის, დიდი მეცნიერის, დიდი ბიოფიზიკოსის, აკადემიკოს მალხაზ ზაალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითოა ყველა ქართველისთვის. გასული საუკუნის 50-იანი, 60-იანი წლების მიჯნაზე ბატონი მალხაზ ზაალიშვილის ძალისხმევით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის განვითარებას. მოგვიანებით, მან დააარსა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი, აგრეთვე, ბიომაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბატონმა მალხაზმა შექმნა თავისი სკოლა, იყო საქართველოში ბიოლოგიური მაკრომოლეკულების ფიზიკურ-ქიმიური კვლევების ფუძემდებელი. აკადემიკოს მალხაზ ზაალიშვილის შრომები კუნთის ფიზიკურ-ქიმიური ორგანიზაციის კვლევის სფეროში ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს.

მალხაზ ზაალიშვილს ჰქონდა მრავალმხრივი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. 1941 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი ფიზიკური ქიმიის სპეციალობით. ამასთან, ქიმიის ფაკულტეტზე სწავლის პარალელურად, როგორც თავისუფალმა მსმენელმა, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზეც გაიარა სრული კურსი. გამორჩეულმა სტუდენტმა, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური ხელისშემშლელი მიზეზებიდან გამომდინარე, მხოლოდ 3 წლის შემდეგ, 1944 წლიდან შეძლო სწავლის გაგრძელება ასპირანტურაში ბიოქიმიის სპეციალობით. ბიოქიმიის მიმართულების არჩევა კი მნიშვნელოვნად განაპირობა ცნობილი მეცნიერის, უნიჭიერესი ბიოქიმიკოსის, ქართლოს ახვლედიანის სამეცნიერო ინტერესებმა და პიროვნულმა ხიბლმა. 1946 წლიდან შესაძლებლობა მიეცა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა გაეგრძელებინა მოსკოვში, გამოჩენილი მეცნიერის, ვლადიმერ ენგელგარდტის ხელმძღვანელობით. ამ შესანიშნავ, მაღალი დონის მეცნიერთან და ინტელექტუალთან ურთიერთობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მალხაზ ზაალიშვილის შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება – ბიოლოგიური ძვრადობის პრობლემების კვლევა, რაც სხვა ბევრ საკითხთან ერთად, სიცოცხლის ბოლო დღემდე მისთვის შეუცვლელ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ ბატონ ენგელგარდტს ხშირად „სამეცნიერო მოძღვრად“ მოიხსენიებდა და მის ფოტოს ათეული წლების განმავლობაში, სიცოცხლის ბოლომდე,

სამუშაო მაგიდაზე უცვლელი, განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა განკუთვნილი. 1949 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. აკადემიკოსმა ენგელგარდტმა ახალგაზრდა მეცნიერს მოსკოვში დარჩენა და ლაბორატორიის ხელმძღვანელობა შესთავაზა, მაგრამ მისთვის, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილისა და პატრიოტისთვის, სხვა არჩევანი არ არსებობდა, გადაწყვეტილი ჰქონდა სამშობლოში დაბრუნება. მით უმეტეს, რომ საქართველოში მეუღლე და ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, შურა გველესიანი ელოდა, რომელიც თავად სამეცნიერო-აკადემიური სფეროს წარმომადგენელი, ბატონი მალხაზის მთელი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განმავლობაში, ასპირანტობიდან აკადემიკოსობამდე, მისი სამეცნიერო ნიჭის თაყვანისმცემელი და საქმიანობის თავდაუზოგავი მხარდამჭერი იყო. მალე ვაჟი, თენგიზ ზაალიშვილი – მისი გვარის და სამეცნიერო საქმიანობის ერთგული და წარმატებული გამგრძელებელი, ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მოევლინა.

საქართველოში სამეცნიერო გზის დასაწყისი რთული აღმოჩნდა. 1951 წელს მალხაზ ზაალიშვილი იძულებული გახდა თბილისიდან გორში გადასულიყო და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაეგრძელებინა საქმიანობა, სადაც დოცენტის თანამდებობა ეკავა და კითხულობდა ლექციებს არაორგანულ, ორგანულ და ფიზიკურ ქიმიაში. ბატონი მალხაზი 1956 წელს დაბრუნდა თბილისში და მუშაობა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

გასული საუკუნის 50-იან წლებში, როცა ჩვენში ფეხს იდგამდა მეცნიერების ახალი დარგი – ბიოფიზიკა, მ. ზაალიშვილმა, პირველმა, შეადგინა ბიოლოგიური ფიზიკის ზოგადი კურსის პროგრამა და 1956 წლიდან უძღვებოდა ბიოლოგიური ფიზიკის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1962 წელს, ამავე უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე მან ჩამოაყალიბა სპეციალიზაცია „ბიოფიზიკა“, რომლის ბაზაზე შემდგომში შეიქმნა მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა, სადაც იგი კითხულობდა ლექციებს ზოგად და უჯრედის ბიოფიზიკაში, ასევე, მოლეკულურ ბიოლოგიაში. 1962 წელს, დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის ინიციატივით ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაარსდა საქართველოში ბიოფიზიკის პირველი ლაბორატორია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა უკვე გამოცდილი მეცნიერი მალხაზ ზაალიშვილი. სწორედ ამ დროიდან უკავშირდება მის სახელს საქართველოში თანამედროვე ბიოლოგიის ისეთი დარგების განვითარება, როგორიცაა ბიოფიზიკა და მოლეკულური ბიოლოგია.

დიდმა მეცნიერულმა და ორგანიზატორულმა ნიჭმა მალხაზ ზაალიშვილს საშუალება მისცა თავის გარშემო შემოეკრიბა მკვლევართა დიდი კოლექტივი, რომელიც მაღალ დონეზე შეისწავლიდა ბიოფიზიკის თანამედროვე

საკითხებს. ლაბორატორიაში დამუშავებული პრობლემების აქტუალობამ და მნიშვნელობამ განაპირობა მისი ბიოფიზიკის სექტორად გარდაქმნა. 1986 წელს კი სექტორის ბაზაზე დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის პირველ დირექტორად ბატონი მალხაზ ზაალიშვილი იყო არჩეული და იგი მას 2000 წლამდე შეუცვლელად ხელმძღვანელობდა. ეს, ფაქტობრივად, მალხაზ ზაალიშვილის ხელმძღვანელობით მიღებული სამეცნიერო კვლევების შედეგების დიდი მნიშვნელობის აღიარება და დადასტურება იყო. დღეს ინსტიტუტი ფუნქციობას განაგრძობს ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ფარგლებში.

1972 წელს მალხაზ ზაალიშვილმა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1974 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება ბიოფიზიკაში. 1979 წელს მალხაზ ზაალიშვილი არჩეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1990-2004 წლებში იგი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 2004–2006 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი.

ბატონი მალხაზის ხელმძღვანელობით მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში კვლევები წარმოებდა თანამედროვე ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებით, როგორიცაა: ბიოლოგიური მოძრაობის ბიოფიზიკა, ბიოლოგიური მაკრომოლეკულების ფიზიკა-ქიმია, გენომის მოლეკულური ორგანიზაცია.

1963-1968 წლებში, პირველად, მალხაზ ზაალიშვილის ხელმძღვანელობით დადგენილ იქნა, რომ მიტოქონდრიები არ შეიცავს მიოზინის მსგავს ცილას და ამდენად, მიტოქონდრიების მოცულობის ცვლილება არ ეფუძნება აქტინ-მიოზინის ურთიერთქმედებას, რაც შემდგომში დაადასტურეს ამერიკელმა მეცნიერებმა. გაჯირჯვებული მიტოქონდრიის შეკუმშვა განპირობებულია ინოზიტოლ ფოსფატიდით, რომელიც ააქტივებს არამიოზინურ ATP-აზას. ამით შეიცვალა აზრი იმის შესახებ, რომ მიტოქონდრიების მოცულობის ცვლილებას შეეძლო დიდი სამსახური გაეწია კუნთის შეკუმშვის მექანიზმის შესწავლის საქმეში.

მალხაზ ზაალიშვილისა და თანამშრომლების მიერ დაწვრილებით იქნა შესწავლილი მოდიფიცირებული მეთოდით მიღებული სუფთა α-აქტინინის და სხვა ცილების მოლეკულის ზომები და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. პირველად, ნაჩვენებ იქნა, რომ α-აქტინინის მოლეკულა შედგება ორი იდენტური სუბერთეულისგან და თითოეული მათგანი შეიცავს ორ ასიმეტრიულად განლაგებულ დომენს. მოლეკულური ბიოლოგიის მე-

თოდებით, პირველად დადგინდა α-აქტინინის N-ნახევრის (30 კდ) ამინომჟავური თანმიმდევრობა (პირველადი სტრუქტურა), რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ცილის შემდგომი კვლევისთვის.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ცნობილი გახდა, რომ კუნთი, გარდა ძირითადი შეკუმშვადი ცილებისა, შეიცავს დიდი მოლეკულური მასის მქონე ე.წ. გიგანტურ ცილებს: ტიტინს, ნებულინს და გლუვ კუნთში აღმოჩენილ ცილას – სმიტინს. ჯერ კიდევ 1984 წელს, მალხაზ ზაალიშვილის ხელმძღვანელობით, რენტგენოსტრუქტურული მეთოდით დადგენილი იყო, რომ გიგანტური ცილა ტიტინი შეიცავს კოლაგენის ტიპის ფრაგმენტს. ეს მონაცემები ადასტურებს, რომ ტიტინის მოლეკულის ორი მესამედი წარმოადგენილია β-სტრუქტურის, ხოლო ერთი მესამედი – მარცხენა სპირალის სახით. დამუშავდა ნატიური სუფთა ტიტინის მიღების მეთოდი და შესწავლილ იქნა მისი ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური თვისება. პირველად, მალხაზ ზაალიშვილისა და თანამშრომლების მიერ, ნაჩვენები იყო, რომ გიგანტური ცილა სმიტინი შედის არაკუნთოვანი უჯრედების შემადგენლობაში (ტვინი, ღვიძლი).

60-იანი წლებიდან მალხაზ ზაალიშვილი იწყებს მუშაობას კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე. ის ინტენსიურად იკვლევს იმ პროცესების მარეგულირებელ ფერმენტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს გენეტიკური ინფორმაციის გადაცემას. კერძოდ, მისი ხელმძღვანელობით შეისწავლება ის ფერმენტები, რომლებიც არეგულირებს რეპლიკაციისა და ტრანსკრიპციის პროცესებს არქიბაქტერიებსა და ეუკარიოტებში.

მალხაზ ზაალიშვილისა და თანამშრომლების მიერ გამოყოფილი და გასუფთავებულ იქნა დნმ-დამოკიდებული რნმ-პოლიმერაზა ვირთაგვის თავის ტვინის ბირთვებიდან. თერმოფილური ორგანიზმებიდან მიღებული იყო თერმოსტაბილური დნმ-დამოკიდებული დნმ-პოლიმერაზას სუფთა პრეპარატი, რომლის შეზღუდული ჰიდროლიზის შედეგად გამოყოფილ იქნა დაბალმოლეკულური ფრაგმენტი. ეს უკანასკნელი კი გამოყენებული იყო შიდსის დიაგნოსტიკაში.

70-იანი წლებიდან მალხაზ ზაალიშვილი თანამშრომლებთან ერთად იწყებს ამინომჟავების შემცველი ახალი ტიპის მაღალმოლეკულური ნაერთების ქიმიური სინთეზის კვლევას (ბუნებრივი ცილების სინთეზური ანალოგები), შემუშავდა ჰეტეროჯაჭვური პოლიმერების სინთეზის ახალი მეთოდი, ე.წ. „აქტივირებული პოლიკონდენსაცია“, რომელიც, პოლიმერების სინთეზის აქამდე ცნობილ ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით, გამოირჩევა თავისი სიმარტივით. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა სინთეზირებულ იქნას პოლიმერული მატარებელი ხანგრძლივი მოქმედების სამკურნალო პრეპარატებისა და ადვილად განწოვადი სამედიცინო დანიშნულების პოლიმერების მისაღებად, რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ ძვირადღირებული ბუნებრივი წარმოშობის მასალები.

სამეცნიერო კვლევების განხორციელების პროცესში, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მთელი რიგი ორიგინალური მეთოდები და დანადგარები, მათ შორის: დანადგარი, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდა ერთი და იგივე სინჯში, ერთდროულად განსაზღვრულიყო შეკუმშვადი სისტემის სუსპენზიის სუპერპრეციპიტაციისა და ATP-აზური რეაქციის სიჩქარე, რამაც შესაძლებელი გახადა ბიოლოგიური ძვრადობის ჭეშმარიტი მექანიზმის დადგენა; კონსტრუირებული იყო კალორიმეტრი, რომლის გამოყენებით დადგენილ იქნა მრავალი მაღალმოლეკულური, ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ნაერთების (დნმ, კუნთის ცილები) ლღობის პროცესის თერმოდინამიკური პარამეტრები და სხვ.

მალხაზ ზაალიშვილის მიერ დადგენილი ექსპერიმენტული ფაქტები და მოვლენები შევიდა 1971 წელს გამოცემულ მის მონოგრაფიაში – „კუნთის შეკუმშვის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები“, რომელიც დღესაც ითვლება სამაგიდო წიგნად სპეციალისტებისთვის. ჟურნალ ბიოქიმიაში (Биохимия АН СССР, т. 39, №3, стр. 672-673, 1974) გამოქვეყნებული რეცენზიის თანახმად, მალხაზ ზაალიშვილის მონოგრაფია „შეიძლება განხილულ იქნას ბოლო წლებში გამოქვეყნებულ კუნთის შეკუმშვის ფიზიკურ-ქიმიური პრობლემებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებს შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფუნდამენტურ მონოგრაფიად, რომელშიც ავტორი აყალიბებს ბიოლოგიური ძვრადობის მნიშვნელოვან პრობლემებს, ხოლო მის დასკვნით ნაწილში გამოყოფს უახლოეს მომავალში შესასწავლ საკითხებს“.

აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი არის 14 გამოგონების და 250 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 10 სადოქტორო და 45 საკანდიდატო დისერტაცია. პირადად ბატონი მალხაზი და მისი ხელმძღვანელობით თანამშრომლები უშურველად ეხმარებოდნენ სხვადასხვა ინსტიტუციების წარმომადგენლებს სამეცნიერო კვლევების განხორციელებაში.

მალხაზ ზაალიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბიოტექნოლოგიისა და ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის პრობლემების საუწყებათაშორისო სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს „ბიოლოგიური სისტემების ფუნქციობის ფიზიკური პრინციპები“-ს ბიოლოგიური მოძრაობის სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ და ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ რედკოლეგიების წევრი, მრავალი წლის განმავლობაში ორი საკავშირო ჟურნალის – „ბიოფიზიკა“ და „მოლეკულური ბიოლოგია“ სარედაქციო საბჭოების წევრი, „სევი“-ს წევრი ქვეყნების საკოორდინაციო ცენტრის ექსპერტი.

აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი იყო კუნთის შეკუმშვის ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის საკითხებისადმი მიძღვნილი მეორე (1968 წ.), მეოთხე (1974 წ.) და მერვე (1987 წ.) სიმპოზიუმების ორგანიზატორი, ამიერკავკასიის I, II და III რეგიონალური სკოლის ხელმძღვანელი (მიეძღვნა მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის მნიშვნელოვან თემას – „ბიოლოგიური მაკრომოლეკულების სტრუქტურა და ფუნქცია“), მრავალი საერთაშორისო და საკავშირო სიმპოზიუმის, ყრილობისა და კონგრესის მონაწილე, სადაც მისი მოხსენებები მაღალ შეფასებას იმსახურებდა, მათ შორის: კემბრიჯში გამართული სიმპოზიუმის (მიეძღვნა ბიოლოგიური ფიზიკის პრობლემებს, 1968 წ.), ბიოფიზიკოსთა მეორე (ვენა, 1966 წ.), მესამე (ბოსტონი, აშშ, 1969 წ.) და მეოთხე (მოსკოვი, 1972 წ.) საერთაშორისო კონგრესების, „სევის“ ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის პროგრამის ექსპერტების სამეცნიერო კონფერენციის (პრაღა, 1985 წ.) და სხვ.

წლების განმავლობაში ბატონი მალხაზი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას და თავდაუზოგავად ზრუნავდა აღნიშნული ბიბლიოთეკის ფუნქციობის გასაუმჯობესებლად, რასაც უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერთა და სტუდენტთა წარმატებული საქმიანობისთვის.

დიდია მალხაზ ზაალიშვილის, როგორც პედაგოგისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის ამაგი საქართველოში ბიოფიზიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალისტთა თაობების აღზრდის საქმეში, მისი მოსწავლეები წარმატებით საქმიანობენ საქართველოს და უცხოეთის მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო აკადემიურ დაწესებულებებში. აკადემიკოს მალხაზ ზაალიშვილის, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორის საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობის განვითარებას შესაბამის ინსტიტუციებში. მისი საოცარი ორგანიზაციული უნარი, დაუცხრომელი ენერგია, ენთუზიაზმი და მაღალი პროფესიონალიზმი ყოველთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა კოლეგებისთვის, თანამშრომლებისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მკვლევარებისთვის.

ბატონი მალხაზის განვლილი გზა სამაგალითო და სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა მისი შთამომავლებისთვის. უფროსი შვილიშვილი გიორგი ზაალიშვილი, მაღალი კვალიფიკაციისა და მაღალი რანგის მეცნიერი მოლეკულური ბიოლოგიის სფეროში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს სამეცნიერო წრეებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მისი ნაშრომები იბეჭდება მსოფლიოს პრესტიჟულ, მაღალრეიტინგულ აკადემიურ გამოცემებში. მეცნიერის რთული და საპასუხისმგებლო გზა, ოღონდ სრულიად განსხვავებული მიმართულებით, აირჩია მისმა კიდევ ერთმა შვილიშვილმა ირაკლი კობახიძემ – განახლებული,

ქვეყნის თვისებრივად ახალი მთავარი კანონის, ჭეშმარიტად ევროპული სტანდარტების კონსტიტუციის შემოქმედმა და ავტორმა.

მალხაზ ზაალიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების ობიექტურ შეფასებაში. ის იყო 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და ამავე კომისიის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვეკომისიის თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით დადგენილ იქნა 3 მომწამვლელი ნივთიერება – ქლორაცეტოფენონი, სი-ესი (CS) და ქლორპიკრინი, რომლებიც საბჭოთა ჯარის მიერ გამოყენებული იყო მშვიდობიანი მიტინგის დარბევისას. კვლევებში მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად, თვითონაც უშუალოდ იყო ჩართული. ქვეკომისიის მიერ გაწეულ სამუშაოთა დასკვნაში, რომელსაც ხელს მალხაზ ზაალიშვილი აწერდა (გამოქვეყნებულია 1989 წლის 23 მაისს, გაზეთ „კომუნისტში“), დაფიქსირებული იყო: „ჯარების მიერ რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული იყო ყოვლად გაუმართლებელი ბარბაროსული აქცია ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენებით, რომელთა გამოყენების არც მორალური, არც იურიდიული უფლება მათ არ ჰქონდათ.“ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ამ შედეგების გამოქვეყნებას დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა სჭირდებოდა. ქვეკომისიის საქმიანობის შედეგად დადგენილი ფაქტები უყოყმანოდ იქნა აღიარებული საკავშირო კომისიის მიერ, რომელსაც ანატოლი სობჩაკი თავმჯდომარეობდა. მაშინ არავინ იცოდა, დაიშლებოდა თუ არა საბჭოთა კავშირი და თუ დაიშლებოდა, როგორი იქნებოდა ნგრევის პროცესი, რა სახის რეპრესიით შეეხებოდა ის თითოეულ ადამიანს და განსაკუთრებით მას, ვინც მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ამ პროცესში თავმჯდომარის პოზიცია და ქმედებები იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის – ქვეკომისია დიდი წნეხის პირობებში მუშაობდა და სწორედ თავმჯდომარეს უნდა გამოეჩინა განსაკუთრებული სიმტკიცე, რათა გამკლავებოდა ზეწოლის თითოეულ გამოვლინებას. მალხაზ ზაალიშვილმა ეს მისია პირნათლად და ღირსეულად შეასრულა. აღსანიშნავია, რომ კომისიის საქმიანობის შედეგების უაღრესად დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გარდაცვლილთა ნივთებს, როგორც მტკიცებულებებს ის წლების განმავლობაში ინახავდა ლაბორატორიაში. პასუხისმგებლობის გაცნობიერებასთან ერთად, მისთვის ეს იყო მუდმივი ტკივილითა და სევდით გაჯერებული წლები.

1997 წელს აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი დაჯილდოვდა „საქართველოს ღირსების“ ორდენით.

სიცოცხლის ბოლომდე ბატონი მალხაზი გარშემომყოფთ ანცვიფრებდა შესაშური მეხსიერებით, უშრეტი ენერგიით, მეცნიერული შორსმჭვრეტელობით, ყოველივე ახლის შემეცნებისა და შენებისკენ დაუოკებელი სწრაფვით, რასაც თავად მისი სამი მთავარი თვისებით ხსნიდა: არ

იცოდა, რა იყო დაღლა; არ იცოდა, რა იყო შური; არ იცოდა, რა იყო შიში.

თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე, არაერთი ტრაგედია და მძიმე გამოცდა მოუვლინა განგებამ, თუმცა, არ საუბრობდა მათზე, გამოუსწორებელი ოპტიმისტი იყო. რამდენიმე მძიმე ეპიზოდი თუ გაუხსენებია მისი ცხოვრებიდან, ისიც, სიბერეში, 90 წლის შემდეგ.

დაიბადა მცხეთაში, დედულეთში, 1920 წლის 27 სექტემბერს, დამოუკიდებელ საქართველოში. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, როცა პატარა მალხაზი სულ რამდენიმე თვის იყო, მშობლებმა ახალი რეჟიმიდან თავის დაღწევის მიზნით, საფრანგეთში გამგზავრება გადაწყვიტეს. თუმცა, უკვე გემზე ასულმა დედამ, თავადის ქალმა რუსუდან გედევანიშვილმა, რომლის ოჯახს უდიდესი მატერიალური და სულიერი ზიანი მიადგა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, გამგზავრების გადაწყვეტილებამდეც და მერეც, ვერ გაუძლო სამშობლოს დატოვებით გამოწვეულ ტკივილს და გემის დაძვრამდე რამდენიმე წუთით ადრე, მეუღლესთან ერთად გემბანი დატოვა და სახლში დაბრუნდა. ბავშვობის სანუკვარ პერიოდად ბებიასთან, დარია ფალავანდიშვილთან მცხეთაში გატარებულ დროს თვლიდა, ამიტომ მისთვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო მცხეთა, დედათა მონასტერი, სადაც მოინათლა და სიყრმის ნათესავ-მეგობრები ჰყავდა. დიდი სურვილი ჰქონდა მცხეთაში ეცხოვრა და უკანასკნელი სასუფეველიც იქ დაედო, მაგრამ ვერ აისრულა ოცნება.

სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა, განსაკუთრებით მათემატიკა უყვარდა. შესანიშნავი მასწავლებელი ჰყავდა – ვასო აბდუშელიშვილი. მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაბარება გადაწყვიტა, მაგრამ ვერ ჩააბარა, იმ წელს ყველა ადგილი მედალოსნებმა შეავსეს. ლექსებს ვერ ან არ სწავლობდა ზეპირად და ამის გამო, ცნობილ მასწავლებელს, ვარო ვარდიაშვილს ხუთოსანი მოსწავლისთვის ქართულში სამიანი გამოუყოლებია. ასე მოხვდა ქიმიის ფაკულტეტზე, მაგრამ ამას არ დაუბრკოლებია ქიმიასთან ერთად, მათემატიკისა და ფიზიკის შესწავლა არ მიუტოვებია.

სტუდენტობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა. ყველას უჭირდა, ზაალიშვილების ოჯახსაც. მალხაზმა უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად ვერაზე მდებარე ბუკინისტურ მაღაზიაში დაიწყო მუშაობა. სულმოუთქმელად ელოდა პირველ ხელფასს, რომელსაც ფაქტობრივად შიმშილისგან უნდა ეხსნა. ამ პერიოდში მაღაზიამ მისთვის ძალიან საინტერესო რამდენიმე წიგნი მიიღო. წიგნები რომ ეყიდა, თითქმის მთელ ხელფასზე უარი უნდა ეთქვა და ეშიმშილა. ასეც მოიქცა – წიგნები იყიდა... და ასე იყო შემდეგაც, მატერიალური გასაჭირის მიუხედავად, ფულადი ანაზღაურების ნაცვლად, მისივე თხოვნით, ხშირად წიგნი მიჰქონდა სახლში, ამიტომ რუდუნებით შექმნილი პირადი ბიბლიოთეკის თაროებზე მოთავსებულ თითოეულ წიგნს, თითქოს ფიზიკურ გადარჩენაზე სულიერი

გადარჩენის (რასაც მალხაზი განათლებაში ხედავდა), გამარჯვების განცდა ახლდა თან. გენეტიკურად ასეთი იყო, წიგნის და მეცნიერების სიყვარული ოჯახიდან დაჰყვა, მამა პედაგოგი და ეკონომისტი, ფართო განათლების მქონე ადამიანი გახლდათ, დედა – პედაგოგი და ბიბლიოგრაფი.

ბატონი მალხაზის ბიბლიოთეკაში გამორჩეული ადგილი ეკავათ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთ პირველ ეგზემპლარს და ავტობიოგრაფიულ რომანს „გორა მბორგალი“. პირველ მათგანს ავტორის წარწერა ამშვენებს: „შურას და მალხაზს! რა არ მოხდება ქვეყანაზე, არა?“. მეორე მათგანში კი, ციხიდან ჭაბუას ერთ-ერთი გაქცევაა აღწერილი, თუ როგორ შეიფარეს მძიმე ბრალდებით პატიმრობამისჯილი და საპატიმრო ადგილიდან გაქცეული მეგობარი საკუთარ სახლში მალხაზმა და მისმე მეუღლემ. ეს სისხლიანი 40-იანი წლებში იყო, როცა მსგავს საქციელზე ადამიანებს დახვრეტა თუ არა, გაციმბირება მაინც ელოდათ. მალხაზს „კარზე კაკუნის“ და სიკვდილის შიში მეგობრის ერთგულებამ და სიყვარულმა დააძლევინა. ესეც, ამ პიროვნების თვალსაჩინო ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი „დეტალია“.

შიშის გრძნობა არც შემდგომ პერიოდში ჰქონია, ყოველთვის აქტიური და ღირსეული მოქალაქეობრივი პოზიცია ეკავა. მისთვის, როგორც მოქალაქისა და მეცნიერისთვის, უმძიმესი აღმოჩნდა „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდიც. ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ გამართული არც ერთი საპროტესტო აქცია არ გამოუტოვებია და ყოველთვის პოულობდა საშუალებას, გამოეხატა უკომპრომისო პოზიცია ხელისუფლების არამართებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. ის შეურიგებელი იყო ამ პერიოდში სამეცნიერო სისტემაში განხორციელებულ გაუაზრებელ რეფორმებთან, რაც მის მიერ დაფუძნებულ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტსაც შეეხო – ყოველგვარი დასაბუთებისა და სტრატეგიის გარეშე ინსტიტუტი ლიკვიდირებულ იქნა. როგორც თავად ამბობდა, მესამე შვილი მოუკლეს.

ძნელბედობებისა და მრავალი სუბიექტური და ობიექტური წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც არ განელებია სამეცნიერო კვლევის დაუცხრომელი ინტერესი. სიცოცხლის ბოლო წლებში, როგორც სამეცნიერო კონსულტანტი, აქტიურად მოღვაწეობდა ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში. ათწლიან სამომავლო გეგმებს ადგენდა. სიმბოლურია, რომ ავადმყოფობის გამო, გარდაცვალებამდე მხოლოდ სამი დღე იცხოვრა საყვარელი საქმის გარეშე. ბატონ მალხაზთან უკანასკნელად, გამოსამშვიდობებლად მისული ადამიანები მწუხარებას ერთი ფრაზით გამოხატავდნენ: „წავიდა და მასთან ერთად, ეპოქა დასრულდა“. დიახ, ეპოქა დასრულდა... და მალხაზ ზაალიშვილმა, იმ ეპოქის ერთერთმა გამორჩეულმა წარმომადგენელმა დატოვა ქართული მეცნიერების უერთგულესი მსახურის ნათელი მაგალითი. მომავალი თაობები სწორედ ასეთი მაგალითებით იზრდებიან, ყალიბდებიან და ქმნიან დიდ მეცნიერებას.

ИМЕНИТОМУ СЫНУ ГРУЗИИ АКАДЕМИКУ МАЛХАЗУ ЗААЛИШВИЛИ – 100

Жизнь и деятельность многосторонне талантливого человека, большого ученого, биофизика, академика Малхаза Заалишвили является примером для всех грузин. На рубеже 50-60-х годов прошлого столетия, благодаря Малхазу Заалишвили в Грузии был заложен фундамент для развития молекулярной биологии и биофизики. Позже, он основал Институт молекулярной биологии и биофизики АН Грузии, а также кафедру биомакромолекулярной физики в Тбилисском государственном университете имени Иване Джавахишвили. Малхаз Михайлович создал свою школу, стал основателем физико-химических исследований биологических макромолекул в Грузии. Труды академика Заалишвили в области исследований физико-химических организаций мышц являются наглядным примером успеха грузинской науки.

Малхаз Михайлович получил многостороннее образование в точных и естественных науках. В 1941 году он окончил химический факультет Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили по специальности – физическая химия. Параллельно с учебой на химическом факультете как свободный слушатель, он прошел полный курс на физико-математическом факультете. Примечательному студенту по различным объективным или субъективным мешающим причинам, только через три года с 1944 года удалось продолжить учебу в аспирантуре по специальности биохимия.

Выбор этого направления в значительной степени был обусловлен научным интересом и обаянием личности известного ученого, талантливого биохимика Картлоса Ахведиани. В 1946 году представилась возможность продолжить работу над диссертацией в Москве под руководством выдающегося ученого Владимира Энгельгардта. Общение, работа с ученым и интеллектуалом такого высокого ранга в значительной степени определили одно из главных направлений в последующей научной деятельности Малхаза Михайловича, а именно, изучение проблем биологической подвижности, что вместе со многими другими вопросами до конца жизни представляло его неизменный научный интерес. Наверное, поэтому академика Энгельгардта Малхаз Михайлович часто упоминал как «научного наставника» и его фото десятилетия, до конца жизни занимало особое неизменное место на его рабочем столе.

В 1949 году Малхаз Заалишвили защитил кандидатскую диссертацию. В. Энгельгардт предложил молодому ученому руководство лабораторией в Москве, но для Малхаза Михайловича как для настоящего патриота другого выбора не существовало, как вернуться на родину. К тому же, в Грузии его ждала жена, верная спутница жизни Шура Гвелесиани, которая сама была представителем научно-академической сферы. На протяжении всей научной и общественной деятельности от аспирантуры до академика, она была поклонницей его научных способностей и не щадящим силы сторонником его интересов. Вскоре на свет появился его сын

Тенгиз Заалишвили – верный и успешный продолжатель фамилии и научной деятельности, в настоящем член-корреспондент АН Грузии.

Начало научной дороги в Грузии оказалось трудным. В 1951 году Малхаз Заалишвили был вынужден перевестись из Тбилиси в Гори, в Горииский педагогический институт, где в должности доцента читал лекции по неорганической, органической и физической химии. В 1956 году он вернулся в Тбилиси и продолжил работу старшим научным сотрудником в Институте физиологии АН Грузии.

В 50-е годы прошлого века, когда у нас первые шаги делала новая отрасль науки – биофизика, Малхаз Заалишвили первым составил программу общего курса биофизики и с 1956 года возглавил курс биофизики в Тбилисском государственном университете. В 1962 году на том же физическом факультете университета, он основал специализацию – «Биофизика», на базе которой впоследствии была создана кафедра «Физика макромолекул», где Малхаз Михайлович читал лекции по общей и клеточной биофизике, а также по молекулярной биологии. В 1962 году по инициативе выдающегося грузинского ученого Ивана Бериташвили в Институте физиологии впервые в Грузии была создана лаборатория биофизики, которую и возглавил уже опытный ученый Малхаз Заалишвили. Именно с этого времени с его именем связывают развитие в Грузии таких областей современной биологии как биофизика и молекулярная биология.

Незаурядные научные и организаторские способности позволили Малхазу Михайловичу собрать вокруг себя большой исследовательский коллектив, который на высоком уровне изучал современные вопросы биофизики. Актуальность и значение проработанных проблем обусловили преобразование лаборатории в сектор биофизики. В 1986 году уже на базе этого сектора был основан Институт молекулярной биологии и биофизики АН Грузии. Первым директором института был избран Малхаз Заалишвили и до 2000 года он оставался его неизменным руководителем. Это фактически было признанием и доказательством высокого уровня и большого значения результатов исследований под руководством Малхаза Заалишвили. Сегодня институт продолжает функционировать в составе Центра экспериментальной биомедицины имени Ивана Бериташвили.

В 1972 году в Москве на научном совете Института биофизики АН СССР, М. Заалишвили защитил докторскую диссертацию, в 1974 году ему присвоена степень профессора. В 1979 году он избран членом-корреспондентом АН ГССР, а в 1988 году – действительным членом АН Грузии. В 1990-2004 гг. являлся академиком-секретарем Отделения биологии АН Грузии, в 2004-2006 гг. – советником Президиума АН Грузии.

Под руководством Малхаза Михайловича в Институте молекулярной биологии и биофизики проводились исследования в различных направлениях современной биологии, таких как биофизика биологической подвижности, физико-химия макромолекул, молекулярная организация генома.

В 1963-68 гг. под руководством М. Заалишвили впервые было доказано, что митохондрии не содержат миозин-подобный белок и поэтому изменения объема митохондрий не основаны на актин-миозиновом взаимодействии, что впоследствии было подтверждено американскими учеными. Сокращение разбухших митохондрий обусловлено инозитол фосфатидом, который активирует немиозиновую АТФ-азу. Этими работами было изменено представление о том, что изучение объема митохондрий сильно поможет пониманию механизма мышечного сокращения.

Малхазом Михайловичем и его сотрудниками модифицированным методом досконально были изучены полученный чистый α-актинин и другие белки, размеры их молекул и физико-химические свойства. Впервые было показано, что молекула α-актинина состоит из двух идентичных субъединиц и каждая из них содержит два асимметрично расположенных домена. Методами молекулярной биологии впервые была идентифицирована аминокислотная последовательность N-половины (30 кд) α-актинина (первичная структура), что имело большое значение для последующего изучения этого белка.

С 50-х годов 20-го века стало известно, что мышца, кроме основных сократительных белков, содержит белки с большой молекулярной массой, так называемые белки – гиганты: титин, небулин и белок, выявленный в гладкой мышце – смитин. Еще в 1984 году под руководством Малхаза Заалишвили рентгеноструктурным методом было показано, что гигантский белок титин содержит коллаген-подобные фрагменты. Эти данные доказали, что две трети молекулы титина представлены β-структурой, а одна треть – левой спиралью. Был разработан и усовершенствован метод получения нативного чистого титина и изучен ряд его физико-химических свойств. Впервые также было показано, что гигантский белок смитин входит в состав немышечных клеток (мозг, печень).

С 60-х годов Малхаз Заалишвили начинает работать еще над одной важной проблемой. Он интенсивно изучает ферменты, регулирующие процессы, на которых основаны передачи генетической информации. В частности, под его руководством исследуются ферменты, регулирующие репликационные и транскрипционные процессы в архебактериях и эукариотах. Получены морфологические данные, свидетельствующие об уникальных особенностях транскрипционных единиц в экспериментальных архебактериях. Малхазом Заалишвили и его сотрудниками из ядер головного мозга крысы была выделена и очищена DNK-зависимая RNK-полимераза. Из термофильных организмов был получен чистый препарат термостабильной DNK-зависимой DNK-полимеразы, ограниченным гидролизом которой был выделен низкомолекулярный фрагмент. А этот фрагмент успешно был использован в диагностике СПИДа.

С 70-х годов Малхаз Михайлович с сотрудниками начинает исследования химического синтеза высокомолекулярных аминокислотосодержащих соединений нового типа – синтетических аналогов природных белков. Был разработан новый метод синтеза гетероцепочных полимеров, так называемый метод активированной

поликонденсации. Новый метод, по сравнению с ранее известными традиционными методами, выделяется простотой и, главное, дает возможность синтезировать полимерный переносчик лекарственных препаратов длительного действия; позволяет синтезировать легко рассасывающие полимеры медицинского назначения, которые заменяют дорогостоящие природные материалы.

В процессе научных исследований под руководством Малхаза Заалишвили был создан целый ряд оригинальных методов и приборов, в том числе устройство, позволяющее в одной и той же пробе одновременно определить суперпреципитацию и АТФ-азную скорость реакции в суспензии сократительной системы. Это дало возможность установить истинный механизм биологической подвижности. Сконструирован был калориметр, с помощью которого изучили термодинамические параметры процесса таяния многих высокомолекулярных биологически значимых соединений (ДНК, белки мышц).

Экспериментальные факты и явления, изученные Малхазом Михайловичем Заалишвили, вошли в изданную в 1971 году монографию – «Физико-химические основы мышечного сокращения», которая и сегодня является настольной книгой для специалистов. Согласно рецензии, опубликованной в журнале «Биохимия» АН СССР, т. 39, N3, стр. 672-673, 1974, – «Монография М.М. Заалишвили может быть рассмотрена как одна из самых фундаментальных монографий среди монографий последних лет, посвященных физико-химической проблеме мышечного сокращения. В ней автор рассматривает и обсуждает важные проблемы биологической подвижности, а в заключительной части выделяет актуальные вопросы, необходимые изучить в ближайшем будущем».

Академик Малхаз Заалишвили является автором 14 изобретений и 250 научных статей. Под его руководством выполнены 10 докторских и 45 кандидатских диссертаций. Лично Малхаз Михайлович и под его руководством сотрудники с неистощимой энергией и безотказно помогали представителям разных институций в осуществлении научных исследований.

Малхаз Заалишвили был председателем Межотраслевого научно-технического совета по биотехнологии и проблемам физико-химической биологии, созданного при Государственном комитете по науке и технике и при Президиуме АН Грузии. Также Малхаз Михайлович был председателем научного совета АН Грузии по проблемам биофизики; был председателем секции по биологической подвижности научного совета АН СССР – «Физические принципы функционирования биологических систем». Малхаз Заалишвили был членом редколлегии журналов АН Грузии «Моамбе» и «Наука и Техника». На протяжении многих лет был членом редакционного совета двух всесоюзных журналов – «Биофизика» и «Молекулярная биология» и экспертом Координационного центра стран членов «СЭВ».

Академик Малхаз Заалишвили был организатором многих симпозиумов, посвященных биохимии и биофизике сокращения мышцы – II (1968 г.), IV (1974 г.) и

VIII (1987 г.); был руководителем Закавказской I, II и III региональных школ, которые были посвящены важной теме – «Структура и функция биологических макромолекул».

Малхаз Михайлович был участником многих всемирных и всесоюзных симпозиумов, съездов и конгрессов, где его ждали с большим уважением. Его доклады всегда заслуживали высокую оценку. Стоит отметить симпозиум в Кембридже (1968 г.), II конгресс биофизиков в Вене (1966 г.), III конгресс в Бостоне (1969 г.) и IV конгресс в Москве (1972 г.), а также научную конференцию экспертов программы взаимосотрудничества стран «СЭВ» (Прага, 1985 г.).

Много лет Малхаз Заалишвили руководил Центральной научной библиотекой АН Грузии и неустанно трудился над улучшением ее функционирования, поскольку придавал особое значение библиотеке для успешной деятельности студентов и ученых.

Большая заслуга Малхаза Михайловича как педагога и научного руководителя в воспитании в Грузии целого поколения специалистов биофизики и молекулярной биологии. Его многочисленные ученики успешно трудятся как в Грузии, так и за рубежом в научно-академических учреждениях высокого ранга. Деятельность академика М. Заалишвили как академика-секретаря Отделения биологии АН Грузии, как директора научной библиотеки, как директора Института молекулярной биологии и биофизики АН Грузин значительно способствовала быстрому и успешному развитию научной и организационной деятельности в соответствующих институциях. Его незаурядные, удивительные организационные способности, неисчерпаемая энергия, энтузиазм и высокий профессионализм поражали окружающих и служили примером подражания для коллег, сотрудников и, особенно, для молодых исследователей.

Пройденная жизненная дорога Малхаза Михайловича оказалась примером и стимулом не только для сына, но и для внуков. Старший внук Георгий Заалишвили стал высоко квалифицированным специалистом и ученым высокого ранга в сфере молекулярной биологии; пользуется большим авторитетом в научных кругах как внутри страны, так и за ее пределами. Его труды печатаются во всемирных престижных, высокорейтинговых академических изданиях. Трудную и ответственную дорогу ученого, только совсем в другом, юридическом направлении выбрал еще один внук – Ираклий Кобахидзе – творец и автор обновленного, в корне нового, истинно европейских стандартов главного закона страны – конституции.

Неоценимый вклад Малхаз Заалишвили внес в объективную оценку событий 9 апреля 1989 года. Он был заместителем председателя комиссии, изучающей эти события, а также был председателем химико-токсикологической подкомиссии. Под его руководством было установлено 3 отравляющих вещества: хлорацетофенон, си-эс (CS) и хлорпикрин, которые использовали советские войска при разгоне мирного

митинга. Вместе с сотрудниками своего института Малхаз Михайлович сам лично участвовал во всех исследованиях. В заключении подкомиссии, подписанном М. Заалишвили и изданном 23 мая 1989 года в газете «Коммунисти» зафиксировано: против мирного населения республики войсками была осуществлена совершенно неоправданная варварская акция с применением отравляющих химических веществ, на применение которых у них не было ни моральных, ни юридических прав. Издание таких выводов в период советской власти требовало большой гражданской смелости. Факты, установленные в результате деятельности подкомиссии безоговорочно были признаны всесоюзной комиссией, председателем которой был Анатолий Собчак. Тогда никто не знал, распадется ли Советский Союз, а если распадется, как пройдет этот процесс, какие репрессии коснутся каждого человека, а в особенности того, кто такую значительную роль сыграл в борьбе за независимость страны. В этом процессе позиция председателя и его действия имели решающее значение. Подкомиссия работала в условиях напряженности, под большим давлением и именно председатель должен был проявить особую непреклонность, чтобы противостоять многим силам. Малхаз Михайлович эту миссию выполнил добросовестно и достойно. Стоит отметить, что исходя из особого значения результатов работы подкомиссии, вещи погибших, как улики, несколько лет хранились в лаборатории института и эти годы, вместе с осознанием ответственности были пронизаны глубокой болью.

В 1997 году академик Малхаз Заалишвили награжден орденом Чести.

До последних дней жизни Малхаз Михайлович поражал окружающих завидной памятью, неисчерпаемой энергией, научной дальновидностью, обостренным чувством нового, передового и неудержимым стремлением узнавать и строить новое. Все это он сам объяснял тремя принципами: не знаю, что такое усталость; не знаю, что такое зависть; не знаю, что такое страх.

На протяжении своей долголетней, почти столетней жизни Малхаз Заалишвили столкнулся с предначертанной ему судьбой не одной трагедией и тяжелым экзаменом, но он об этом не любил говорить. Жизнелюб, неисправимый оптимист, он с честью прошел через многие жизненные перипетии. Только после 90 лет он в кругу родных вспоминал о нескольких тяжелых эпизодах жизни.

Малхаз родился в Мцхета, на родине матери 27 сентября 1920 года в независимой Грузии. После потери независимости, когда маленькому Малхазу было несколько месяцев, родители решили уехать во Францию, чтобы обезопасить семью от нового режима. Хотя поднявшись на корабль, мама – дворянка, княжна Русудан Гедеванишвили, чья семья понесла сильнейшие материальные и духовные потери от советской власти, не смогла вынести боль от расставания с любимой родиной и вместе с мужем покинула корабль за несколько минут до отплытия, и вернулась домой. Замечательным, радужным периодом детства Малхаз считал время, проведенное в Мцхета с бабушкой Дарьей Палавандишвили. Поэтому особо дорога ему была Мцхета, с его юношескими друзьями, родственниками, с Девичьим

монастырем, где его крестили. У него было большое желание жить в Мцхета и там найти последний покой, но этому не суждено было быть.

В школе хорошо учился, особенно любил математику. У него был замечательный педагог Васо Абдушелишвили. Поступал на математический факультет, но в том году все места заняли медалисты. Стихи наизусть учить не любил, поэтому известная учительница Варо Вардиашвили – отличнику-ученику по грузинскому предмету в аттестат выставила тройку. Так он попал на химический факультет, но это не стало преградой, наряду с химией учить математику и физику.

Студенчество совпало со второй мировой войной. Всем было тяжело, семье Заалишвили тоже. Параллельно с учебой в университете, Малхаз устроился работать в букинистический магазин в Верийском квартале. С большим нетерпением он ждал первую зарплату, которая фактически спасла бы его от голода. В этот период магазин получил несколько, для него очень интересных книг. Купить книги – означало расстаться почти со всей зарплатой и голодать. Он так и поступил – купил книги… так было и потом. Несмотря на материальные трудности, вместо денежного вознаграждения, он по своей воле приносил домой книгу. Поэтому каждой книге, поставленной на полки кропотливо собранной личной библиотеки, сопутствовало чувство победы духовных сил над физическими. Силу духовности Малхаз Михайлович видел в образовании. Повезло научной библиотеке с директором, у которого такое кредо. Он был таким генетически, любовь к книге и науке прививалась в семье. Папа – педагог и экономист, мама – педагог и библиограф. Оба были широко образованными людьми.

В личной библиотеке Малхаза Михайловича особое место занимали один из первых экземпляров книги Чабуа Амиреджиби «Дата Туташхиа» и автобиографический роман «Гора Мборгали». Первую книгу украшает авторская надпись: «Шуре и Малхазу! Что не случится в жизни, не правда ли?». Во второй книге описан один из побегов из тюрьмы, как обвиняемого по тяжелой статье и сбежавшего из заключения друга Малхаз и его жена спрятали в своем доме. А это были кровавые 40-е годы, когда за такой поступок, если не расстрел, так ссылка в Сибирь точно их ожидала. Верность и любовь к другу помогли превозмочь страх «стука в дверь» и смерти. Эта «деталь» биографии очень показательна и важна для понимания личности.

Страха и в дальнейшей жизни не было, всегда имел активную и достойную гражданскую позицию. Для него как для гражданина и ученого очень тяжелым оказался период властвования «Национального движения». Малхаз Заалишвили (а ему было под или за 90) не пропускал ни одну протестную акцию против авторитарного режима и всегда находил смелость выразить бескомпромиссную позицию в связи с неправомерными решениями власти. Он активно противился неразумным реформам в научной системе, что коснулось и его детища, основанного им Института молекулярной биологии и биофизики, который без

объяснений и какой-либо стратегии был ликвидирован. Как с горечью говорил Малхаз Михайлович – «убили моего третьего ребенка».

Несмотря на трудную судьбу и многочисленные субъективные и объективные преграды, неиссякаемый интерес к научным исследованиям не пропадал до последнего вздоха. Привыкшего всегда быть в гуще дел и событий, как и в молодые годы, он был весь в работе, все его помыслы о науке, об институте, о сотрудниках. В последние годы жизни как научный консультант, активно трудился в Центре экспериментальной биомедицины имени Ивана Бериташвили. Строил планы на десятилетия. Символично, что из-за болезни, только три дня до кончины он прожил без своего любимого дела. В последний путь, провожая, люди горечь потери выражали такой фразой: «Ушел и вместе с ним кончилась эпоха». Да, эпоха кончилась… И Малхаз Михайлович Заалишвили – один из выдающихся представителей этой эпохи, стал светлым примером верного служения грузинской науке. Именно на таких примерах растут и крепнут будущие поколения, которые создают большую науку.

100TH ANNIVERSARY
A CENTENARY FROM THE BIRTH OF A PROMINENT FELLOW COUNTRY-MAN ACADEMICIAN MALKHAZ ZAALISHVILI

Life and activities of a versatile man, of a great scientist, a well-known biophysicist, academician Malkhaz Zaalishvili had long been an example for many Georgian researchers. On the verge of the 50s and 60s of the last century by unsparing efforts of Malkhaz Zaalishvili the field of molecular biology and biological physics was launched in Georgia. He founded the Institute of Molecular Biology and Biological Physics of the Georgian Academy of Sciences, as well as Chair of Biomacromolecular Physics at Ivane Javakhishvili State University. He created his scientific school, was a founder of physico-chemical research of biological macromolecules. The works by academician Malkhaz Zaalishvili in the field of physico-chemical organization of muscles are keynote achievements of Georgian science.

Malkhaz Zaalishvili was full-fledged educated person in exact and natural sciences. In 1941 he graduated from chemical faculty of Tbilisi Ivane Javakhishvili State University with a specialty of physical chemistry. In parallel, as a free listener, he took a full course at the physico-mathematics faculty. Though being an advanced student, for some objective and subjective interfering reasons, he only 3 years thereafter could continue education in 1944 as a postgraduate student in biochemistry. The choice of biochemistry was to a large extent due to the fact that he was inspired by scientific interests and personal admiration of the well-known scientist, the most talented biochemist Qartlos Akhvlediani. Since 1946 he had an opportunity to continue working at dissertation thesis in Moscow under supervision of a prominent Russian scientist Vladimir Engelgardt. The relationship with this wonderful, high-level scientist and intellectual has determined to a great measure one of the chief directions of his scientific activity – exploration of biological motility problems that, alongside with many other problems, constituted his irrevocable scientific interest to the last day of life. Perhaps it was because of this that he often referred to Engelgardt as his “scientific mentor” and for years, till the end of life he kept his photo on the working table in his study. Academician Engelgardt offered him to stay in Moscow and head a lab, but for him as a genuine sun and patriot there was no other choice but return to his fatherland, the more so as waiting for him there was his wife and loyal partner Ms Shura Gvelesiani who herself was a representative of academia, and over the entire scientific and public activities from being a post-graduate student to becoming an academician his spouse was an admirer and supporter of his scientific endowment. Soon a son was born to them Tengiz Zaalishvili, follower of father’s scientific pursuit, a prolific scientist, at present a Corresponding Member of the Georgien Academy of Sciences.

At that time the start-up of scientific research was far from ease in Georgia. Therefore Malkhaz Zaalishvili had to move to Gori and work at the Gori State Pedagogical Institute, where he held the position of a docent and gave lectures in inorganic, organic and physical chemistry.

In 1956 Malkhaz Zaalishvili returned to Tbilisi and continued to work as a senior researcher at the Institute of Physiology of the Georgian Academy of Sciences.

In the 50s of last century when a new field of science biophysics was just initiating, Malkhaz Zaalishvili drew up a general course syllabus in biological physics at Tbilisi State University and since 1956 he led that course. In 1962, at the faculty of physics of that university he initiated majoring "biophysics" on the basis of which later on chair of macromolecular Physics was created, where Malkhaz Zaalishvili delivered in general and cell biophysics, as well as in molecular biology. In 1962 the renowned Georgian scientist Ivane Beritashvili initiated at the Institute of Physiology the first in Georgia Laboratory in Biophysics, the head of which became Malkhaz Zaalishvili, already experienced scientist. It is just since that period that his name had been associated with the development of the fields of biology as are biophysics and molecular biology.

Great scientific and organizational endowment enabled Malkhaz Zaalishvili to collect a cohort of gifted team exploring on a high level the current problems of biophysics. Due to the topical importance of the problems explored, the lab was converted into a sector. In 1986, based on the sector, the Institute of Molecular Biology and Biological Physics was founded. Professor Malkhaz Zaalishvili was the first and irreplaceable until 2000 director of the Institute. The results of research obtained by his guidance had been commonly recognized and confirmed by other scientists. Today the Institute continues functioning and is a part of the Ivane Beritashvili Center for Experimental Biomedicine.

In 1972 Malkhaz Zaalishvili defended doctoral dissertation in Moscow at the Scientific Council of the Institute of Biophysics, the Soviet Union Academy of Sciences, in 1974 earned the title of a Professor, in 1979 was elected as a corresponding member, while in 1988 a full member (academician) of the Georgian Academy of Sciences.

In 1990-2004 he was an academician secretary of the Biological Department at the Presidium of the Georgian Academy of Sciences, in 2004-2006 – a counselor to the Presidium.

At the Institute of Molecular Biology and Biological Physics, under the guidance of Professor Malkhaz Zaalishvili the investigations were made in a variety of directions such as biophysics of biological motility, physic-chemical properties of macromelucules, molecular organization of a genome.

In 1963-1968, for the first time, under leadership of Professor Malkhaz Zaalishvili it was established that mitochondria do not contain the myosin-like protein and likewise, change in the mitochondrial volume does not depend on the actin-myosine interaction, this being corroborated later by American scientists. Contraction of the saturated mitochondria is due to inositol-phosphatid which activates nonmyosinic ATPase. This has modified the viewpoint that a change in mitochondrial volume could much contribute to the study of muscular contraction mechanism.

Malkhaz Zaalishvili and assoc. have studied at length, the molecular sizes and physico-chemical properties of pure α-actinin and other proteins obtained using a modified method. For the first time it was demonstrated that a molecule of α-actinin is composed of two identical sub-units and each of them contains two asymmetrically disposed domens. Using methods of molecular biology, it was first established the sequence of amino-acids (primary structure) of α-actinin's N-moiety (30 kd) that had much importance for further studies of this protein.

Since the 50s of 20th century it has become known that except the essential contractable proteins, a muscle contains the so-called gigantic proteins possessing a large molecular mass, titin, nebulin and smitin found in a smooth muscle. Still in 1984 under the guidance of Malkhaz Zaalishvili, using a rentgenostructural method it was established that gigantic protein titin contains a collagen-type fragment. These findings confirm that two-thirds of titin molecule is available in β-structure and one-third as a left helix. A method was worked out to obtain native pure titin and some of its physico-chemical properties were studied. Malkhaz Zaalishvili and assoc. have demonstrated that a gigantic protein smitin is available in the nonmuscular cells (the brain, the liver).

Since the 60s, Malkhaz Zaalishvili pursues work at still one of the important problems. He intensively explores the proteins regulating the processes, which underlie transfer of genetic information. In particular, he guides studies of the enzymes responsible for replication and transformation processes in archaebacteria and eucaryotes.

Malkhaz Zaalishvili and assoc. have isolated and purified DNA-dependent RNA polymerase from the rat brain nuclei. From the thermophilic organisms they obtained a pure preparation of thermostable DNA depending DNA polymerase as a result of constrained hydrolysis of which a low-molecular fragment was isolated. And this later was used in AIDS diagnosis.

Since the 70s Malkhaz Zaalishvili with assoc. commences exploration of chemical synthesis of amino-acids containing new type high-molecular compounds (synthetic analogs of natural proteins), a new method for the synthesis of heterochain polymers, the so-called "activated polycondensation", which, compared to the before commonly known ones, is distinguished by its simplicity. The method in question enables to make synthesis of a polymer carrier to yield medical drugs of prolonged action and readily absorbable polymers of medical implication which could replace expensive agents of natural origin.

In the course of performed research quite a number of original methods were developed and devices constructed, among them is a device, which enables to measure in one and the same test, simultaneously velocity of superprecipitation and of ATP-ase reaction of the contractable system's suspension, this made it possible to unveil the genuine mechanism for biological motility; constructed was also a calorimeter with the aid of which ascertained were thermodynamic and other parameters of a melting process for many a high-molecular, biologically essential compounds (DNA, muscular proteins).

Experimental findings and phenomena revealed by Malkhaz Zaalishvili were included in his monograph published in 1971 – "The physic-chemical bases of muscle contraction", which even today is of interest and text-book for specialists. In terms of a referee's comments published in the Journal of Biochemistry (Biochemistry of the USSR Acad. Sci., v. 39, N3, pp. 672-673) concerning the monograph by Malkhaz Zaalishvili it is said: "The book can be considered as one of the most fundamental one among others addressing the physico-chemical problems of muscle contraction, in the conclusive part the author highlights the problems to be dealt with in the nearest future".

Malkhaz Zaalishvili chaired several councils in science and technology, scientific council on the problems of biophysics, the USSR scientific council – physical principles of biological system's functioning; was on the editorial board of the journals "Bulletin of the Georgian Academy of Sciences and the journal "Science and Technology", on the editorial board of two All-Union journals "Biophysics" and "Molecular Biology", was an expert in biological physics of the Coordination Center for EU-member countries.

Academician Malkhaz Zaalishvili was organizer of the 2nd (1968), the 4th (1974) and the 8th (1987) symposia devoted to biochemistry and biophysics of muscle contraction, guided I, II and III Transcaucasian regional schools (dedicated to the keynote topic of molecular biology and biological physics, i.e. "The structure and function of biological macromolecules", he was a participant of many International and All-Union symposia, meetings and congresses, where his speach earned a high evaluation, among them was a symposium held in Cambridge (1968) dedicated to the problems of biophysics, the second (Wein, 1966), the third (Boston, USA, 1969) and the fourth (Moscow, 1972) International congresses, Conference of experts on EU-countries scientists' collaboration programme (Prague, 1985), etc.

For years Academician Malkhaz Zaalishvili directed the Georgian National Scientific Library and made all efforts to improve its functioning, considering it to be essential for a successful activity of scientists and students.

Boundless is Malkhaz Zaalishvili's merit as a teacher and leader-scientist in bringing up in Georgia generations of professionals in biophysics and molecular biology, his pupils fruitfully serve in the scientific-academic high rated institutions in Georgia, as well as abroad. Service as an academician-secretary of Biological Department at the Georgian Academy of Sciences and director of the National Scientific Library contributed to a significant measure to the development of scientific and organizational activity in the relevant institutions. His amazing skill as an organizer, indefatigable spirit, enthusiasm, high professionalism and integrated thinking were always an imitating example for his colleagues, coworkers and especially for young researchers.

The way passed in life by Malkhaz Zaalishvili appeared to be a marvel and impetus to his descendants. The eldest grandson Giorgi Zaalishvili is of high qualification and ranks high as a scientist in the field of molecular biology, he enjoys authority as inside the country, so beyond it. His works are published in the world's prestigious, high-rating

journals. Quite a diverse, hard and liable way of a scientist was chosen by another grandson Irakli Kobakhidze to create and author the qualitatively new basic law – renovated Constitution of a country, meeting genuine European standards. Great is academician Malkhaz Zaalishvili's merit in the objective assessment of the events taking place in Tbilisi on the 9th April of 1989. He was a vice-chairman of the commission investigating the events occurring on the 9th April and a chairman of chemotoxicologic subcommission. Under his competent direction, three poisoner compounds were revealed, i.e. chloroacetophenone, CS and chloropicrin, which the Soviet troops used in raids against the participants of a peaceful meeting. Together with the scientists of molecular biology and biophysics Malkhaz Zaalishvili himself was involved in investigations. In the conclusion of performed work signed by Malkhaz Zaalishvili (published in a newspaper "Communist", May 23, 1989) it was fixed: troops have committed against peaceful population of the Republic extremely unjustified barbaric act with use of poisonous substances, for this act they had neither moral nor judicial right". In the period of Soviet power to publish such results required a great civil bravery. The facts revealed by the subcommission were acknowledged by the All-Union Commission chaired by Anatoli Sobchak. At that time nobody knew whether the Soviet Union would disintegrate and if so, what would be the process of disintegration, what kind of repressions there would be exercised against each person and especially in respect to those fighting for the country's independence. In this process the position and action of the chairman was exclusively important. The subcommission worked under the conditions of duress and it was the chairman who had to show bravery in order to overcome each manifestation of pressure. Malkhaz Zaalishvili undertook this mission in faith and honor. It is remarkable that proceeding from the extreme significance of commission's results, he for years kept in his lab the things belonging to the deceased as proofs.

In 1997 academician Malkhaz Zaalishvili was decorated with order of Merit.

To the lees of his life Malkhaz Zaalishvili marveled those about him with an amazing memory, boundless energy, scientific acumen, cognition of all of the news, longing for building, all this he explained by the three main features: didn't know what fatigue was, didn't know what envy was, didn't know what fear was.

During almost a century life span he faced many a tragedy and hardship. However, he didn't like to talk about it, for he was an incurable optimist. It is but some heavy episodes that he ever mentioned and it was only in a venerable age, after 90. He was born in Mtskheta, mother's native town on 27 September 1920 in the time of an independent Georgia. After some months his parents in order to escape the new regime decided to leave for France. However being already on board of a ship his mother a noblewoman Rusudan Gedevanishvili whose family, like many other noble Georgians, suffered from great material and spiritual misfortunes from the part of Soviet authorities. She could no longer stand the caused by leaving her fatherland, and just some minutes before the ship moved, she together with her husband left the ship and came back home. The dearest period in Malkhaz Zaalishvili's life was the one spent in Mtskheta with his grandmother Daria Palavandishvili. Therefore, Mtskheta for the whole life remained particularly

precious town for him. Precious for him was Mothers' Monastery ("Samtavro Monastery") where he was christened and had the young years kinsmen and friends. He dreamed to live in Mtskheta and could lay to rest there. Alas, he couldn't fulfil his dream.

At school he studied well, especially loved math, in which he had a wonderful teacher Vaso Abdushelishvili, decided to become a student of math faculty, but failed because that year there were too many medalists to be enrolled. He couldn't or didn't learn verses by heart, that's why a well-known teacher Varo Vardiashvili gave a satisfactory mark to an excellent pupil in other subjects. Thus it happened so that he was enrolled in chemical faculty. Though he never abandoned to study math and physics alongside with chemistry.

Malkhaz Zaalishvili's student years coincided with the period of the Second World war. There was a total hardship. So were in the Zaalishvilis family. Malkhaz in parallel with studying at the University began to work in a second-hand bookstore situated in Vera. He looked forward to getting the first payment which could save him from starvation. At that period some rather interesting books were brought into the store. To buy the books he would have to refuse the salary that could have actually save him from starvation. So did he, bought the books… and thus happened many times, inspite of material need, instead of money at his own request he often took home a book. Each book in the so painstakingly created personal library bore as it were victory of spiritual rescue (seen by him in education) over the physical one. Genetically he was such, love of books and science he acquired from the family: father was a teacher and economist, a full-fledged person, mother – a teacher and bibliographer.

In Malkhaz Zaalishvili's library in a special place was one of the first copies of Chabua Amirejibi's book "Data Tutashkhia" and an autobiographic novel "Gora Mborgali". The first bearing an inscription "To Shura and Malkhaz, what wouldn't happen in the world?". In the other book it is described how he ran from the prison and how Malkhaz and his wife sheltered in their house the friend with so heavy sentence of imprisonment. That was the 40s bloody years, when for such a behavior persons were sentenced death or exile to Ciberia. Fear of a knock at the door and of death Malkhaz could only overcome by love of and loyalty to his friend.

Sensation of fear he didn't have either in the time to come, always taking an active and honorable position. For him as a citizen and scientist the heaviest proved to be the period of so-called National movement, as well. He never missed a single protesting action against the authoritarian regime and always found way to take uncompromised position in respect to the nonrelevant decisions of authorities. He couldn't reconcile with insensible reforms in the system of science. By similar reform among others suffered the Institute of Molecular Biology and Biophysics founded by him, which without any documentation and strategy was liquidated. His sorrow he expressed in a sentence: "They killed my third child".

Notwithstanding the hard life and many subjective and objective obstacles, his keen interest in scientific research didn't extinguish. In the last years of life he actively served

as a scientific consultant at Ivane Beritashvili Center for Experimental Biomedicine and made 10-year plans for future work. It is symbolic that only three days before death he lived without his so much loved activity. Those who came to pay tribute to him expressed their grief in a phrase: “he left and together with him ended the epoch”. Yes, the epoch ended… and Malkhaz Zaalishvili as one of the distinguished representatives of the epoch left a blessed name of the most loyal servant of Georgian science. Just on the example of such persons the future generations ought to be brought up to build up great science.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

შინაარსი СОДЕРЖАНИЕ CONTENTS

ტროფიკული წყლულის (TROPULC) სამკურნალო იმუნომოდულატორული პრეპარატი
ნუგზარ ალექსიძე, გიორგი ალექსიძე

ИММУНОМОДУЛИРУЮЩИЙ ПРЕПАРАТ (TROPULC) ДЛЯ ЛЕЧЕНИЯ ТРОФИЧЕСКИХ ЯЗВ
Нугзар Алексидзе, Георгий Алексидзе

IMMUNOMODULATORY DRUG (TROPULC) FOR THE TREATMENT OF TROPHIC ULCERS
Nugzar Aleksidze, George Aleksidze 197

ეთანოლის ხანგრძლივი მოხმარების ზეგავლენა თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის ცენტრალური რუხი ნივთიერების მორფოფუნქციურ თავისებურებებზე ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომის ექსპერიმენტული მოდელის ცხოველებში
ლალი გეგენავა, ნინო ღვინაძე, სოფო კალმახელიძე, დიანა მუსერიძე

ВЛИЯНИЕ ДЛИТЕЛЬНОГО ПОТРЕБЛЕНИЯ АЛКОГОЛЯ НА МОРФОФУНКЦИОНАЛЬНЫЕ ХАРАКТЕРИСТИКИ ЦЕНТРАЛЬНОГО СЕРОГО ВЕЩЕСТВА ГОЛОВНОГО МОЗГА БЕЛЫХ КРЫС НА ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЙ МОДЕЛИ СИНДРОМА ВЕРНИКЕ-КОРСАКОВА
Лали Гегенава, Нино Гвинадзе, Софо Калмахелидзе, Диана Мусеридзе

INFLUENCE OF LONG-TERM ALCOHOL CONSUMPTION ON MORPHO-FUNCTIONAL CHARACTERISTICS OF THE CENTRAL GRAY MATTER OF THE WHITE RATS BRAIN IN EXPERIMENTAL MODEL OF WERNICKE-KORSAKOV SYNDROME
Lali Gegenava, Nino Gvinadze, Sopho Kalmakhelidze, Diana Museridze 203

II

მაიონიზებელი რადიაციის გავლენა ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ტკივილის მგრძნობელობაზე
მიხეილ გოგებაშვილი, მერაბ ცაგარელი, ივლიანე ნოზაძე, ნაზი ივანიშვილი

ДЕЙСТВИЕ ИОНИЗИРУЮЩЕЙ РАДИАЦИИ НА ПРОДОЛЖИТЕЛЬНОСТЬ ЖИЗНИ И ЧУВСТВИТЕЛЬНОСТЬ К БОЛИ У ЖИВЫХ ОРГАНИЗМОВ
Михаил Гогебашвили, Мераб Цагарели, Ивлиане Нозадзе, Нази Иванишвили

THE EFFECT OF IONIZING RADIATION ON LIFE EXPECTANCY AND SENSITIVITY TO PAIN IN LIVING ORGANISMS
Michael Gogebashvili, Merab Tsagareli, Ivliane Nozadze, Nazi Ivanishvili 211

კანაფის მოწევის გავლენა მხედველობით ყურადღებაზე: ეეგ-ს, მოვლენასთან დაკავშირებული პოტენციალების ანალიზი და ნეიროფსიქოლოგიური შეფასება
თეონა გუბიანური, ელენე ქოქრაშვილი, მალხაზ მაყაშვილი, ირმა ხაჩიძე

ВЛИЯНИЕ КУРЕНИЯ КАННАБИСА НА ЗРИТЕЛЬНОЕ ВНИМАНИЕ: НЕЙРОПСИХОЛОГИЧЕСКИЙ И ЭЭГ АНАЛИЗ
Теона Губианури, Елене Кокрашвили, Малхаз Макашвили, Ирма Хачидзе

THE IMPACT OF SMOKING CANNABIS ON VISUAL ATTENTION: EEG AND NEUROPSYCHOLOGICAL ANALYSIS
Teona Gubianuri, Elene Kokrashvili, Malkhaz Makashvili, Irma Khachidze 221

პოლიტრავმულ პაციენტებში გრძელი ლულოვანი ძვლების დაზიანების მკურნალობის თანამედროვე კონცეფცია – **DAMAGE CONTROL**
ნუგზარ ელიზბარაშვილი, შადიმან სახვაძე, კობა სირბილაძე, ვაჟა კახნიძე

СОВРЕМЕННАЯ КОНЦЕПЦИЯ ЛЕЧЕНИЯ ПОВРЕЖДЕНИЙ ДЛИННЫХ ТРУБЧАТЫХ КОСТЕЙ У ПОЛИТРАВМАТИЧЕСКИХ БОЛЬНЫХ – DAMAGE CONTROL
Нугзар Элизбарашвили, Шадиман Сахвадзе, Коба Сирбиладзе, Важа Кахнидзе

THE MODERN CONCEPT OF TREATMENT OF LONG TUBULAR BONE DAMAGE IN POLYTRAUMATIC PATIENTS – DAMAGE CONTROL
Nugzar Elizbarashvili, Shadiman Sakhvadze, Koba Sirbiladze, Vazha Kakhnidze 229

მაღალი ჰიპერდიპლოიდიის პროგნოზული მნიშვნელობა მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებში
ალლა ზედგინიძე, ასმათ შენგელაია, გიორგი ორმოცაძე, მაია რუხაძე, თამარ ჭავჭავაძე

ПРОГНОСТИЧЕСКОЕ ЗНАЧЕНИЕ ВЫСОКОЙ ГИПЕРДИПЛОИДИИ У ДЕТЕЙ С ОСТРЫМ ЛЕЙКОЗОМ
Алла Зедгинидзе, Асмат Шенгелая, Георгий Ормоцадзе, Майя Рухадзе, Тамара Чавчавадзе

PROGNOSTIC SIGNIFICANCE OF HIGH HYPERDIPLOIDY IN CHILDREN WITH ACUTE LEUKEMIA
Alla Zedginidze, Asmat Shengelaia, George Ormotsadze, Maia Rukhadze, Tamara Chavchavadze 235

INVOLVEMENT OF UBIQUITIN-26S PROTEASOME SYSTEM IN THE REGULATION OF OBESITY
Irine Ioramashvili, Rusudan Sujashvili

უბიკვიტინ-26S პროტეასომას როლი სიმსუქნის განვითარების პროცესის რეგულაციაში
ირინე იორამაშვილი, რუსუდან სუჯაშვილი

УЧАСТИЕ УБИКВИТИН-26S ПРОТЕОСОМНОЙ СИСТЕМЫ В РЕГУЛЯЦИИ ОЖИРЕНИЯ
Ирине Иорамашвили, Русудан Суджашвили 247

შაკიკი, მოკლელატენტური სმენითი გამოწვეული პოტენციალების კლინიკური შესწავლა
გიორგი კვერნაძე, გიორგი ანდრონიკაშვილი, თეა გურაშვილი, ქეთევან გოგეშვილი, სენერა ჭიპაშვილი, ნინო ახობაძე, მიხეილ ოკუჯავა

МИГРЕНЬ, КЛИНИЧЕСКИЕ ИССЛЕДОВАНИЯ КОРОТКОЛАТЕНТНЫХ СЛУХОВЫХ ВЫЗВАННЫХ ПОТЕНЦИАЛОВ
Георгий Квернадзе, Георгий Андроникашвили, Теа Гурашвили, Кетеван Гогешвили, Сенера Чипашвили, Нино Ахобадзе, Михаил Окуджава

MIGRAINE, A CLINICAL STUDY OF THE SHORT-LATENCY AUDITORY EVOKED POTENTIALS
Giorgi Kvernadze, Giorgi Andronikashvili, Tea Gurashvili, Senera Chipashvili, Ketevan Gogeshvili, Nino Akhobadze, Michael Okujava 255

FREQUENCY OF MTHFR GENE C677T POLYMORPHISM IN GEORGIAN PATIENTS WITH MIGRAINE
Nino Kraveishvili, Eka Kvaratskhelia, Maia Zarandia, Merab Kvintradze, Elene Abzianidze

MTHFR გენის C677T პოლიმორფიზმის სიხშირე ქართველ პაციენტებში შაკიკის დიაგნოზით
ნინო კრავეიშვილი, ეკა კვარაცხელია, მაია ზარანდია, მერაბ კვინტრაძე, ელენე აბზიანიძე

РАСПРЕДЕЛЕНИЕ ПОЛИМОРФИЗМА С677Т ГЕНА MTHFR СРЕДИ ПАЦИЕНТОВ С МИГРЕНЬЮ В ПОПУЛЯЦИИ ГРУЗИИ
Нино Кравеишвили, Ека Кварацхелия, Майя Зарандиа, Мераб Квинтрадзе, Елена Абзианидзе..... 265

TWIN 80-ის ზეგავლენა ემულსიების ზოგიერთ რეოლოგიურ მახასიათებელზე
მაკა მანწკავა, ნანა მომცელიძე, გიორგი კუჭავა

ВЛИЯНИЕ TWIN 80 НА НЕКОТОРЫЕ РЕОЛОГИЧЕСКИЕ СВОЙСТВА ЭМУЛЬСИЙ
Мака Манцкава, Нана Момцелидзе, Георгий Кучава

EFFECT OF TWIN 80 ON SOME RHEOLOGICAL PROPERTIES OF EMULSIONS
Maka Mantskava, Nana Momtselidze, Georgy Kuchava 273

IV

SLEEP RESEARCH ACHIEVEMENTS IN GEORGIA –
EARLY PERIODS OF SLEEP STUDIES
Nargiz Nachkebia

ძილის კვლევის მიღწევები საქართველოში – ძილის შესწავლის
ადრეული პერიოდები
ნარგიზ ნაჭყებია

ДОСТИЖЕНИЯ В ИССЛЕДОВАНИЯХ СНА В ГРУЗИИ –
РАННИЕ ПЕРИОДЫ ИЗУЧЕНИЯ СНА
Наргиз Начкебия 279

RADIATION EFFECT AND NEUROCHEMICAL CORRELATES OF
WHITE AND BLACK RATS
Marine Nikolaishvili, Giorgi Iordanishvili, Thea Museliani, Khatuna Dondoladze,
Gogi Jikia, Alexander Tarkhnishvili, Irakli Maisuradze

თეთრი და შავი ვირთაგვების დასხივების ეფექტები
და ნეიროქიმიური კორელატები
მარინე ნიკოლაიშვილი, გიორგი იორდანიშვილი, თეა მუსელიანი, ხათუნა
დონდოლაძე, გოგი ჯიქია, ალექსანდრე თარხნიშვილი, ირაკლი მაისურაძე

РАДИАЦИОННЫЙ ЭФФЕКТ И НЕЙРОХИМИЧЕСКИЕ КОРРЕЛЯТЫ
БЕЛЫХ И ЧЕРНЫХ КРЫС
Марина Николайшвили, Георгий Иорданишвили, Тея Муселиани, Хатуна Дондоладзе,
Гоги Джикия, Александр Тархнишвили, Ираклий Майсурадзе 295

THE ROLE OF RADON IN CHANGING THE CONCENTRATION OF OXIDATIVE
STRESS PREDICTORS INVOLVED IN THE PATHOGENESIS OF EPILEPSY
Marine Nikolaishvili, Zakaria Nanobashvili, Irine Bilanishvili, Lena Davlianidze, Lali
Gumberidze, Nino Sikharulidze, Marina Devdariani, Marina Nebieridze, Ia Kvachakidze,
Thea Museliani, Gogi Jikia, Khatuna Dondoladze, Nodar Mitagvaria

რადონის როლი ოქსიდაციური სტრესის პრედიქტორების
კონცენტრაციის ცვლაში, რომელებიც ჩართულია
ეპილეფსიის პათოგენეზში
მარინე ნიკოლაიშვილი, ზაქარია ნანობაშვილი, ირინე ბილანიშვილი,
ლენა დავლიანიძე, ლალი გუმბერიძე, ნინო სიხარულიძე,
მარინა დევდარიანი, მარინა ნებიერიძე, ია ქვაჩაკიძე, თეა მუსელიანი,
გოგი ჯიქია, ხათუნა დონდოლაძე, ნოდარ მითაგვარია

РОЛЬ РАДОНА В ИЗМЕНЕНИИ КОНЦЕНТРАЦИИ ПРЕДИКТОРОВ
ОКСИДАТИВНОГО СТРЕССА, УЧАСТВУЮЩИХ
В ПАТОГЕНЕЗЕ ЭПИЛЕПСИИ
Марина Николайшвили, Захарий Нанобашвили, Ирина Биланишвили,
Лена Давлианидзе, Лали Гумберидзе, Нино Сихарулидзе, Марина Девдариани,
Марина Небиеридзе, Ия Квачакидзе, Тея Муселиани, Гоги Джикия,
Хатуна Дондоладзе, Нодар Митагвария 305

AGE ASPECTS OF THE COMPENSATION MECHANISMS OF A VISUAL SYSTEM
Khatuna Rusadze, David Janelidze, Manana Khomeriki, Natela Lomashvili, Reniko Sakandelidze, Archil Kezeli

მხედველობის სისტემის საკომპენსაციო მექანიზმების ასაკობრივი ასპექტები
ხათუნა რუსაძე, დავით ჯანელიძე, მანანა ხომერიკი, ნათელა ლომაშვილი, რენიკო საკანდელიძე, არჩილ კეზელი

ВОЗРАСТНЫЕ АСПЕКТЫ КОМПЕНСАЦИОННЫХ МЕХАНИЗМОВ ЗРИТЕЛЬНОЙ СИСТЕМЫ
Хатуна Русадзе, Давид Джанелидзе, Манана Хомерики, Натела Ломашвили, Ренико Саканделидзе, Арчил Кезели 317

გარე სტატიკური მაგნიტური ველის გავლენა რკინის ნანონაწილაკებთან დაკავშირებული ქვერცეტინის ეფექტებზე ლაბორატორიული ვირთაგვების ჰიპოკამპში
მარიამ ქურასბედიანი, გია ქუთელია, მანანა ჩიქოვანი, ბუციკო ჩხარტიშვილი, როზა ბუკია, ბესარიონ ფარცვანია, ნანული დორეული

ВЛИЯНИЕ ВНЕШНЕГО СТАТИЧЕСКОГО МАГНИТНОГО ПОЛЯ НА ЭФФЕКТЫ КВЕРЦЕТИНА, СВЯЗАННЫЕ С НАНОЧАСТИЦАМИ ЖЕЛЕЗА В ГИППОКАМПЕ ЛАБОРАТОРНЫХ КРЫС
Мариам Курасбедиани, Гия Кутелия, Манана Чиковани, Буцико Чхартишвили, Роза Букия, Виссарион Парцвания, Нанули Дореули

THE IMPACT OF EXTERNAL STATIC MAGNETIC FIELD ON QUERCETIN EFFECTS ASSOCIATED WITH IRON NANOPARTICLES IN THE HIPPOCAMPUS OF LABORATORY RATS
Mariam Kurasbediani, Gia Kutelia, Manana Chikovani, Butsiko Chkhartishvili, Roza Bukia, Besarion Partsvania, Nanuli Doreulee 323

TRANSIENT RECEPTOR POTENTIAL CATION CHANNELS: TRANSDUCERS FOR SENSORY INFORMATION
Merab Tsagareli

გარდამავალი რეცეპტორული პოტენციალის კათიონური არხები: სენსორული ინფორმაციის გარდამქმნელები
მერაბ ცაგარელი

КАТИОННЫЕ КАНАЛЫ ПЕРЕХОДНЫХ РЕЦЕПТОРНЫХ ПОТЕНЦИАЛОВ: ПРЕОБРАЗОВАТЕЛИ СЕНСОРНОЙ ИНФОРМАЦИИ
Мераб Цагарели 335

NA,K-ATPase AND ROS HORMESIS
Gvantsa Chkadua, Eka Nozadze, Leila Tsakadze, Lia Shioshvili, Nana Arutinova, Marine Leladze, Sophio Dzneladze

Na,K-ATPაზა და ROS ჰორმეზისი

გვანცა ჭკადუა, ეკა ნოზაძე, ლეილა წაქაძე, ლია შიოშვილი, ნანა არუთინოვა, მარინე ლელაძე, სოფიო ძნელაძე

NA,K-АТФаза И ROS ГОРМЕЗИС
Гванца Чкадуа, Ека Нозадзе, Лейла Цакадзе, Лия Шиошвили, Нана Арутинова, Марине Леладзе, Софио Дзнеладзе 349

ARTIFICIAL POLYMERS MADE OF α-AMINO ACIDS – BIOMIMETICS OF PROTEINS
Darejan Kharadze, Tina Omiadze, Larisa Kirmelashvili, Ramaz Katsarava

ხელოვნური პოლიმერები α-ამინომჟავების საფუძველზე – ცილების ბიომიმეტიკები

დარეჯან ხარაძე, თინა ომიაძე, ლარისა ყირმელაშვილი, რამაზ ქაცარავა

ИСКУССТВЕННЫЕ ПОЛИМЕРЫ НА ОСНОВЕ α-АМИНОКИСЛОТ – БИОМИМЕТИКИ БЕЛКОВ
Дареджан Харадзе, Тина Омиадзе, Лариса Кирмелашвили, Рамаз Кацарава 357

НЕКОТОРЫЕ ХАРАКТЕРИСТИКИ НЕЙРОНОВ РЕТИКУЛЯРНОГО ЯДРА ТАЛАМУСА
Надежда Хизанишвили, Ирина Биланишвили, Зураб Сакварелидзе, Майя Барбакадзе, Захарий Нанобашвили

თალამუსის რეტიკულური ბირთვის ნეირონების ზოგიერთი მახასიათებელი

ნადეჟდა ხიზანიშვილი, ირინე ბილანიშვილი, ზურაბ საყვარელიძე, მაია ბარბაქაძე, ზაქარია ნანობაშვილი

SOME CHARACTERISTICS OF NEURONS IN THE RETICULAR NUCLEUS OF THE THALAMUS
Nadezhda Khizanishvili, Irine Bilanishvili, Zurab Sakvarelidze, Maia Barbakadze, Zakaria Nanobashvili 371

ACUTE CORONARY SYNDROME DEFINITION, PATHOGENESIS AND MODERN DIAGNOSTIC METHODS
Giorgi Javakhishvili, Ia Avaliani, Anzor Melia, Rusudan Sujashvili

მწვავე კორონარული სინდრომის დეფინიცია, პათოგენეზი და დიაგნოსტიკის მეთოდები

გიორგი ჯავახიშვილი, ია ავალიანი, ანზორ მელია, რუსუდან სუჯაშვილი

ОСТРЫЙ КОРОНАРНЫЙ СИНДРОМ – ДЕФИНИЦИЯ, ПАТОГЕНЕЗ И МЕТОДЫ ДИАГНОСТИКИ
Георгий Джавахишвили, Ия Авалиани, Анзор Мелия, Русудан Суджашвили 379

ბაშერის სინდრომი: შიგნითა ყურის შენესტრაციის თანმდევი ძლიერი ოტოლიქვორრეა
შოთა ჯაფარიძე, ბესარიონ ლებანიძე, ნატო ნაკუდაშვილი, თამარ ხეჩინაშვილი, ხათუნა გეგენავა, ზურაბ ქევანიშვილი

СИНДРОМ ГАШЕРА: ОБИЛЬНАЯ ОТОЛИКВОРРЕЯ, СЛЕДУЮЩАЯ ЗА ФЕНЕСТРАЦИЕЙ ВНУТРЕННЕГО УХА
Шота Джапаридзе, Бесарион Лебанидзе, Нато Накудашвили, Тамар Хечинашвили, Хатуна Гегенава, Зураб Кеванишвили

GUSHER SYNDROME: INNER-EAR FENESTRATION FOLLOWED PROFUSE OTOLIQUORRHEA
Shota Japaridze, Besarion Lebanidze, Nato Nakudashvili, Tamar Khechinashvili, Khatuna Gegenava, Zurab Kevanishvili 387

ინსტრუქცია ავტორთათვის

ИНСТРУКЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ

INSTRUCTIONS FOR AUTHORS

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ.46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

ტროფიკული წყლულის (TROPULC) სამკურნალო იმუნომოდულატორული პრეპარატი

ნუგზარ ალექსიძე[1], გიორგი ალექსიძე[2]

[1] უნივერსიტეტი „გეომედი“, [2] სამედიცინო-ბიოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ალექსისი“, თბილისი, საქართველო

სტატიაში სურათების სახით წარმოდგენილია ტროფიკული წყლულის მცენარეული წარმოშობის იმუნომოდულატორული (Tropulc) პრეპარატით მკურნალობის შედეგები. დადგენილია, რომ კუნთებში ყოველდღიურად ინსულინის შპრიცით 1 მლ პრეპარატის ინიექციის შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება კუნთებზე ტროფიკული წყლულით გამოწვეული წყლულების ზომები. დაავადების სრული განკურნებისთვის საკმარისია პრეპარატის 3-5 ამპულა. მკურნალობის დროს არ გამოვლენილა მეორადი ეფექტები. უნდა აღინიშნოს, რომ დაავადების გამოვლენისას მკურნალობის დროულად დაწყება მნიშვნელოვნად აჩქარებს მკურნალობას.

საკვანძო სიტყვები: კუნთის ტროფიკული წყლული, მკურნალობა მცენარეული წარმოშობის პრეპარატ Tropulc-ით

ტროფიკული წყლული, როგორც ვენური დაავადების შეუხორცებელი ჭრილობა, ერთ-ერთ უმძიმესი დაავადებაა. სამწუხაროდ, ტროფიკული წყლულის მკურნალობა მეტად რთული და შრომატევადი პროცესია და როგორც პაციენტის, ასევე ექიმის დიდ ძალისხმევას და ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. მაგალითად, აშშ-ში მის სამკურნალოდ წელიწადში დაახლოებით 2 მილიარდი დოლარი იხარჯება. როგორც გაირკვა, ტროფიკული წყლულის ვენური უკმარისობა არ ყოფილა დაავადების ერთადერთი მიზეზი. ტროფიკული წყლული, უპირველეს ყოვლისა, ქსოვილთა კვების დარღვევით გამოწვეული შეუხორცებელი ჭრილობაა, რაც კანისა და რბილი ქსოვილების დეფექტებზე მიგვანიშნებს. ტროფიკული წყლულების 80% ვენური წყლულებითაა განპირობებული, რაც ვენური უკმარისობის ბოლო სტადიადაა მიჩნეული. წყლული შესაძლოა განვითარდეს არტერიული პათოლოგიის ფონზე და ქრონიკული არტერიული უკმარისობის დროს. ცალკე გამოყოფენ დიაბეტური ტერფის თანმხლებ წყლულებს. წყლული შესაძლოა წარმოიშვას სისტემური დაავადებების – რევმატოიდული ართრიტის, ვასკულიტის, ოსტეომიელიტის

და კანის სიმსივნის შედეგადაც. თუმცა, არსებობს იშვიათი წყლულებიც, მაგალითად, მარტორელის წყლული, რომელიც შესაძლოა გამოვლინდეს ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების პირობებში მიმდინარე არტერიული ჰიპერტენზიის დროს და სხვ. [1-3]. აღსანიშნავია, რომ ქრონიკული არტერიული უკმარისობის დროს ქსოვილების ჟანგბადით მომარაგება საკმაოდ დაქვეითებულია, შედეგად ირღვევა ქსოვილთა კვება, რაც იწვევს ნეკროზისა და შეუხორცებელი ჭრილობის, წყლულის განვითარებას. ვენური წყლულების 85% წვივის ქვედა მესამედის მედიალურ ზედაპირზე აღინიშნება. წყლულის დიაგნოსტიკა არ არის რთული, მისი განვითარება შესაძლებელია უბრალო დათვალიერებითაც კი იქნას დადგენილი თუმცა, საბოლოო დადასტურების მიზნით სპეციალურად ტარდება არაინვაზიური გამოკვლევები, ინფორმაციული დოპლეროგრაფია და დუპლექს სკანირება.

მკურნალობა ხორციელდება ქირურგიული და კონსერვატიული მეთოდებით [4, 7, 11]. დასანანია, რომ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ არაა გამორიცხული მისი ხელახალი განვითარების რისკი. მიუხედავად ტროფიკული წყლულის მკურნალობაში მიღწეული წარმატებებისა, მისი ეფექტური მკურნალობა კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება [5, 10], ამასთან, ჯერ კიდევ გაურკვეველია თუ რა სახის მეთოდებით შეიძლება ჭრილობაში დარღვეული სისხლის მიმოქცევაის აღდგენა, დაზიანებული ქსოვილის კვება და სხვ. დღეისთვის, დაავადების მკურნალობა სამი მიმართულებით მიმდინარეობს: კონსერვატიული, მედიკამენტური და ქირურგიული ჩარევით [6, 12].

სამკურნალოდ გამოიყენება აგრეთვე Sulfonylamide-ის პრეპარატები, ადმინისტრირებულია სპეციალური დანიშნულების ფხვნილები, ანთების საწინააღმდეგო მალამოები, სხვადასხვა სადეზინფექციო, ანტისეპტიკური, მათ შორის კორტიკოსტეროიდებისა და ანტიბიოტიკების გამოყენება [8, 9]. საყურადღებოა, რომ ტროფიკული წყლულის შესახებ პირველი ცნობები ჯერ კიდევ ძვ. წ. 1500 წლის წინ იქნა მოხსენიებული.

წარმოდგენილი მიმოხილვიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ ტროფიკული წყლულის სამკურნალოდ შეგვექმნა და გამოგვეცადა მცენარეული წარმოშობის სამკურნალო იმუნომოდულატორული პრეპარატი Tropulc, რომლის გამოყენებით პრაქტიკულად მოხერხდა ტროფიკული წყლულის განკურნება.

წარმოდგენილი სურათებიდან ნათლად ჩანს ფეხის ტროფიკული წყლულის მცენარეული წარმოშობის პრეპარატ Tropulc-ით მკურნალობის შედეგები. საგულისხმოა, რომ დაავადების გამოვლენისას, მკურნალობის დროულად დაწყების შემთხვევაში განკურნება გაცილებით სწრაფად ხდება. პრეპარატის ინიექცია ხდება კუნთებში 1 მლ მოცულობის ინსულინის შპრიცით დღეში ერთჯერ. მკურნალობისთვის საკმარისია 20 მლ-იანი 3-5 ფლაკონი პროფესორ გ. ალექსიძის მალამოს გამოყენების ფონზე.

სურ. 1. 22 ივლისი; სურ. 2. 22 აგვისტო; სურ. 3. 12 სექტემბერი. სურ. 4. 20 სექტემბერი. სურ. 5. 3 ოქტომბერი; სურ. 6. 22 ნოემბერი; სურ. 7. 3 დეკემბერი; სურ. 8. 29 დეკემბერი; სურ. 9. 7 თებერვალი; სურ. 10. 28 აპრილი; სურ. 11. მაისი; სურ. 12. 8 სექტემბერი; სურ. 13. 20 სექტემბერი

პრეპარატს არ ახასიათებს მეორადი უარყოფითი მოქმედების ნიშნები და მისი სამკურნალოდ გამოყენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესაბამისი კლინიკური გამოცდების შემდეგ.

დასკვნა

სურათების სახით წარმოდგენილია მცენარეული წარმოშობის იმუნომოდულატორ Tropulc-ის პრეპარატის ტროფიკული წყლულის მკურნალობის შედეგები. დადგენილია, რომ კუნთებში 1 მლ ინსულინის შპრიცით პრეპარატის ყოველდღიური ინიექციის შედეგად, პროფესორ გ. ალექსიძის

მალამოს გამოყენების ფონზე მაქსიმალურად მცირდება კუნთის ტროფიკული წყლულით დაავადებულთა უბნის ზომები.

ლიტერატურა

1. *Аралова М.В.* Вестник новых медицинслих технологий, 2013, 20 (2), 25-28.
2. Лечение и уход за венозными трофическими язвами (PJ-I/22.1-2017).
3. https://phlebolog.org/phlebologs/98-semenov-artem-yurevich.
4. https://doi.org/10.1016/B978-1-4377-1604-7.00305-5.
5. *Gonsalves C.F.* Techniques in vascular and interventional radiology, 2003, 6, 132-136.
6. *Grayson M.L., Gibbons G.W., Balogh K. et al.* JAMA, 1995, 27, 721-723.
7. *Jaisanacar T.J., Baruan M.C,. Garg B.R.* Indian Journal of Dermatology, Venerology and Leprology, 2001, 67(1), 49-51.
8. *Jull A., Waters J., Arroll B.* Lancet, 2002, 359, 1550-1554.
9. *Layton A.M., Ibbotson S.H., Davies J.A. et al.* Lancet, 1994, 344, 164-165.
10. *Mayberry J.C., Moneta G.L., Taylor L.M., Porter J.M.* Surgery, 1991, 6, 109, 575.
11. *Portnov A.* Treatment of trophic ulcers on the legs with antibiotics. Last reviewed: 11.04.2020.
12. *Singh N., Armstrong D.G., Lipsky B.A.* JAMA, 2005, 293, 217-228.

ИММУНОМОДУЛИРУЮЩИЙ ПРЕПАРАТ (TROPULC) ДЛЯ ЛЕЧЕНИЯ ТРОФИЧЕСКИХ ЯЗВ

Нугзар Алексидзе[1], Георгий Алексидзе[2]

[1] Университет «Геомеди», Тбилиси; [2] Медицинско-биологический научно-исследовательский центр «Алексис», Тбилиси

РЕЗЮМЕ

В статье в виде рисунков представлены результаты лечения трофической язвы иммуномодулятором растительного происхождения Tropulc. Установлено, что ежедневное внутримышечное введение 1 мл (инсулиновым шприцом) препарата сводит к минимуму размер области трофической язвы мышцы. Для полного излечения достаточно 3-5 ампул препарата. Примечательно, что лечение заболевания не имеет побочных эффектов. Следует отметить, что в случае выявления заболевания, своевременное лечение проходит намного быстрее.

IMMUNOMODULATORY DRUG (TROPULC) FOR THE TREATMENT OF TROPHIC ULCERS

Nugzar Aleksidze[1], George Aleksidze[2]

[1] University "Geomedi",Tbilisi, Georgia; [2] Medical-Biological Scientific-Research Center "Alexsis", Ltd, Tbilisi, Georgia

SUMMARY

The article presents the results of trophic ulcers treatment with the plant immunomodulatory Tropulc in the form of photo figures. It has been established that daily intramuscular injection of 1 ml (with an insulin syringe) of the drug minimizes the size of the trophic muscle ulcer area. For a complete cure, 3-5 ampoules of the drug are enough. It is noteworthy that the treatment of the disease has no side effects. It should be noted that at revealing the disease, timely treatment occurs much faster.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

ეთანოლის ხანგრძლივი მოხმარების ზეგავლენა თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის ცენტრალური რუხი ნივთიერების მორფოფუნქციურ თავისებურებებზე ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომის ექსპერიმენტული მოდელის ცხოველებში

ლალი გეგენავა, ნინო ღვინაძე, სოფო კალმახელიძე, დიანა მუსერიძე

ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი, საქართველო

შესწავლილ იქნა ალკოჰოლის ხანგრძლივი მოხმარების ზეგავლენა თავის ტვინის ცენტრალური რუხი ნივთიერების მორფოფუნქციურ თავისებურებებზე. შეიქმნა ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომის ექსპერიმენტული მოდელის ცხოველთა ჯგუფები. ნაჩვენებია, რომ ეთანოლის ხანგრძლივი მოქმედების შემდეგ რუხი ნივთიერების დორზალურ, მედიალურ და ვენტრალურ უბნებში ნეირონების რიცხვი შემცირდა, გლიური ინდექსის მაჩვენებელის გაზრდა კი მიუთითებს გლიოზის განვითარების შესაძლებლობაზე. მრავალსვლიან ესტაკადურ ლაბირინთში ტესტირების დროს გამოვლინდა ცხოველთა ხანგრძლივი დროის განმავლობაში პლატფორმაზე დაყოვნების ფაქტი. ამგვარად, ეთანოლის ხანგრძლივი მოხმარების შედეგად გამოვლენილი თეთრი ვირთაგვების თავის ტვინის ცენტრალური რუხი ნივთიერების მორფოლოგიური და ფუნქციური მაჩვენებლების ცვლილებები მიუთითებს ეთანოლის ციტოტოქსიკურ ზემოქმედებაზე.

საკვანძო სიტყვები: ეთანოლი, ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომი, ცენტრალური რუხი ნივთიერება

მიუხედავად მრავალწლიანი გამოკვლევებისა თანამედროვე ნეირომეცნიერებასა და მედიცინაში, ალკოჰოლიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთანოლით ინტოქსიკაციის შედეგად თავის ტვინში მიმდინარე იმ დარღვევების მორფოფუნქციური თავისებურებების შესწავლა, რაც შემდგომში განაპირობებს სხვადასხვა ნევროლოგიური დაავადებების განვითარებას. ქრონიკული ალკოჰოლიზმი პროგრესირებადი ნეიროდეგენერაციული დაავადებაა [10]. ალკოჰოლის ხანგრძლივად მოხმარება იწვევს ქრონიკული ალკოჰოლური ნეიროპათიის ჩამოყალიბებას, მათ შორის, ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომის ფორმირებას,

რაც გამოწვეულია როგორც თიამინის დეფიციტით, ასევე ალკოჰოლური ინტოქსიკაციით [1, 4, 6, 16]. თიამინის დონის შემცირება განაპირობებს თავის ტვინში ოქსიდაციური სტრესის ზრდას, ნეირონების მიერ გლუკოზის მოხმარების შემცირებას, გლუტამატის კონცენტრაციის ზრდას, ქრომატინის აგრეგაციას და ნეირონების შეშუპებას და დეგენერაციას. თავის ტვინში ოქსიდაციური სტრესის გაძლიერება მიმდინარეობს ანტიოქსიდანტების გლუტათიონის და სუპეროქსიდდისმუტაზას შემცირების ფონზე [3, 8].

ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომის ფორმირებისას განსაკუთრებით ზიანდება ცენტრალური რუხი ნივთიერების რეგიონი, რომლის სისქეში განლაგებულია სილვიის წყალსადენი. დაზიანება სიმეტრიულად ვრცელდება თავის ტვინის ცენტრალური რუხი ნივთიერების უბანში მესამე პარკუჭის, სილვიის წყალსადენის და მეოთხე პარკუჭის ირგვლივ. ინტოქსიკაციის პროცესები, რომლებიც ვითარდება ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში, უშუალოდ წყალსადენის მიმდებარე უბნებში, ქმნის პირობებს ჰემატოენცეფალური ბარიერის გავლით პარკუჭების ღრუში ეთანოლის მოსახვედრად. აქ ეთანოლი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფება პარკუჭების ამომფენი ეპენდიმური უჯრედების წამწამოვან აპარატთან კონტაქტში, აფერხებს ან სრულად წყვეტს მის მუშაობას, არღვევს საზურგტვინე სითხის ცირკულაციას და ქმნის ჰიპერტენზიის და ჰიდროცეფალიის განვითარების ხელსაყრელ პირობებს [2]. ლიტერატურაში არსებული მონაცემების თანახმად, ქრონიკული ალკოჰოლური ინტოქსიკაციის შედეგად მოზრდილთა მოდელებში აღწერილია თავის ტვინის ნეირონების დაკარგვა, ნათხემის პურკინიეს და მარცვლოვანი უჯრედების აპოპტოზი [11].

ასტროციტები რეაგირებს ცნს-ის დაზიანების ყველა ფორმაზე რეაქტიული ასტროგლიოზის პროცესით, რომელიც წარმოადგენს Cნს-ის სტრუქტურული დაზიანების პათოლოგიურ ნიშანს [13]. ეთანოლით ქრონიკული ინტოქსიკაციისას გლიური უჯრედების სტიმულირების შედეგად თავის ტვინში ანთების მედიატორების წარმოქმნას და ექსპრესიის გაძლიერება განაპირობებს უჯრედების ანთებით გამოწვეულ დაზიანებას და სიკვდილს. გააქტიურებული მიკროგლიის მიერ ციტოკინებისა და სხვა ხსნადი პროდუქტების გამოყოფამ შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ასტროგლიოზის განვითარებაზე [15, 17].

ალკოჰოლის ხანგრძლივი მოხმარების შედეგად გამოწვეული დარღვევები იწვევს კოგნიტურ დეფიციტს, რომელიც შეესაბამება სხვადასხვა ფუნქციურ და სტრუქტურულ ნევროლოგიურ პათოლოგიებს [14].

ამგვარად, არსებული მონაცემების განხილვის საფუძველზე, ჩვენს მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა ალკოჰოლის ხანგრძლივი მოხმარების ზეგავლენა თავის ტვინის ცენტრალური რუხი ნივთიერების მორფოფუნქციურ თავისებურებებზე ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომის ექსპერიმენტული მოდელის ცხოველებში.

მეთოდები

2-თვიან უჯიშო მამრ თეთრ ვირთაგვებს, რომლებიც მოთავსებული იყვნენ ვივარიუმის სტანდარტულ პირობებში, 6 თვის განმავლობაში წყლის ნაცვლად ეძლეოდა მხოლოდ ეთანოლის 15% ხსნარი. რიგი მკვლევარების მიერ დადგენილ იქნა, რომ მღრღნელები დამოუკიდებლად არ ღებულობენ ალკოჰოლს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია ინტოქსიკაციის მკვეთრი ნიშნების გამოსავლენად. ამიტომ, ჩვენს მოდელში ვირთაგვებს არ ჰქონდათ არჩევანის საშუალება, რადგან ისინი ღებულობდნენ მხოლოდ ეთანოლს, რაც განაპირობებდა მათ მაქსიმალურ ინტოქსიკაციას.

აღნიშნული საკითხის შესასწავლად ვიყენებდით შემდეგ მეთოდებს:

1. ნერვული და გლიური უჯრედების რაოდენობა განისაზღვრებოდა ცენტრალური რუხი ნივთიერების სილვიის წყალსადენის მიმდებარე დორსალურ, მედიალურ და ვენტრალურ უბნებში კრეზილ-ვიოლეტით შეღებილ 10 მკმ სისქის ანათლებზე მიკროსკოპის (Amplival, Zeiss) მეშვეობით; ასევე დადგენილი იყო გლიური ინდექსი.

2. ხანგრძლივი ალკოჰოლიზაციის შემდგომ დასწავლისა და მეხსიერების პროცესებზე დაკვირვებას ვახდენდით მრავალსვლიან ესტაკადურ ლაბირინთში. ლაბირინთი შედგებოდა 25 სმ სიმაღლეზე განთავსებული 10 პლატფორმისგან (40×10 სმ), ტესტირების პირობებში ლაბირინთში გადაადგილების მოტივაცია იყო ცხოველის სურვილი თავი დაეღწია ეთოლოგიურად უარყოფითი პირობებისთვის და გადასულიყო ლაბირინთის ბოლოს ბუდე-ყუთში. ასეთი ლაბირინთული ტესტის გამოყენება შესაბამის ექსპერიმენტულ პირობებში ქმნის საკმარისი დონის მოტივაციას ტრენინგისთვის საკვების მიღების გარეშეც. ექსპერიმენტები ტარდებოდა 7 დღის განმავლობაში (ხუთი სესია ყოველდღე). აღირიცხა ცხოველების მიერ დაშვებული შეცდომების რაოდენობა (გადახრა ოპტიმალური ტრაექტორიიდან, ანუ ჩიხში შესვლა) და ლაბირინთის გავლის დრო.

ექსპერიმენტული მასალა სტატისტიკურად დამუშავდა ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით (ANOVA).

შედეგები და მათი განხილვა

რიგი კვლევების შედეგად დადგენილ იქნა, რომ, რაც უფრო ხანგრძლივია ალკოჰოლური ინტოქსიკაცია, მით უფრო დიდია მორფოლოგიური ცვლილებების მასშტაბი. ვირთაგვების გრძელვადიანი ალკოჰოლიზაციის შემდეგ ცენტრალური რუხი ნივთიერების სტრუქტურული თავისებურებების გამოვლენის მიზნით ჩატარდა ნერვული და გლიური უჯრედების ცვლილებების მორფომეტრული კვლევა. ვინაიდან ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომის ფორმირებისას განსაკუთრებით ზიანდება ცენტრალური რუხი ნივთიერება, ხოლო დაზიანება მოიცავს თავის ტვინის მესამე პარკუჭის,

სილვიის წყალსადენის და მეოთხე პარკუჭის მიმდებარე უბნებს, ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა ნერვული და გლიური უჯრედების რაოდენობის ცვლილებები თეთრი ვირთაგვების ცენტრალური რუხი ნივთიერების წყალსადენის მიმდებარე – დორსალურ, მედიალურ და ვენტრალურ უბნებში ვირთაგვების 6-თვიანი ალკოჰოლური ინტოქსიკაციის შემდეგ.

ეთანოლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად ვირთაგვების თავის ტვინის ცენტრალური რუხი ნივთიერების დორსალურ, მედიალურ და ვენტრალურ უბნებში ჩვენ მიერ ნერვული უჯრედების რაოდენობის განსაზღვრის შედეგად გამოვლინდა მათი რაოდენობის შემცირება (სურ. 1).

აღსანიშნავია მონაცემები, რომ ვირთაგვების თავის ტვინის ქერქში გრძელვადიანი ალკოჰოლური ინტოქსიკაციის შედეგად ასევე გამოხატულია ატროფიული პროცესები [7].



სურ. 1. ნეირონების რაოდენობა ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში 6-თვიანი ალკოჰოლიზაციის შემდეგ. ორდინატა – უჯრედების რაოდენობა; აბსცისა – ცენტრალური რუხი ნივთიერების უბნები; ყველა ცვლილება სტატისტიკურად სარწმუნოა

მრავალი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ასტროციტები წარმოადგენს ალკოჰოლის ძირითად სამიზნეს [5]. გლიური ინდექსის განსაზღვრამ აღნიშნულ უბნებში გამოავლინა გლიური ინდექსის ზრდა. ეს უკანასკნელი კი მიუთითებს გლიოზის განვითარების შესაძლებლობაზე (სურ. 2), რაც დამახასიათებელია გლიური უჯრედებისთვის ხანგრძლივი ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს [13].



სურ. 2. გლიური ინდექსი ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში 6-თვიანი ალკოჰოლიზაციის შემდეგ. ორდინატა – პრომილე; აბსცისა – ცენტრალური რუხი ნივთიერების უბნები; ყველა ცვლილება სტატისტიკურად სარწმუნოა

ცნობილია, რომ ალკოჰოლის ხანგრძლივი მოხმარების შედეგად აღინიშნება კოგნიტური ცვლილებები. ამ შემთხვევაში თავის ტვინის დაზიანება წარმოადგენს ალკოჰოლური დაზიანების და თიამინის დეფიციტის ერთდროული ზემოქმედების შედეგს. ეთანოლის მოხმარების შედეგად შეიძლება გამოვლინდეს უჯრედული მეტაბოლიზმის ცვლილებები, რაც ცვლის მოტორულ უნარებს, სწავლას და შემეცნებას. ეთანოლის მიერ პროვოცირებული აპოპტოზი გლიურ უჯრედებში ხელს უწყობს მიელინის გარსის ინტენსიურ ცვლილებას ვირთაგვებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფუნქციური დაქვეითება [9].

ექსპერიმენტების შემდეგ სერიაში შესწავლილ იქნა დასწავლის და მეხსიერების პროცესების ცვლილებები მრავალსვლიან ესტაკადურ ლაბირინთში ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომის ექსპერიმენტული მოდელის ცხოველებში. ვირთაგვების ეთანოლით ხანგრძლივმა ინტოქსიკაციამ გამოიწვია ცვლილებები ცხოველთა დასწავლისა და მეხსიერების პროცესებში. ლაბირინთული ტესტირების პროცესში ვირთაგვას ცდებით და შეცდომებით ლაბირინთის სხვადასხვა ნაწილებში უნდა მოეძებნა ბუდე-ყუთისკენ გადაადგილების ოპტიმალური ტრაექტორია და ბოლოს, გადასულიყო ლაბირინთის ბოლოს ბუდე-ყუთში. აღნიშნულ ექსპერიმენტებში გამოვლინდა ვირთაგვების პლატფორმაზე ხანგრძლივი დაყოვნების ფაქტი, რაც გამორიცხავს ლაბირინთში გადაადგილებას, კერძოდ, ცხოველები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ლაბირინთის გარკვეულ მონაკვეთში (უპი-

რატესად სასტარტო ბაქანზე ან იქვე ახლოს მდებარე რომელიმე პლატფორმაზე) იმყოფებოდნენ გარინდულ მდგომარეობაში, რაც გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს, სანამ ექსპერიმენტატორი არ გადაიყვანდა ბუდე-ყუთის მიმდებარე უბანში, საიდანაც თავისუფლად ჩადიოდნენ ბუდე-ყუთში (სურ. 3).



სურ. 3. ლაბირინთის გავლის სრული დრო. ორდინატა – წმ; აბსცისა – ექსპერიმენტული დღეები. ყველა ცვლილება სტატისტიკურად სარწმუნოა

აღწერილი ფაქტი არ იყო გამოწვეული ალკოჰოლის ზემოქმედებით განპირობებული მოძრაობითი აქტიობის დათრგუნვით, რადგან მათი მოთავსების შემდეგ ლაბირინთის ბოლო ხარიხებზე ისინი საკმაოდ აქტიური მოძრაობის შედეგად ჩადიოდნენ ბუდე-ყუთში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ალკოჰოლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად ჩვენ მიერ გამოვლენილი ცვლილებები წარმოადგენს ალკოჰოლური დაზიანების და თიამინის დეფიციტის ერთდროული ზემოქმედების შედეგს. აქვე აღსანიშნავია მონაცემები, რომელთა თანახმად ხანგრძლივი ალკოჰოლური ინტოქსიკაციის შემდეგ, ნეირონების რაოდენობის შემცირებისა და გლიის ზრდის ფონზე დისტროფიული ცვლილებების ნიშნები უდავოდ მოქმედებს ქერქის ფუნქციობაზე [12].

ამგვარად, თეთრი ვირთაგვების თავის ტვინის ცენტრალური რუხი ნივთიერების მორფოფუნქციურ თავისებურებებზე ალკოჰოლის ხანგრძლივი მოხმარების ზეგავლენის შესწავლამ ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომის ფორმირების შემდეგ, გამოავლინა ნერვული უჯრედების რაოდენობის შემცირება შესწავლილ სტრუქტურებში, გამოვლენილ იქნა აგრეთვე გლიოზის ფორმირების ტენდენცია. დასწავლისა და მეხსიერების პარამეტრების შესწავლის შედეგად გამოვლინდა ცხოველთა ხანგრძლივი დროის გან-

მავლობაში დაყოვნების ფაქტი, რაც მიუთითებს ეთანოლის ციტოტოქსიკურ ზემოქმედებაზე ხანგრძლივი ალკოჰოლური ინტოქსიკაციის შემდეგ.

ლიტერატურა

1. *Дамулин И.В., Шмидт Т.Е.* Невролог. журн., 2004, 9(2), 4-10.
2. *Al Omran A.J., Saternos H.C., Althobaiti Y.S., Wisner A., Sari Y., Nauli S.M.* AbouAlaiwi WA, 2017, Oct 20; 7(1), 13652.
3. *Collins M.A., Neafsey E.J.* Front Mol. Neurosci., 2016, 9, 8.
4. *Day E., Bentham P., Callaghan R. et al.* Cochrane Database Syst Rev., 2004, 1: CD004033.
5. *Hazell A.S. Neurochemistry International, 2009, 55(1-3), 129-135.*
6. *Heap L.C., Pratt O.E., Ward R.J., Waller S., Thomson A.D., Shaw G.K., Peters T.* J. Psychiatr. Genet., 2002, Dec. 12(4), 217-24.
7. *Khokhrina N.T., Kazakova P.B., Rakhmanova V.I.* Zh. Nevropatol. Psikhiatr. Im. S.S. Korsakova, 1991, 91(10), 66-7.
8. *Leevy C.M.* Ann. N. Y. Acad. Sci., 1982, 378, 316-26.
9. *Martinez M., Sauce R., Oliveira S.A., de Almeida Chuffa L.G., Stefanini M.A., Lizarte Neto F.S., Takase L.F., Tirapelli L.F., Martinez F.E.* Tissue Cell, 2015, Aug. 47(4), 389-94.
10. *Nixon K.* Hippocampus, 2006, 16(3), 287-95.
11. *Oliveira S.A., Chuffa L.G., Fioruci-Fontanelli B.A., Lizarte Neto F.S., Novais P.C., Tirapelli L.F., Oishi J.C., Takase L.F., Stefanini M.A., Martinez M., Martinez F.E.* Cerebellum, 2014, Dec. 13(6), 728-38.
12. *Popova E.N., Shchekalina G.A.* Zh. Nevropatol. Psikhiatr. im S.S. Korsakova, 1980, 80(4), 539-44.
13. *Sofroniew M.V., Vinters H.V.* Acta Neuropathol., 2010, Jan, 119(1), 7-35.
14. *Sullivan E., Pfefferbaum A.* Phsychopharmacology (Berl.), 2005, Aug, 180(4), 583-94.
15. *Vallés S.L., Blanco A.M., Pascual M., Guerri C.* Brain Pathol., 2004, 14, 365-371.
16. *Zahr N.M.* Nature Reviews Neurology, 2011, 7, 284-294.
17. *Zhang D., Hu X., Qian L., O'Callaghan J.P., Hong J.S.* Mol. Neurobiol., 2010, Jun, 1 (2-3), 232-41.

ВЛИЯНИЕ ДЛИТЕЛЬНОГО ПОТРЕБЛЕНИЯ АЛКОГОЛЯ НА МОРФОФУНКЦИОНАЛЬНЫЕ ХАРАКТЕРИСТИКИ ЦЕНТРАЛЬНОГО СЕРОГО ВЕЩЕСТВА ГОЛОВНОГО МОЗГА БЕЛЫХ КРЫС НА ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЙ МОДЕЛИ СИНДРОМА ВЕРНИКЕ-КОРСАКОВА

Лали Гегенава, Нино Гвинадзе, Софо Калмахелидзе, Диана Мусеридзе

Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси, Грузия

РЕЗЮМЕ

Было изучено влияние длительного воздействия алкоголя на морфофункциональные особенности центрального серого вещества головного мозга белых крыс. Были созданы группы животных с экспериментальным синдромом Вернике-Корсакова. Было показано, что после длительного воздействия этанолом в дорзальном, медиальном и вентральном областях центрального серого вещества количество нервных клеток уменьшается, а повышенный показатель глиального индекса указывает на возможность формирования

глиоза. Тестирование в многоходовом эстакадном лабиринте показало, что животные долгое время задерживались на платформах. Таким образом, изменения морфофункциональных показателей центрального серого вещества головного мозга белых крыс, выявленные в результате длительного потребления этанола, свидетельствуют о цитотоксическом действии этанола.

INFLUENCE OF LONG-TERM ALCOHOL CONSUMPTION ON MORPHO-FUNCTIONAL CHARACTERISTICS OF THE CENTRAL GRAY MATTER OF THE WHITE RATS BRAIN IN EXPERIMENTAL MODEL OF WERNICKE-KORSAKOV SYNDROME

Lali Gegenava, Nino Gvinadze, Sopho Kalmakhelidze, Diana Museridze

I. Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi, Georgia

SUMMARY

The effect of prolonged exposure to alcohol on the morphofunctional features of the central gray matter of the brain of white rats was studied. Groups of animals with experimental Wernicke-Korsakov syndrome were created. It was shown that after prolonged exposure to ethanol in the dorsal, medial and ventral regions of the central gray matter, the number of nerve cells decreases and an increased glial index indicates the possibility of gliosis formation. Testing in a multiway estacade labyrinth revealed the fact that the animals were delayed on the platform for a long time. Thus, changes in the morphological and functional parameters of the central gray matter of the brain of white rats detected as a result of prolonged consumption of ethanol indicate the cytotoxic effects of ethanol.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

მაიონიზებელი რადიაციის გავლენა ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ტკივილის მგრძნობელობაზე

მიხეილ გოგებაშვილი, მერაბ ცავარელი, ივლიანე ნოზაძე, ნაზი ივანიშვილი

ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი

შესწავლილია გამა-დასხივების ზემოქმედების გავლენა ლაბორატორიული თეთრი თაგვების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ნაჩვენებია, რომ რადიაციის ჯამური დოზისგან დამოუკიდებლად, საცდელი ცხოველების სიცოცხლის ხანგრძლივობის ფარგლები არსებითად განსხვავებულია. კერძოდ, პირველი დასხივებიდან (4.5 გრეი) 6 და 12 თვის შემდეგ 3 გრეი დოზით ფრაქციული დასხივებისას, სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლებში 7 კვირაზე მეტი სხვაობა შეინიშნება. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მაიონიზებელი რადიაციის მოქმედების კვლევისას, ამ პროცესის დინამიკური მახასიათებლებისა და რადიომგრძნობელობის დონის გათვალისწინების მნიშვნელობას. თეთრი თაგვების ტკივილის მგრძნობელობის დონეზე შორეული პოსტრადიაციული ეფექტების შესწავლისას ნაჩვენებია, რომ ტკივილის საპასუხო რეაქციების შესუსტება შეიძლება ორგანიზმის რადიაციული დაბერების შედეგს წარმოადგენდეს და ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიმდინარე ცვლილებებით იყოს განპირობებული.

საკვანძო სიტყვები: გამა-რადიაცია, სიცოცხლის ხანგრძლივობა, თეთრი თაგვები, ტკივილისადმი მგრძნობელობა

ცოცხალ ორგანიზმში პირველადი რადიობიოლოგიური ეფექტები გამოვლენას დასხივებისთანავე იწყებენ, რაც იწვევს სხვადასხვა ფორმის პათოლოგიების განვითარებას (მაგ., მწვავე სხივური დაავადება) [1, 12, 16]. დროის გარკვეული შუალედის გასვლის შემდეგ, ავადმყოფი „გამოჯანმრთელდება“ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში კლინიკური სიმპტომები შეიძლება არ გამოუვლინდეს. თუმცა, „გამოჯანმრთელებულ“ ორგანიზმს შემდგომში უვითარდება დასხივებით ინდუცირებული მეორადი ეფექტები [9]. ფუნდამენტურ რადიობიოლოგიაში ასეთ ცვლილებებს უწოდებენ დასხივების შორეულ შედეგებს. აღნიშნული ცვლილებები ადამიანში შეიძლება გამოვლინდეს 10 ან მეტი წლის შემდეგ, ლაბორა-

ტორიულ ცხოველებში კი – დასხივებიდან რამდენიმე თვეში. ეს პროცესები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა სამედიცინო პათოლოგიების დროს რადიოთერაპიული მიდგომების გამოყენებისას [4, 5, 11]. შორეულ რადიობიოლოგიურ ეფექტებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება: სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება, ლეიკოზების გაჩენა, ავთვისებიანი სიმსივნეები, კატარაქტები.

დასხივების შორეული შედეგები, მორფოლოგიური ცვლილებების სახით, შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერ ორგანოსა და ქსოვილზე, მაგ., კანის საფარველზე, ძვლებზე, ხრტილებსა და შინაგან ორგანოებზე. ეს ცვლილებები გამოხატულებას ჰპოვებს ქსოვილების დასხივებული ნაწილების გასქელებასა და ატროფიაში; ხრტილოვანი წარმონაქმნების, სახსრების, სისხლძარღვების ელასტიურობის დაკარგვაში; ძვლების სიმყიფის ზრდაში და ა.შ. დასხივების შორეულ შედეგებს მიაკუთვნებენ, აგრეთვე, ენდოკრინულ სისტემაში განვითარებულ დარღვევებს, იმუნიტეტის დაქვეითებას, ორგანიზმის ნაყოფიერების შემცირებასა და უნაყოფობას [13]. თუმცა, ყველაზე უნივერსალურ ეფექტს, რომელიც პათოლოგიის მრავალი სხვადასხვა ფარული ფორმის ინტეგრაციას ახდენს, წარმოადგენს ორგანიზმის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირების ეფექტი [15]. დადგენილია, რომ არსებობს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება დასხივების შთანთქმულ დოზასა და სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირების მახასიათებლებზე. ამასთანავე, გაურკვეველი რჩება დასხივების დოზის კუმულაციის დინამიკა სიცოცხლის ხანგრძლივობის დონესთან მიმართებაში.

კვლევის ობიექტი და მეთოდები

ცდები ჩატარდა გამა-რადიაციით დასხივებულ ლაბორატორიულ თეთრ თაგვებზე. თითოეულ ჯგუფში გამოყენებული იყო 30 ცხოველი. რადიაციული ზემოქმედება წარმოებდა გამა-დანადგარზე, რომლის დასხივების წყაროს წარმოადგენს რადიოიზოტოპი – ^{137}Cs (დოზის სიმძლავრე – 1.1 გრეი/წთ). 3-5 გრეი დოზათა ინტერვალში დასხივებული ცხოველები, საკონტროლო – დაუსხივებელ ცხოველებთან ერთად, თავსდებოდნენ სტანდარტულ პირობებში 12 თვის განმავლობაში. ტკივილის ინტენსიურობა შეისწავლებოდა მღრღნელებში კარგად აპრობირებული ქცევითი – კუდის მოქნევის, ცხელი ფირფიტის, თერმულ და მექანიკურ სტიმულებზე თათის მოცილების ტესტებით.

შედეგები და მათი განხილვა

დაბერებისა და სხივური დაავადების მრავალი გარეგანი ნიშნის მსგავსების გამო, დიდი ხანია რადიობიოლოგიაში არსებობს მოსაზრება, რომ მაიონიზებელი რადიაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მოსახერხებელი საშუალება დაბერების დაჩქარების მოდელირებისა და იმ

მიზეზთა გამოვლენის შესწავლისთვის, რომლებიც განსაზღვრავს სიცოცხლის ხანგრძლივობას. თუმცა, უკანასკნელ წლებში წარმართულმა კვლევებმა აჩვენა აღნიშნული ეფექტის რიგი ინდივიდუალური თავისებურებანი დოზურ კუმულაციასთან მიმართებაში. ამ უკანასკნელი საკითხის კვლევის მიზნით, გამოვიყენეთ საცდელი ცხოველების ფრაქციული დასხივების მეთოდი. პირველი რადიაციული ზემოქმედებისთვის შერჩეულ იქნა დოზათა ინტერვალი 3-4.5 გრეი (სურ. 1).



სურ. 1. მწვავე გამა-დასხივების გავლენა თაგვების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. პუნქტირით აღნიშნულია ნახევარლოგარითმული ტრენდი; ისრებით გამოყოფილია გამოყენებულ დოზათა ინტერვალი

როგორც ჩანს, დოზათა ეს ინტერვალი იწვევს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დაქვეითებას, შესაბამისად – 15-22 კვირამდე. ფრაქციული დასხივების სქემის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა კუმულაციური რადიობიოლოგიური ეფექტის ადეკვატურობის განსაზღვრაში რადიაციული ზემოქმედების პოსტრადიაციული პერიოდის სხვადასხვა ეტაპებზე. საკვლევი თაგვების განსაზღვრული პოპულაციის რადიორეზისტენტობის კონკრეტული დონის დადგენისთვის განხორციელდა ერთჯერადი ტოტალური გამა-დასხივება 3.0 და 4.5 გრეი დოზებით. როგორც სურათიდან 2 ჩანს (დიაგრამა 2-2, 2-3), ამ ვარიანტებში დაფიქსირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დაქვეითება, შესაბამისად – 85 და 70 კვირამდე დაუსხივებელი ვარიანტების 89-კვირიან დონესთან შედარებით. საკვლევი მოდელის დოზური კუმულაციის დინამიკის შესწავლისთვის ჩატარდა ფრაქციული გამა-დასხივება.

4.5 გრეი დოზით დასხივებული ცხოველები დაექვემდებარნენ განმეორებით დასხივებას პოსტრადიაციული პერიოდიდან 6 და 12 თვის შემდეგ. როგორც სურათიდან 2 ჩანს (დიაგრამა 2-4 და 2-5), მიუხედავად იმისა, რომ

ჯამური დოზა ორივე ჯგუფის ცხოველებისთვის ერთნაირია, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის მახასიათებლები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან: თუ პირველ შემთხვევაში, როდესაც ფრაქციული დასხივება ჩატარდა პოსტრადიაციული პერიოდის მე-6 თვეს, სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი არ აღემატებოდა 57 კვირას, პოსტრადიაციული პერიოდის 12 თვის შემდეგ განხორციელებული ფრაქციული დასხივებისას იგივე მახასიათებელმა შეადგინა 64 კვირა.

მთლიანობაში, მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის დროს აშკარაა, რომ დასხივების შორეული შედეგები ჩნდება იმ მექანიზმების რადიაციული რღვევის შედეგად, რომლებიც განაპირობებს ორგანიზმის ჰომეოსტაზს.



სურ. 2. დასხივების გავლენა საცდელი ცხოველების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. 1 – საკონტროლო (დაუსხივებელი); 2 – ერთჯერადი მწვავე დასხივება 4.5 გრეი დოზით; 3 – ერთჯერადი მწვავე დასხივება 3.0 გრეი დოზით; 4 – ფრაქციული დასხივება დოზით 7.5 გრეი (4.5+3.0), მეორე დასხივება 6 თვის შემდეგ; 5 – ფრაქციული დასხივება დოზით 7.5 გრეი (4.5+3.0), მეორე დასხივება 12 თვის შემდეგ

დღეისთვის არ არსებობს საბოლოო მოსაზრება ასეთი დარღვევების იმ კონკრეტული მექანიზმების შესახებ, რომლებსაც ორგანიზმი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის რადიაციულ დაქვეითებასა და რადიაციულ დაბერებასთან მიჰყავთ. ამის გამო, ხანგრძლივი სიცოცხლის გენეტიკური მემკვიდრეობის საკითხი ნაკლებად თვალსაჩინოა მხოლოდ გენეტიკურ დონეზე. ც. გოდრიკმა [7], სწავლობდა რა ხანგრძლივი სიცოცხლის მემკვიდრული გადაცემის საერთო ხასიათს თაგვების 4 ინბრიდულ და 6 ჰიბრიდულ ხაზში, აჩვენა, რომ 6 ჰიბრიდული ხაზიდან 5 აღმოჩნდა

ზედომინანტური, ხოლო ერთში აღინიშნა ხანგრძლივი სიცოცხლის დომინანტური მემკვიდრული გადაცემა [7].

გენეტიკური ანალიზი ადასტურებს, რომ დაბერების ფაქტორი გენომში წარმოდგენილია სულ ერთი ლოკუსით, რომელიც იდენტურია ყველა ხაზისთვის და მოქმედებს მეორეული სპეციფიკური ფაქტორების შემდეგ. ავტორთა უმრავლესობა (დამემკვიდრების) მემკვიდრული გადაცემის ზედომინანტურ ეფექტს ხსნის ჰეტეროზიგოტური გენების გამოვლენის ალბათობის გაზრდით, რომლებსაც უჯრედების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების უნარი შესწევთ დამაზიანებელი ფაქტორების (ტემპერატურა, რადიაცია და ა.შ.) ზემოქმედების უფრო ფართო დიაპაზონში. უდავოა ის ფაქტი, რომ დაზიანებები ჩნდება უჯრედულ დონეზე და ვლინდება სტრუქტურებისა და ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური პროცესების რღვევაში ქსოვილებში, ორგანოებსა და მთელ ორგანიზმში.

ამგვარად, დასხივებულ ცოცხალ ორგანიზმთან მიმართებაში ჩვენ მიერ მიღებულმა შედეგებმა კიდევ ერთხელ აჩვენა კომპლექსური კვლევების განხორციელების საჭიროება სისტემურ-ორგანიზმულ დონეზე.

ცოცხალი ორგანიზმის „რადიაციული დაბერების“ პროცესი და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დაქვეითება მიეკუთვნება უნივერსალურ შორეულ რადიობიოლოგიურ ეფექტებს [8]. ცნობილია, რომ პოსტრადიაციულ პერიოდში დაბერების ინტენსივობის მაჩვენებლის ზრდა ხასიათდება შინაგანი კანონზომიერებებით. ამასთანავე, არსებობს რადიაციული დაბერების რაღაც ინდივიდუალური სპეციფიკა, რაც გამოიხატება ორგანიზმის განვითარების თავისებურებებით – მისი სხვადასხვა სისტემების ასაკობრივი ცვლილებების დონით [2, 10]. სწორედ ამით განისაზღვრება დაბერებასა და პათოლოგიებთან დაკავშირებული მრავალი ინდივიდუალური თავისებურება, რომლითაც აიხსნება ამა თუ იმ დაავადების გამოვლენა ხანდაზმულ და დაბერებულ ორგანიზმებში [14].

ბუნებრივია, რომ პოსტრადიაციული პროცესების ინტეგრირებული ანალიზის დროს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) ფიზიოლოგიურ მაჩვენებლებს ნორმასა და სხვადასხვა პათოლოგიების გამოვლენისას [6]. ცნობილია, რომ ცნს-ის ბიოლოგიური ორგანიზაციით განისაზღვრება მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ორგანიზმის ფუნქციების ინტეგრირებაში. ერთი მხრივ, ის უზრუნველყოფს უფრო დასრულებულ შეგუებით რეაქციებს, რომლებიც მიმართულია ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებისკენ და, მეორე მხრივ, თვით ცნს-ში გაჩენილი არსებითი ასაკობრივი ცვლილებები ხდება ორგანიზმის დაბერების წამყვანი ფაქტორი.

დაბერებისას შეგუების ფორმირების რთულ პროცესებში, ცხადია, ცენტრალურ ადგილს იკავებს ნერვული უჯრედი (ნეირონი) მისი რეცეპ-

ტორული, ინტეგრალური, გამტარი და ეფექტორული ფუნქციებით. ამიტომ ნეირონების მეტაბოლიზმის, სტრუქტურის, ფუნქციის ასაკობრივი ცვლილებების მნიშვნელობა შეიძლება შეფასდეს იმ როლიდან გამომდინარე, რომელსაც ცნს ასრულებს რადიაციული დაბერების გამოვლენაში. დაბერებისას ფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლა სიბერეში პათოლოგიების განვითარების უნარის მქონე კონკრეტული ძვრების არსის დადგენის საშუალებას იძლევა.

ამგვარად, ცნს-ის დონეზე რადიაციული დაბერების მოდელის კვლევამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააფართოოს ჩვენი შეხედულება შორეული რადიობიოლოგიური ეფექტების ფორმირების შესახებ. თანამედროვე თვალთახედვით, აღნიშნული მოდელი შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ მწვავე რადიაციული ზემოქმედების შედეგად განვითარებული პოსტრადიაციული ტკივილის მგრძნობელობის შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეფექტის მნიშვნელობა დადასტურებულია მრავალრიცხოვან შრომებში, დასხივების შორეული მოქმედების საკითხი ჯერ კიდევ საკმარისად არ არის გამოკვლეული [3]. ამასთან დაკავშირებით, შეცადეთ ტკივილის ეფექტები გამოგვეკვლია რადიაციული ზემოქმედების რეალიზაციიდან ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ.

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ მაიონიზებელი რადიაციის ზემოქმედებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, საცდელ ცხოველებში სტატისტიკურად სარწმუნოდ გაიზარდა აღნიშნული რეფლექსების ფარული პერიოდი და მექანიკური ზღურბლი. თუ გავითვალისწინებთ პოსტრადიაციული პერიოდის ხანგრძლივობას (12 თვე), ცხადი გახდება, რომ საქმე გვაქვს კომპლექსური არასპეციფიკური რეაქციის ფორმირებასთან, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რადიაციული დაბერების პროცესებს. რადიაციული დაბერების ფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლა საშუალებას იძლევა დადგინდეს იმ კონკრეტული ძვრების არსი, რომლებიც განაპირობებს სიბერეში პათოლოგიის განვითარებას.

დაბერების პროცესის მოდელირების საკითხი არასაკმარისად არის შესწავლილი. მოდელთა უმრავლესობა, რომლებიც მიმართულია შეცვლილი სისტემების დროებითი დახასიათებისკენ, ყოველთვის არ იძლევა საშუალებას ზუსტად იქნას დადგენილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ფიზიოლოგიური დაბერების მრავალსაფეხურიან პროცესებს შორის. როგორც სურათიდან 3 ჩანს, ჩვენ მიერ გამოყენებულ დოზათა ინტერვალი ექსპერიმენტულად დაბერებულ ცხოველთა პოპულაციის მიღების საშუალებას იძლევა.

ამასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ორი რადიობიოლოგიური პროცესი, კერძოდ: 1) უშუალო რადიაციული დასხივება იმ ქსოვილის, რომლითაც განისაზღვრება ტკივილით გამოწვეული რეაქცია და 2) რადიაციული დაბერების შედეგად ორგანიზმის სისტემური ცვლი-

ლებები. თუ გავითვალისწინებთ რ. დირკსენის [3] მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, ცალკეული ნერვული ქსოვილის დასხივება არ იწვევს ჩვენი ექსპერიმენტის შედეგის მსგავს ეფექტს. როგორც სურათიდან 3 ჩანს, პოსტრადიაციული პერიოდის 12 თვის შემდეგ, ტესტირების სხვადასხვა მეთოდებით მიღებულია ტკივილის საპასუხო რეაქციის ინტენსივობის სარწმუნო დაქვეითება.



სურ. 3. შორეული რადიაციული ეფექტების ფორმირება ტკივილის რეაქციის დონეზე. A – კუდის მოქნევის ტესტური რეაქცია; B – ცხელ ფილაზე საპასუხო რეაქციის ტესტური რეაქცია; 1 – საკონტროლო; 2 – დასხივებული ჯგუფი

დასკვნა

დადგენილ იქნა, რომ ერთნაირი ჯამური დოზური დატვირთვის დროს (ერთჯერადი და ფრაქციული მწვავე დასხივება) თაგვებში რადიაციული ეფექტის ფორმირება განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს. ეს ფაქტი აუცილებლად გასათვალისწინებელია ექსპერიმენტების დაგეგმვისას, რომლებიც დაკავშირებულია ლაბორატორიული ცხოველების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლებზე სხვადასხვა მამოდიფიცირებელი ფაქტორების გავლენასთან.

თაგვებში შორეულ პოსტრადიაციულ პერიოდში აღნიშნული ტკივილის რეაქციის გამომხატველი დაცვითი რეფლექსების ფარული პერიოდებისა და მექანიკური ზღურბლის გაზრდა მიუთითებს, უპირატესად, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში განვითარებული პროცესების დაქვეითებაზე. საკითხი – თუ რამდენად არის დაკავშირებული აღნიშნული პროცესები უშუალოდ პოსტრადიაციულ დაბერებასთან, საჭიროებს შემდგომ კვლევას.

ლიტერატურა

1. *Barabanova A.V., Bushmanov A.J., Kotenko K.V.* Encyclopedia of Environmental Health, 2011, 1-8.
2. *Chandra A., Park S., Pignolo R.J.* Bone, 2019, 120, 423-431.
3. *Dirksen R., Oosterveld* https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/0024320594901201 – !B., Egmond J. van. Life Sciences, 1994, 54, Issue 23, 1815-1823.
4. *Eng T.Y., Abugideiri M., Chen T.W., Madden N., Xu K.* Hematology/Oncology Clinics of North America, 2020, 34, Issue 1, 229-251.
5. *Gardner S.J., Kim J., Chetty I.J.* Hematology/Oncology Clinics of North America, 2019, 33, Issue 6, 947-962.
6. *Georgakis M.K., Ntinopoulou E., Chatzopoulou D., Petridou E.Th.* Annals of Epidemiology, 2017, 27, Issue 9, 593-602.
7. *Goodric C.L.* Journal of Gerontology, 1975, 30, 257-263.
8. *Griffin R.J.* International Journal of Radiation Oncology. Biology, Physics, 2006, 66, Issue 2, 1, 627.
9. *Jarrett D.G., Sedlak R.G., Dickerson W.E., Reeves G.I.* Radiation Measurements, 2007, 42, Issues 6-7, 1063-1074.
10. *Kuzmic M., Galas S., Lecomte-Pradines C., Dubois C., Sandrine Frelon S.* Free Radical Biology and Medicine, 2019, 134, 657-665.
11. *Minogue Sh., Gillham Ch., Kearney M., Mullaney L.* Technical Innovations & Patient Support in Radiation Oncology, 2019, 12, 3-15.
12. *Murray R.L., Keith E. Holbert K.E.* Nuclear Energy (Eighth Edition), 2020, 161-176.
13. *Murshed H.* Chapter 3: Radiation Biology. Fundamentals of Radiation Oncology (Third Edition), 2019, 57-87.
14. *Stephen A.E., Chen K.T., Milas M., Siperstein A.E.* Surgery, 2004, 136, Issue 6, 1143-1153.
15. *Thompson A.C., Blakely E.A., Bjornstad K.A., Chang P.Y., Schwarz R.A.* A Synchrotron-Based X-ray Exposure Station for Radiation Biology Experiments. Nuclear Instruments and Methods in Physics Research Section A: Accelerators, Spectrometers, Detectors and Associated Equipment, 2007, 582, Issue 1, 11, 226-228.
16. *Yamamoto K., Takeda N., Morimoto T., Hashimoto T., Yamatodani A.* Japanese Journal of Pharmacology, 2000, 82, Suppl. 1, 225.

ДЕЙСТВИЕ ИОНИЗИРУЮЩЕЙ РАДИАЦИИ НА ПРОДОЛЖИТЕЛЬНОСТЬ ЖИЗНИ И ЧУВСТВИТЕЛЬНОСТЬ К БОЛИ У ЖИВЫХ ОРГАНИЗМОВ

Михаил Гогебашвили, Мераб Цагарели, Ивлиане Нозадзе, Нази Иванишвили

Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси

РЕЗЮМЕ

В работе изучается закономерность действия гамма-излучения применительно к продолжительности жизни лабораторных белых мышей. Показано, что независимо от суммарной дозы радиации, предельная продолжительность жизни экспериментальных групп животных существенно различается. В частности, через 6 и 12 месяцев после первого облучения (4.5

Гр), при фракционном облучении 3 Гр наблюдалась разница в показателях продолжительности жизни более 7 недель. Этот факт еще раз доказывает важность учета динамических показателей и уровня радиочувствительности этого процесса при исследовании действия ионизирующего излучения на продолжительность жизни живых организмов.

Для изучения отдаленных пострадиационных эффектов на уровне болевой чувствительности белых мышей, показано, что замедление болевой ответной реакции может быть следствием радиационного старения организмов и связанных с этими изменениями в центральной нервной системе.

THE EFFECT OF IONIZING RADIATION ON LIFE EXPECTANCY AND SENSITIVITY TO PAIN IN LIVING ORGANISMS

Michael Gogebashvili, Merab Tsagareli, Ivliane Nozadze, Nazi Ivanishvili

Iv. Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi, Georgia

SUMMARY

The regularity of cumulative gamma-radiation doses are studied in this work with respect to the life span of laboratory white mice. It is shown that regardless of the total dose of radiation, ultimate radiation effect – life span of experimental animal groups is substantially different. Specifically, after 6 and 12 months from the first radiation exposure (4.5 Gy), more than 7 weeks difference in indicators of life span was observed during fractional irradiation by 3 Gy. This fact, once again, confirms the importance of taking into account the dynamic and radiosensitivity indicators of this process during research of ionizing radiation action on the life span of living organisms. In this work, which considers distant post-radiation effects at the level of formation of pain sensitivity in white mice, it has been shown that the reduction of behavioral responses to irritation can be a result of radiation aging of organisms and related changes in the central nervous system.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ.46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

კანაფის მოწევის გავლენა მხედველობით ყურადღებაზე: ემებ-ს, მოვლენასთან დაკავშირებული პოტენციალების ანალიზი და ნეიროფსიქოლოგიური შეფასება

თეონა გუბიანური[1], ელენე ქოქრაშვილი[1], მალხაზ მაყაშვილი[1], ირმა ხაჩიძე[2]

[1] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი; [2] ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო კანაფის მოწევის გავლენის შესწავლა მხედველობით ყურადღებაზე 30 კანაფის ხშირად და იშვიათად მომხმარებელსა და 30 არამწეველში. კვლევაში გამოვიყენეთ მხედველობითი სტიმულების გარჩევის ტესტი, ელექტროენცეფალოგრამის (ემებ) და მოვლენასთან დაკავშირებული პოტენციალების პარალელური რეგისტრაციით და, აგრეთვე, შულტეს ცხრილები და არეული ხაზების ტესტი. თრობის მდგომარეობაში ცდის პირებმა მეტი შეცდომა დაუშვეს არეული ხაზების ტესტში, ვიდრე ფხიზელ მდგომარეობაში, აგრეთვე, საკონტროლო ცდის პირებთან შედარებით. კანაფის ხშირ მომხმარებლებს აღენიშნებოდათ P300-ის ლატენტური დროის მატება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. კანაფის მომხმარებლებში N200-ის ამპლიტუდა ნაკლები იყო საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. კვლევის შედეგებმა დაადასტურა კანაფის მოხმარების უარყოფითი გავლენა მხედველობით ყურადღებაზე.

საკვანძო სიტყვები: კანაფი, ემებ, მოვლენასთან დაკავშირებული პოტენციალი

კანაფის მომხმარებელთა რიცხვის განუხრელი ზრდა მსოფლიოში [17], კანაფის შემადგენლობაში არსებული ფსიქოაქტიური დელტა-9-ტეტრაჰიდროკანაბინოლის (THC) შემცველობის მატება ახალ ჰიბრიდულ ჯიშებში და, რაც მთავარია, მკვეთრად წინააღმდეგობრივი ფაქტები კანაფის მოხმარების ფსიქიკაზე ზეგავლენის შესახებ [1-3, 5, 6, 10, 11, 14, 16] აღძრავს ინტერესს THC-ის ნერვულ სისტემაზე ზეგავლენის შემდგომი შესწავლის მიმართ. ჩვენ შევამოწმეთ კანაფით თრობის ფონზე ყურადღების ტესტების შესრულების ხარისხი და გავაანალიზეთ კვლევის მონაწილეთა ემებ და მოვლენასთან დაკავშირებული პოტენციალი (Event-related potential, ERP). წინამდებარე ნაშრომში ვარჩიეთ ადგილი დაგვეთმო კვლევის დეტალური აღწერისთვის შესავლის კეთების ხარჯზე. ამიტომ მოკლედ ვიტყვით, რომ

ამ მიმართულებით არსებული სამეცნიერო მონაცემებიც წინააღმდეგობრივია [6, 7, 9 13, 19]. კვლევის მეთოდები კი, თუმცა მრავალფეროვანია, მაგრამ თითოეულის გამოყენებით ჩატარებულ კვლევათა რაოდენობა მცირე და რაიმე დასკვნის გამოსატანად არასაკმარისია. არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც გვიბიძგებს მსგავსი კვლევის ჩატარებისკენ. აუცილებელია ფართო საზოგადოების ყურამდე მივიტანოთ რაც შეიძლება მეტი, რა თქმა უნდა, მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტი კანაფის მოწევის მავნებლობის შესახებ, რათა ადამიანმა სწორად შეაფასოს მითი ამ ნარკოტიკის სრული უვნებლობის შესახებ და გაუფრთხილდეს საკუთარ ჯანმრთელობას.

მასალა და მეთოდები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 30-მა კანაფის მომხმარებელმა ხელმისაწვდომი შერჩევის პრინციპით. მათგან 18 იყო მამაკაცი, 12 – ქალი, ასაკი 21-30 წელი. გამოვყავით 2 ჯგუფი: ხშირი მომხმარებლები (10 მამაკაცი და 5 ქალი), რომლებიც მოიხმარენ კვირაში 5-ჯერ ან მეტჯერ და იშვიათი მომხმარებლები (8 მამაკაცი და 7 ქალი.), რომლებიც მოიხმარენ კანაფს კვირაში 1-2 ჯერ. კვლევაში ასევე მიიღო მონაწილეობა 30-მა არამომხმარებელმა (18 მამაკაცი და 12 ქალი, ასაკი – 28-30 წელი). კვლევაში არ გამოვიყენეთ იმ ადამიანების მონაცემები, რომლებმაც აღნიშნეს ბოლო 3 თვის განმავლობაში სხვა ფსიქოაქტიური ნარკოტიკების ან დიდი რაოდენობით ალკოჰოლის მიღება (10 ან მეტი ალკოჰოლური სასმელი კვირაში), და გადაჭარბებული სიგარეტის მოხმარება (30 ან მეტი ღერი დღეში). ცდისპირებს ვთხოვეთ ეეგ-ს ჩაწერამდე 24 საათით ადრე არ მიეღოთ ალკოჰოლი და კანაფი, ხოლო ჩაწერის წინ არ მიეღოთ კოფეინი და ნიკოტინი. ყველა ცდისპირი იყო ინფორმირებული კვლევის შინაარსის შესახებ, მათ მოაწერეს ხელი კვლევაში მონაწილეობის თანხმობას. ამავდროულად, ის ცდისპირები, რომლებიც კვლევის პროცესში ეწეოდნენ კანაფს, არიან მისი მომხმარებელნი, საკუთარი ნებით დათანხმდნენ კანაფის მოწევას ექსპერიმენტის მსვლელობის დროს. ცდისპირებს გავაცანით კვლევის შინაარსი და მიზნები.

გამოვიყენეთ მედიკომის წარმოების აპარატი „ენცეფალანი“, ელექტროდების განთავსების 10-20 სისტემა, 24 ელექტროდით. ვიზუალური ძიების ტესტში, ERP-ს რეგისტრაციის მეთოდიკური რეკომენდაციის [18] მიხედვით, ვიწერდით ცდისპირების ეეგ-ს და ERP-ს, 10 წუთის განმავლობაში, სამიზნე სტიმულს ვაჩვენებდით 300-ჯერ, 400 მს განმავლობაში, 600 მს ინტერვალებით. ამ პროცედურას მოსდევდა შესვენება, რომლის განმავლობაში საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლები ისვენებდნენ, ხოლო კანაფის მომხმარებლები ეწეოდნენ ერთ ღერ კანაფის სიგარეტს – 0.40 გრამი კანაფის შემცველობით. იმის გათვალისწინებით, რომ ამ მეთოდით მოწევისას ბოლის დაახლოებით 50-60% იკარგება, ცდისპირები მოიხმარდნენ დაახლოებით 16-20 მილიგრამ THC-ს. 10 წუთის განმავლობაში ვე-

ლოდებოდით კანაფის ზეგავლენის დაწყებას. რესპონდენტის მიერ კანაფის გავლენის შეგრძნების დასტურის შემდეგ განმეორებით ვიწერდით ᲔᲔᲒ-ს და ERP-ს. ERP-ის ანალიზისთვის გამოვიყენეთ პროგრამა EEGLAB. ზედმეტი ხმაურის მოსაშორებლად გამოვიყენეთ 100 Hz ფილტრები ზედა და 0.10 Hz – ქვედა ზღვარისთვის. მონაცემები დაიყო 800 მილისეკუნდიან ეპოქებად (ინტერვალებად), რომლებიც შედგება 200 მილისეკუნდისგან. MAT-LAB-ის მეშვეობით დადგინდა კონკრეტული კომპონენტების ამპლიტუდასა და ლატენტური დროის განსხვავებების სანდოობა.

ვიზუალური ძიების ტესტში მხედველობითი სტიმულების ექსპოზიცია ხდებოდა მონიტორის ეკრანზე. ეკრანზე ერთდროულად ჩნდებოდა ხუთი სტიმული – სამი ვერტიკალურად, ორი კი ვერტიკალური სტიმულებიდან შუას მარჯვნივ (***ა***) და მარცხნივ (***ბ***). პირობა ასეთი იყო: თუკი ***ა*** განსხვავდება ვერტიკალურად განლაგებული რომელიმე სტიმულისგან, რესპონდენტს ევალება დააჭიროს თითი თაგუნას მარჯვენა ღილაკს, ხოლო თუკი განსხვავდება ***ბ*** – მარცხენა ღილაკს. თუ ***ა*** და ***ბ*** შუაში არსებული სამი ნახატიდან რომელიმეს მსგავსია, მაშინ რესპონდენტი არ აჭერს ღილაკს. პასუხები ავტომატურად აღირიცხებოდა და მუშავდებოდა შესაბამისი პროგრამით. მხედველობითი ყურადღების ნეიროფსიქოლოგიურ კვლევაში გამოვიყენეთ შულტეს და არეული ხაზების ტესტები, რომლებიც კარგად ცნობილი და მრავალჯერ აპრობირებულია და ამიტომ მათი დეტალური აღწერისგან თავს ვიკავებთ. აღნიშნული ტესტები მწეველთა ჯგუფს ჩაუტარდა ორჯერ. პირველად – ფხიზელ მდგომარეობაში და მეორედ – ორი თვის შემდეგ კანაფის თრობის ქვეშ. დასწავლის ფაქტორი გამორიცხული იყო, რამდენადაც ცდისპირებს ყოველ ჯერზე მიეწოდებოდათ განსხვავებული განლაგების ელემენტების (ციფრები, ხაზები) მქონე ნიმუშები.

მიღებული შედეგები

ყველა ცდისპირმა წარმატებით გაართვა თავი შულტეს ტესტს და განსხვავება ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო. არეული ხაზების ტესტში, მწეველებმა ფხიზელ მდგომარეობაში შეძლეს საშუალოდ 16.2 SD = 4.3 ხაზის დაბოლოების პოვნა 10 წუთის განმავლობაში, ნარკოტიკით თრობის შემთხვევაში – 12.7, SD = 5.6. ხოლო საკონტროლო ჯგუფმა შეძლო 16.7-ის, SD = 3.7 ხაზის დაბოლოების მოძებნა. დამოუკიდებელი ჯგუფების t-ტესტის მიხედვით განსხვავება საკონტროლო ჯგუფსა და თრობის მდგომარეობაში მყოფ მწეველებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა (t(58) = -3.193, p = .035). Effect size (Cohen's d) = 0.83. მსგავსი შედეგი არ დაფიქსირებულა საკონტროლო ჯგუფსა და ფხიზელ მდგომარეობაში მყოფ კანაფის მომხმარებელ ინდივიდებს შორის (t(58) = -.45, p = .65). T-კრიტერიუმი დაწყვილებული ქულებისთვის გამოთვლის შედეგად დადასტურდა განსხვავების არსებობა მწეველების ორ მდგომარეობას შორის. კანაფის მომხმარებლებს

ფხიზელ მდგომარეობასა (M = 16.2 SD = 4.3) და კანაფის მომხმარებელი თრობის მდგომარეობას (M = 12.7, SD = 5.6) შორის დაფიქსირდა სხვაობა (t(29) = -3.96, p = .016).

კანაფის მომხმარებლების პირველ და მეორე ᲔᲔᲒ ჩანაწერს შორის განსხვავების შემჩნევა შეუიარაღებელი თვალითაც იყო შესაძლებელი. რამდენადაც დავალება, რომლის შესრულებაც მოითხოვდა მუდმივ ყურადღებას, პირველი ჩანაწერის განმავლობაში ძირითადად შეიმჩნეოდა β (14-30 Hz) ტალღები. კანაფის მიღების შემდეგ უკვე შესაძლებელი იყო α (8-13 Hz) ტალღების შემჩნევა.

ERP-ის ანალიზისთვის სპეციალური ყურადღება ექცეოდა Pz-ის მონაცემებს, რამდენადაც სწორედ ეს ელექტროდი არის განთავსებული თხემის წილში, სადაც კვლევების მიხედვით P300 განსაკუთრებით შესამჩნევია [8]. P300-ის ლატენტური დროის და ამპლიტუდის გასაზომად ავირჩიეთ 290-650 მილისეკუნდიანი ფანჯარა (ამ დროის ინტერვალში აღმოცენებული პოზიტიური პიკები შეიძლება ჩაითვალოს P300-ად), რამდენადაც P300-ის ამპლიტუდა მეტყველებს კოგნიტური პროცესების არსებობაზე, რომელთა მოვალეობაა სტიმულის კატეგორიზაცია. ხშირი მწეველების შემთხვევაში, ფხიზელ მდგომარეობაში P300 აღმოცენდა 450 მილისეკუნდზე, მისი ამპლიტუდა M = 1.02, SD = 0.3 μV. თრობის მდგომარეობაში მყოფი ხშირი მწეველების შემთხვევაში P300-ის ლატენტური პერიოდი ფხიზელ მდგომარეობასთან შედარებით დაგვიანებულია. იგი აღმოცენდა სტიმულის წარდგენიდან 530 მილისეკუნდში (იხ. სურ. 1). აღნიშნულ დროში სხვაობა პროგრამის მიხედვით სტატისტიკურად სანდოა (p = .03). დროში სხვაობის მიუხედავად, ამპლიტუდაში განსხვავება არ შეიმჩნევა. კანაფის იშვიათი მომხმარებლები ფხიზელ და თრობის მდგომარეობაში განსხვავდებოდნენ P300 კომპონენტის ლატენტური პერიოდით 305 და 320 მს, შესაბამისად (p = .141). საკონტროლო ჯგუფში P300-ის აღმოცენების ლატენტური პერიოდი იყო 310 მს, ამპლიტუდა M = 1.5, SD+0.5 mV (იხ. სურ. 2). ეს მონაცემი სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდებოდა ხშირი მომხმარებლების მონაცემისგან (ორივე, ფხიზელ და თრობის მდგომარეობაში, შესაბამისად p = .024 და p = .02). N200-ის ლატენტურობა და ამპლიტუდა გავზომეთ სტიმულის წარდგენიდან 150-300 მილისეკუნდიან ფანჯარაში (ამ დროის ინტერვალში აღმოცენებული ნეგატიური პიკები შეიძლება ჩაითვალოს N200-ად). განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება Fz ელექტროდის მონაცემებზე, რამდენადაც სწორედ ეს ელექტროდი არის განთავსებული შუბლის წილში, ხოლო N200 ასოცირდება ინჰიბიციასთან და სწორედ შუბლის წილშია კარგად შესამჩნევი [4]. კანაფის ხშირ მომხმარებლებში, ფხიზელ მდგომარეობაში N200 აღმოცენდა 140 მს ლატენტობით M = -1.1, SD = 0.6 μV ამპლიტუდით. ხშირი მწეველების თრობის მდგომარეობის შემთხვევაში 150 მილისეკუნდის შემდეგ M = -1,2, SD = 0.5 μV. N200-ის ლატენტურ პერიოდსა და ამპლიტუდაზე არ მოუხდენია

გავლენა კანაფის მიღებას ხშირ და იშვიათ მწევლებში. რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფს, მათთან N200-ის შემჩნევა გახდა შესაძლებელი შედარებით გვიან 210 მილისეკუნდის შემდეგ, მწეველ ჯგუფებთან შედარებით უფრო მაღალი ამპლიტუდით M = 3.5, SD = 0.8 μV. განსხვავება დაფიქსირდა კანაფის ხშირ მომხმარებლებსა (ფხიზელ და თრობის მდგომარეობასა) და საკონტროლო ჯგუფში N200 ის ამპლიტუდას შორის (p = .03), (p = .04).



ხშირი მწეველი ფხიზელ მდგომარეობაში



ხშირი მწეველი თრობის მდგომარეობაში

სურათი 1



სურათი 2. საკონტროლო ჯგუფი

შედეგების განხილვა

კანაფის მოწევის ზეგავლენა გამოაშკარავდა არეული ხაზების ტესტში და არა შულტეს ტესტში. შესაძლოა ეს განპირობებული იყოს იმით, რომ არეული ხაზების ტესტის შესრულება გაცილებით მეტ გონებრივ დაძაბვას მოითხოვს, ვიდრე შულტეს ტესტის შესრულება. კანაფის მოწევის შემდეგ ეეგ-ს ჩანაწერში α ტალღების მატება უნდა იყოს კანაფის მათრობელა ეფექტის შედეგი, რამდენადაც ეს ტალღები ასოცირდება რელაქსაციასა და თვლემასთან. მსგავსი შედეგი დასტურდება სხვა კვლევებშიც [12].

საინტერესოა, რომ საკონტროლო ჯგუფში და კანაფის ხშირ მომხმარებლებში, მათ ფხიზელ მდგომარეობაში, P300-ის ამპლიტუდა მსგავსია, მაგრამ კანაფის მომხმარებლებში მომატებულია P300-ის აღმოცენების ლატენტობა. როგორც ჩანს, კანაფის ხშირ მომხმარებლებს შედარებით დიდი დრო სჭირდებათ მხედველობითი სტიმულის კატეგორიზაციისთვის, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლებს. აღნიშნული ფაქტი არ გამოვლენილა იშვიათ მწეველებში, რაც ადასტურებს მოსაზრებას, რომ, რაც უფრო ხშირად ეწევა ადამიანი კანაფს, მით უფრო გვიანდება P300 კომპონენტი [15].

N200-ის უფრო დაბალი ამპლიტუდა კანაფის ხშირ და იშვიათ მომხმარებლებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით გვაფიქრებინებს, რომ კანაფის მომხმარებლებს უფრო გაუჭირდათ მხედველობით გამღიზიანებელზე არასასურველი რეაქციის (არასწორი პასუხის) გაკონტროლება, დათრგუნვა. კვლევის შედეგები ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ კანაფის მოხმარების შედეგად იზრდება იმპულსური ქცევა და ქვეითდება თვითკონტროლი [15].

ცდის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კანაფს რელაქსაციის მიზნით ეწევიან. ამ ნარკოტიკს მართლაც აქვს ეს ეფექტი, რაც ჩვენს კვლევაში ეეგ ჩანაწერში გამოჩნდა კიდეც. მაგრამ არ არსებობს გარანტია, რომ კანაფის მოწევის შემდეგ ადამიანი, რელაქსირებულ და უფრო მეტიც, მოდუნებული მხედველობითი ყურადღების პირობებში (რაც კვლევამ გამოავლინა) მანქანის საჭეს არ მიუჯდება ან ფრთხილად იქნება სამანქანო გზის გადაკვეთისას, ყურადღებას მიაქცევს შუქნიშანს და ასე შემდეგ. მიღებული მონაცემები იმასაც გვიჩვენებს, რომ აღნიშნული რისკის ქვეშ ადამიანი იმყოფება არა მხოლოდ უშუალოდ კანაფის მოწევის შემდეგ, არამედ ფხიზელ მდგომარეობაშიც, თუ ის კანაფის ხშირი მომხმარებელია. საეჭვოა, რომ მოდუნებული ყურადღება, განსაკუთრებით კანაფის ხშირ მომხმარებლებში, ხელს უწყობდეს ინფორმაციის ათვისებასა და პროფესიულ ზრდაში. იმედი გვაქვს, რომ ჯანდაცვის და განათლების სფეროს წარმომადგენლები ჩვენ მიერ მიღებულ მონაცემს ყურად იღებენ და გამოიყენებენ ანტინარკოტიკული პროპაგანდისთვის. ეს ინფორმაცია ალბათ დამაფიქრებელი მაინც იქნება იმ ადამიანებისთვისაც, რომლებიც

უპასუხისმგებლოდ ამტკიცებენ კანაფის მოხმარების სრულ უვნებლობას მას-მედიით ან პირად საუბარში.

დასკვნა

კანაფის მოხმარება აზიანებს მხედველობით ყურადღებას. ეს ფაქტი უნდა იქნას გათვალისწინებული ჯანდაცვის სამინისტროსა და ნარკოპოლიტიკის მესვეურების მიერ. ამავდროულად, აუცილებლად უნდა გაიზარდოს საზოგადოების ცნობადობა, განსაკუთრებით ახალგაზრდების, კანაფის მოხმარების პრევენციის მიზნით.

ლიტერატურა

1. *Abizaid A., Merali Z., Anisman H.* Journal of psychiatry & neuroscience, 2019, 44(2), 75-78.
2. *Bahorik A.L, Leibowitz A., Sterling S.A, Travis A., Weisner C., Satre D.D.* J. Affect Disorder, 2017, 213, 168-171.
3. *Bolla K.I., Eldreth D.A., Matochik J.A., Cadet J.L.* Neuroimage, 2005, 26(2), 480-92.
4. *Falkenstein M., Hoormann J., Hohnsbein J.* Acta Psychol. (Amst.), 1999, 101(2-3), 267-91.
5. *Freeman T., Van der Pol P., Kuijpers W., Wisselink J., Das R., Ringer S.* Psychol. Med., 2018, 48(14), 2346-23.
6. *Hunault C.C., Mensinga T.T, Böcker K.B.E. et al.* Psychopharmacology (Berl.), 2009, 204(1), 85-94.
7. *Juckel G., Roserb P., Nadulskic T., Stadelmann A.M., Gallinat J.* Schizophrenia Research, 2007, 97(1-3), 109-117.
8. *Kok A.* Psychophysiology, 2001, 38(3), 557-77.
9. *Roser P., Juckel G., Rentzsch J., Nadulski T., Gallinat J., Stadelmann A.* European Neuropsychopharmacology: the Journal of the European College of Neuropsychopharmacology, 2008, 18(8), 569-577.
10. *Pertwee R.G.* British journal of pharmacology, 2008, 153(2), 199-215.
11. *Pope H.G., Jr, Gruber A.J., Hudson J.I., Huestis M.A., Yurgelun-Todd D.* Arch. Gen. Psychiatry, 2001, 58(10), 909-15.
12. *Prashad S., Dedrick E.S, Filbey F.M.* Neuroimage, 2018, 179, 176-186.
13. *Ramaekers J.G., Kauert G., Theunissen E.L., Toennes S.W., Moeller M.R.* J. Addict. Med., 2011, 5(1), 1-8.
14. *Scott J.C., Slomiak S.T., Jones J.D., Rosen A.F.G., Moore T.M., Gur R.C.* JAMA Psychiatry, 2018, 75(6), 585-595.
15. *Solowiji N., Pesa N.* Brazilian journal of psychiatry, 2010, 32, Suppl. 1, S31-40.
16. *Stampanoni B.M., Sancesario A., Morace R., Centonze D., Iezzi E.* Cannabis and cannabinoid research, 2017, 2(1), 21-29.
17. World Drug Report, 2018. United Nations publication, Sales No. E.18.XI.9.
18. *Woodman G F.* Attention, perception & psychophysics, 2010, 72(8), 2031-46.
19. *Zuurman L., Ippel A.E., Moin E., van Gerven J.M.* British journal of clinical pharmacology, 2009, 67(1), 5-21.

228

ВЛИЯНИЕ КУРЕНИЯ КАННАБИСА НА ЗРИТЕЛЬНОЕ ВНИМАНИЕ: НЕЙРОПСИХОЛОГИЧЕСКИЙ И ЭЭГ АНАЛИЗ

Теона Губианури[1], Елене Кокрашвили[1], Малхаз Макашвили[1], Ирма Хачидзе[2]

[1] Государственный университет Ильи; [2] Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Целью работы являлось изучение воздействия курения каннабиса на зрительное внимание тридцати субьектов, систематически и периодически потребляющих каннабис и тридцати контрольных некурящих. Были использованы таблицы Шульте, тест перепутанных линий, а также тест обнаружения зрительного стимула в комбинации с регистрацией вызванных потенциалов. Под влиянием каннабиса участники допустили больше ошибок в тесте перепутанных линий, чем в трезвом состояни и также по сравнению с контролем. Латентность P300 была повышена у участников, систематически потребляющих каннабис, по сравнению с контролем. Амплитуда N200 была ниже у потребителей каннабиса, по сравнению с контролем. Предположительно, потребление каннабиса отрицательно сказывается на зрительное внимание.

THE IMPACT OF SMOKING CANNABIS ON VISUAL ATTENTION: EEG AND NEUROPSYCHOLOGICAL ANALYSIS

Teona Gubianuri[1], Elene Kokrashvili[1], Malkhaz Makashvili[1], Irma Khachidze[2]

[1] Ilia State University; [2] Iv. Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi

SUMMARY

Current study was aimed at the investigation of the impact of smoking cannabis on visual attention in 30 cannabis frequent and occasional users, as well as in 30 nonsmoking controls. Visual stimulus detection test, in combination with the registration of EEG and Event related potentials, as well as the Schulte Tables and the Tangled lines test were used in the study. Cannabis users under the influence made more errors in the tangled lines test, as compared to the sober cannabis users and control subjects. Latency of the P300 was found increased in the frequent users of cannabis, as compared to the control group. The amplitude of N200 was less in cannabis users, as compared to the control group. The results obtained suggest the negative impact of cannabis use on the visual attention.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

პოლიტრავმულ პაციენტებში გრძელი ლულოვანი ძვლების დაზიანების მკურნალობის თანამედროვე კონცეფცია – DAMAGE CONTROL

ნუგზარ ელიზბარაშვილი, შადიმან სახვაძე, კობა სირბილაძე, გაჟა კახნიძე

აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, თბილისი

Damage control არის ახალი ტაქტიკა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პოლიტრავმით დაავადებულთა მკურნალობის ორგანიზებისთვის. ორთოპედიაში დაზიანების კონტროლი გამოიყენება პაციენტებისთვის, რომლებსაც აქვთ თავის ტვინის, ხერხემლის, გულმკერდის, შინაგანი ორგანოების შერწყმული ტრავმა. ამ დიაგნოზების ფორმულირება მაქსიმუმ 1 საათში უნდა მოხდეს შესაბამისი გადაუდებელი დახმარების ორგანიზებით. მკურნალობა იყოფა ორ ეტაპად: ეტაპი 1 – ასეთ პაციენტებში მინიმალური ტრავმატოლოგიური მანიპულაციები ტარდება დაზიანების მომენტიდან პირველ 24 საათში. მაგალითად, გარეგანი ფიქსაციის აპარატის დადება, თაბაშირის იმობილიზაცია ან ჩონჩხოვანი დაჭიმვა, რაც შინაგან ორგანოებსა და თავის ტვინზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ხორციელდება; ეტაპი 2 – სრული სტაბილიზაციის შემდეგ დაზიანების მომენტიდან 4-14 დღეში ტარდება საბოლოო ოსტეოსინთეზი.

საკვანძო სიტყვები: ლულოვანი ძვლები, მოტეხილობა, პოლიტრავმა, გარეგანი ფიქსაციის აპარატი

ბოლო ათწლეულებში ტრავმატიზმის ზრდასთან ერთად გაიზარდა იმ პოლიტრავმების რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა ორგანოების შერწყმული და მრავლობითი დაზიანებით მიმდინარეობს. ეს შეუძლებელს ხდის აღდგენითი ოპერაციების ერთ ეტაპად გაკეთებას. ასეთი პაციენტების მკურნალობის წარმატება განისაზღვრება არა მარტო გამოცდილი სპეციალისტების ყოლით, არამედ მთელი რიგი ახალი მიდგომებით, რომელიც გამომუშავებულია თანამედროვე ქირურგიის, ანესთეზიის და რეანიმაციის მიღწევებით.

პოლიტრავმული პაციენტების დახმარების დახვეწა ყველაზე აქტუალური ამოცანაა თანამედროვე ტრავმატოლოგიისთვის, რამეთუ ის წარმოადგენს სიკვდილიანობის ძირითად მიზეზს ახალგაზრდა და საშუალო ასაკის

მოსახლეობაში. პოლიტრავმული პაციენტების 70%-ს აღენიშნება გრძელი ლულოვანი ძვლების სერიოზული დაზიანება, რაც ამძიმებს ზოგად მდგომარეობას და აძნელებს მკურნალობას.

მეორე მხრივ, ეს მოტეხილობები არ წარმოადგენს სიცოცხლის უშუალო საფრთხეს და მათი მკურნალობა შესაძლოა დაიყოს ორ ან მეტ ეტაპად. პირველ ეტაპზე უსაფრთხო, უბრალო მეთოდის გამოყენებით, შემდგომ კი რთული აღდგენითი ოპერაციული მკურნალობით, რომელიც ჩატარდება პაციენტის მდგომარეობის სრული ან ნაწილობრივი კომპენსაციით და მისი სიცოცხლის მინიმალური რისკებით.

80-იან წლებში მოწოდებულ იქნა გადაუდებელი ტოტალური დახმარების კონცეფცია – ETC (early total care), რომელიც უშვებდა ერთმომენტიან ქირურგიულ ჩარევას პირველ 24 საათში. იგულისხმება როგორც შინაგანი ორგანოების, ასევე ორთოპედიული დაზიანებები. ETC კონცეფცია გახდა პოლიტრავმული პაციენტების დახმარების აღმოჩენის ოქროს სტანდარტი. ის უნივერსალურად გამოიყენებოდა დაზარალებულთა ყველა ჯგუფში, მიუხედავად დაზიანებათა სიმძიმისა. ოსტეოსინთეზის შემდეგ ავადმყოფები ხდებოდნენ მობილურები, რაც ამცირებდა ფილტვისმიერ გართულებებს, მოტეხილობის ზონიდან წყდებოდა ტკივილის იმპულსაცია, ხდებოდა სისხლდენის ადეკვატური შეჩერება, რაც ამცირებდა შოკის ხანგრძლივობას. ამ კონცეფციას ჰქონდა ასევე ეკონომიკური ეფექტი, ვინაიდან მცირდებოდა მკურნალობის ვადები. თუმცაღა, 80-იან წლების ბოლოს ტრავმატოლოგიური ქირურგიის განვითარებამ აჩვენა, რომ ასეთი მიდგომა არაეფექტურია იმ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნება კრიტიკული დაზიანებები.

დაზიანებულებში ხანგრძლივი ოპერაციული ჩარევა, განსაკუთრებით ქალა-ტვინის, გულმკერდის, მუცლის ღრუს ორგანოების დაზიანებით, რომელთაც აღენიშნებოდათ არასტაბილური ჰემოდინამიკური მაჩვენებლები, მთავრდებოდა ლეტალობით როგორც ოპერაციის დროს, ასევე ადრეულ პოსტოპერაციულ პერიოდში. ვითარდებოდა პოლიორგანული უკმარისობა, პნევმონია, სეფსისი.

უცხოურ ლიტერატურაში ამ პერიოდს უწოდებენ მომიჯნავე მდგომარეობის ერას – the borderline era. მომიჯნავე მდგომარეობების შესაფასებლად 1990 წ. პოლიტრავმის მართვის ჰონოვერის სკოლის მიერ შემოთავაზებული იქნა სისტემა – damage control (DCS) – დაზიანებათა კონტროლი. აღნიშნული პრინციპი გვთავაზობს ქირურგიული დახმარების ორ ან მეტ ეტაპად დაყოფას, როდესაც გადაუდებელი ქირურგიული ჩარევის ტრავმატულობა და ხანგრძლივობა აღემატება ორგანიზმის ფუნქციურ შესაძლებლობებს, ხოლო დაზიანებული სტრუქტურების ერთმომენტიან და საბოლოო აღდგენას მივყავართ დაზარალებულის სიკვდილამდე ან მძიმე პოსტოპერაციულ გართულებამდე. ამ ორი სისტემის – ETC და DCS შედა-

რებისას, G. Taeger და თანაავტორები [19] აღნიშნავენ, რომ DCS-ის დროს, ოპერაციული სისხლის დანაკარგი 10-ჯერ ნაკლებია, შემცირებულია ასევე ოპერაციული ჩარევის დამატებითი ტრავმული ზემოქმედება და პოსტოპერაციული გართულებები.

ტერმინი – damage control surgery მოწოდებულია 1993 წ. M. Rotondo-ის და თანაავტორების მიერ [17].

მუცლის ღრუს ორგანოების დაზიანებები ქირურგებისთვის შედგებოდა სამი ეტაპისგან.

პირველი ეტაპი – სისხლდენის და ბაქტერიული დაბინძურების შემცირება.

მეორე ეტაპი – ინტენსიური ანტიშოკური თერაპია რეანიმაციულ განყოფილებაში, რომელიც მიმართულია ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციის სტაბილიზაციისკენ (ჰემოტრანსფუზია, კოაგულოპათიის კორექცია, დაზარალებულის გათბობა, ჰემოდინამიკური მაჩვენებლების მხარდაჭერა, ვენტილაციური მხარდაჭერა, აციდოზთან ბრძოლა და სხვ.).

მესამე ეტაპი – საბოლოო ქირურგიული ჩარევა.

2001 წ J. Jonson და თანაავტორებმა გააფართოვეს დამაგე ცონტროლ-ის კონცეფცია და გამოყვეს მეოთხე ეტაპი – ground zero, რაც გულისხმობს სტაციონარამდე პირველად სამედიცინო დახმარებას (სამკურნალო დაწესებულებაში სწრაფი ტრანსპორტირება, სისხლდენის შეჩერების მინიმალური მანიპულაციების ჩატარება, ჰიპოთერმიის პროფილაქტიკა, მასიური ტრანსფუზური თერაპიისთვის მომზადება).

ასეთმა პრაქტიკამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მძიმე პოლიტრავმების გამოსავალი და ბევრ დაზარალებულს შეუნარჩუნა სიცოცხლე, რომლებიც ადრე უპერსპექტივოდ ითვლებოდნენ.

დაზიანებათა კონტროლის პროტოკოლები ცალ-ცალკე იქნა გამოყოფილი მუცლის ღრუს, თორაკალური, ქალა-ტვინის, სპინალური და ორთოპედიული ტრავმებისთვის DCS (damage control surgery) ქირურგიულ დაზიანებათა კონტროლი.

მძიმე პოლიტრავმების დროს ძირითადი პათოფიზიოლოგიური დარღვევებია: მეტაბოლური აციდოზი pH 7.2 ნაკლები, ჰიპოთერმია, სხეულის ტემპერატურა 34°C ნაკლები, ჰიპოტენზია სისტოლური ა/წ 90 მმ ვ.წ.ს. ნაკლები, კოაგულოპათია, აქტივიზებული თრომბოპლასტინის დრო 60 წამზე მეტი. ეს ტრიადა განსაზღვრავს ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ზღვარს, რომლის დროს ტექნიკურად წარმატებულად შესრულებული ოპერაციაც კი განწირულია ლეტალური გამოსავლისთვის.

პრაქტიკაში damage control-ის წარმატებული გამოყენებისთვის საჭიროა შეფასდეს სამი ფაქტორი: 1. საწყისი ტრავმის სიმძიმე (პირველი დარტყმა – the first hit), 2. პაციენტის ბიოლოგიური კონსტიტუცია, ასაკი, წონა, თანმხლები დაავადებები, 3. აუცილებელი ოპერაციების რაოდენობა ხანგრძლივობისა და სისხლის დანაკარგის გათვალისწინებით (მეორე დარტყმა – the second hit).

კრიტიკულ ჯგუფში მყოფ პაციენტებში პირველ ეტაპზე გამოიყენება მხოლოდ კონსერვატიული ფიქსაციის მეთოდები. ფუნქციურად სტაბილური ოსტეოსინთეზები ამ ჯგუფში გამოიყენება მეორე ეტაპზე, ზოგადი მდგომარეობის სტაბილიზაციის შემდეგ, მე-4-14 დღეს ტრავმის მიღებიდან.

ამაგე control ტაქტიკის გამოყენებისას ტრავმატოლოგის ქმედება მძიმე პოლიტრავმებისას მდგომარეობს შემდეგში: პრიორიტეტი ეძლევა ოპერაციებს მუცლის ღრუს ორგანოების, მცირე მენჯის, გულმკერდის, თავის ტვინის დაზიანებებისას. ეს პაციენტები იყოფა ორ ან სამ ფაზადაც კი, პაციენტის სიმძიმიდან გამომდინარე. სტაბილურ და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს, რომლებსაც აღენიშნება გრძელი ლულოვანი ძვლების დაზიანება, პირველივე ფაზაში ედებათ გარეგანი ფიქსაციის აპარატი (არაკეროვანი ოსტეოსინთეზი), როგორც პირველადი საფიქსაციო საშუალება (EX FIX).

აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში damage control კონცეფცია ტრავმატოლოგების მიერ ემერჯენსის გახსნის დღიდან გამოიყენება. ეს კონცეფცია გამოიყენება ბარძაყის, მენჯის, გრძელი ლულოვანი ძვლების მოტეხილობების, ბარძაყის და წვივის ტრავმული ამპუტაციების დროს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგს: რა ორგანოების დაზიანება ერწყმის საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ტრავმებს. ყველაზე მეტი არაკეთილსაიმედო გამოსავალი და გართულებები აქვს გულმკერდის და ქალა-ტვინის დაზიანებებით შერწყმულ ტრავმებს.

Damage control-ის ეფექტური გამოყენებისთვის პოლიტრავმული პაციენტები იყოფიან ოთხ ჯგუფად: სტაბილური, გარდამავალი, არასტაბილური, კრიტიკული. მიღებული დაზიანებების სიმძიმე განისაზღვრება ქულების შეფარდებით AJS და JSS, ქალა-ტვინის ტრავმის სიმძიმე – გლაზგოს შკალით (CGS), ასევე ა/წ მაჩვენებელი, გულის რიტმი, სუნთქვის სიხშირე, ჰემოგლობინის დონე, ჰემატოკრიტი.

ამრიგად, Damage control – არის არასტაბილურ და კრიტიკულ მდგომარეობაში პოლიტრავმებით დაზარალებულთა მკურნალობის ტაქტიკა.

Damage control ortopedics – ექვემდებარებიან ის პაციენტები, რომელთაც საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანებათა გარდა, აღენიშნებათ ქალა-ტვინის, გულმკერდის, მუცლის ღრუს და მცირე მენჯის შერწყმული ტრავმები.

მკურნალობა შედგება ორი ეტაპისგან: პირველი ეტაპი – დაზარალებულს კრიტიკულ მდგომარეობაში ტრავმის მიღებიდან 24 საათშივე უტარდება მინიმალური ტრავმატოლოგიური ჩარევები, თავის ტვინისა და მუცლის ღრუს ორგანოებზე ოპერაციების შემდეგ ედება გარეგანი ფიქსაციის აპარატი, როგორც პირველადი საფიქსაციო საშუალება, თაბაშირით ან ორთეზით იმობილიზაცია.

მეორე ეტაპზე ტრავმიდან მე-4-14 დღეს სრული სტაბილიზაციის შემდეგ ანესთეზიოლოგთან და რეანიმატოლოგთან შეთანხმებით ტარდება საბოლოო აღდგენითი ოპერაცია – ოსტეოსინთეზი.

ამ მიდგომით აკ. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში 2010-2020 წლებში წარმატებით ნამკურნალებია 1238 პაციენტი სხვადასხვა შერწყმული დაზიანებებით. ეს მიდგომები გამართლებულია და ჩვენს კოლეგებს ვუწევთ რეკომენდაციას გამოიყენონ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ლიტერატურა

1. Абакумов М.М., Богопольский П.М. Журнал им. Н.И. Пирогова, 2007, 11, 59-62.
2. *Гуманенко Е.К., Шаповалов В.М., Дулаев А.К., Дадыкин А.В.* Военно-мед. журн., 2003, 4, 17-24.
3. *Соколов В.А.* Вестник травматологии и ортопедии. 2005, 1, 81-84.
4. *Шапошников Р.А., Манукьян Г.В., Шерцингер А.Г.* Журнал «Хирург», 2009, 1, 55-59.
5. *Шапошников Р.А., Манукьян Г.В., Шерцингер А.Г.* Журнал «Врач скорой помощи», 2009, 5, 4-9.
6. *Blazhenko A.N., Zavrazhnov A.A., Dubrov V.E., Blazhenko A.A.* Скорая медицинская помощь, 2011, 12, 4, 68-75.
7. *Boss M., Mac-Kenzie E., Reimer A. et al.* J. Bone Joint Surg., 1997, 79A, 799-809.
8. *Boss M., Tejwani N.C.* Injury, 2004, 37, 1, 20-28.
9. *Brooks J.* CMAJ, 2006, 7, 727 p.
10. *Guerado E., Bertrand M.L., Cano J.R., Cerván A.M., Galán A.* World J. Orthop,. 2019, Jan 18, 10(1), 1-13.
11. *Hotchkiss R., Wolfe S.W., Kozin S.H., Pederson W.C.* Green's operative hand surgery. 7th ed. Elsevier, 2016. 2091 p.
12. *Karlbauer A., Woidke R.* Вестник травматологии и ортопедии, 2003, 3, 16-19.
13. *Matveev R.P.* Polytrauma: organizational and therapeutic aspects. Arkhangelsk: Publishing Center of the SSMU, 2006. 274 p. Russian (Матвеев Р.П. Политравма: организационные и лечебные аспекты. Архангельск: Издательский Центр СГМУ, 2006. 274 с.)
14. *Pape H.C., Turnetta P., Tarkin I.* J. Am. Acad. Orthop. Surg., 2009, 17(9), 541-549.
15. *Przkova R., Bosch U.J.* Trauma, 2002, 53, 765-769.
16. *Renaldo N., Egol K.* Am. J. Orthop., 2006, 35(6), 285-291, p. 291.
17. *Rotondo M.F. et al.* J. Trauma. 1993, 35, 3, 375-382.
18. *Shibajyoti G. et al.* Indian J. Surg., 2004, 66, 6, 336-340
19. *Taeger G, Ruchholtz S, Waydhas C.* Damage control orthopedics in patients with multiple injuries is effective, time saving. Trauma. 2005; 59(2): 409-416; discussion p. 417

234

СОВРЕМЕННАЯ КОНЦЕПЦИЯ ЛЕЧЕНИЯ ПОВРЕЖДЕНИЙ ДЛИННЫХ ТРУБЧАТЫХ КОСТЕЙ У ПОЛИТРАВМАТИЧЕСКИХ БОЛЬНЫХ – DAMAGE CONTROL

Нугзар Элизбарашвили, Шадиман Сахвадзе, Коба Сирбиладзе, Важа Кахнидзе

Центральная университетская клиника им. акад. Н. Кипшидзе, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Damage control – это новая тактика организации лечения больных с политравмой, которые находятся в критическом состоянии. Damage control ortopedics – подлежат больные в сочетании с травмой головного мозга, позвоночника, грудной клетки, внутренних органов. Постановка этих диагнозов не должна занимать много времени – максимум 1 час при хорошей организации неотложной помощи. Лечение делится на два этапа: 1 этап – у таких пострадавших в первые 24 часа с момента травмы выполняется минимум травматологических манипуляций. Например, наложение аппарата внешней фиксации, гипсовая иммобилизация или скелетное вытяжение. После операции на внутренних органах и на головном мозге; 2 этап – через 4-14 дней с момента травмы после полной стабилизации выполнение окончательного остеосинтеза.

THE MODERN CONCEPT OF TREATMENT OF LONG TUBULAR BONE DAMAGE IN POLYTRAUMATIC PATIENTS – DAMAGE CONTROL

Nugzar Elizbarashvili, Shadiman Sakhvadze, Koba Sirbiladze, Vazha Kakhnidze

Acad. N. Kipshidze Central University Clinic, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Damage control is a new tactic for organizing the treatment of patients with polytrauma who are in critical condition. Damage control ortopedics is used for the patients with the trauma to the brain, spine, chest, internal organs. The formulation of these diagnoses should not take long, maximum 1 hour with good organization of emergency care. Treatment is divided into two stages: Stage 1 – in such injured, a minimum of traumatological manipulations are performed in the first 24 hours from the moment of injury. For example, the imposition of an external fixation apparatus is plaster immobilization or skeletal traction. After surgery on internal organs and on the brain; Stage 2 – in 4-14 days from the moment of injury after complete stabilization, the final osteosynthesis is performed.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

მაღალი ჰიპერდიპლოიდიის პროგნოზული მნიშვნელობა მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებში

ალლა ზედგინიძე[1] [3], ასმათ შენგელაია[2], გიორგი ორმოცაძე[1], მაია რუხაძე[3], თამარ ჭავჭავაძე[2]

[1] ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი; [2] მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკო-ჰემატოლოგიური დეპარტამენტი, თბილისი; [3] სამედიცინო-კვლევითი ცენტრი „გენეზისი“, თბილისი

ციტოგენეტიკური კვლევა ჩაუტარდა 88 მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვს. 18 პაციენტთან (20%), ძირითადად B-ლიმფობლასტური ფორმით გამოვლენილ იქნა მაღალი ჰიპერდიპლოიდური კლონი ქრომოსომების რაოდენობით >50. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია, რომ ბავშვთა ლეიკემიის დროს 50 ქრომოსომაზე მეტი რაოდენობა ყოველთვის მიუთითებს კეთილსაიმედო გამოსავალზე, ჩვენ დავაფიქსირეთ ნაწილობრივად ჰეტეროგენული შედეგები.

ჩვენს მასალაზე მკურნალობიდან მე-15 დღეს დავამტკიცეთ სტატისტიკურად სარწმუნო (χ^2 = 3.88, p = 0.04) კორელაციის არსებობა მედულოგრამაში ბლასტების რაოდენობის მაჩვენებლებსა და წარმოქმნილ გართულებებს შორის. აგრეთვე, სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი იკვეთება ქრომოსომის რაოდენობასა და მკურნალობის მე-15-ე დღეს პაციენტებში ბლასტების რაოდენობასთან, თუმცა კავშირი სარწმუნობის ზღვარზეა (p = 0.05).

შესწავლილ მასალაზე გამოვავლინეთ ტეტრაპლოიდური კლონის და დამატებითი ქრომოსომული აბერაციების დროს მიახლოებული არაკეთილსაიმედო პროგნოზი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ქრომოსომების ჰიპერდიპლოიდური რაოდენობა ერთერთი და არა ერთადერთი ფაქტორია, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია რეციდივის ალბათობასთან. არაკეთილსაიმედო გამოსავალი მოითხოვს შემდგომ კვლევას იმის გასარკვევად, თუ რატომ არის არაერთგვაროვანი პროგნოზი პაციენტებში მაღალი ჰიპერდიპლოიდიის დროს.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა ლეიკემია, მაღალი ჰიპერდიპლოიდია, პროგნოზი

ბავშვთა ასაკის მწვავე ლეიკემიები (მლ) თანამედროვე მედიცინის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ბავშვთა სიმსივნურ დაავადებებში ყველაზე გავრცელებულია ლეიკემიები. საქართველოში ბავშვთა ლეიკემიის სიხშირე

დაახლოებით ისეთივეა, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ყოველწლიურად მწვავე ლეიკემიით ავადდება 35-40 ბავშვი. დაავადების პიკი ვლინდება 2-დან 5 წლამდე [2].

განასხვავებენ მწვავე ლიმფოიდურ (მლლ) და მიელოიდურ (მმლ) ფორმებს მათი ქვევარიანტებით. ბავშვებში უფრო გავრცელებულია ლიმფოიდური ფორმები, რომლებიც შეადგენს 70-85%. აქედან 85%-ში დიგნოსტირდება B-ფორმები და 15%-ში – T მლლ. ეს უკანასკნელი, როგორ წესი, ხასიათდება უკიდურესად ცუდი პროგნოზით [3].

მწვავე ლეიკემიის დიაგნოზი დასტურდება ბლასტური უჯრედების მატებით ძვლის ტვინის პუნქტატში შესაბამისი ციტომორფოლოგიური, ციტოგენეტიკური და იმუნოლოგიური მახასიათებლების არსებობისას. მიუხედავად დიდი წარმატებებისა, რაც უკანასკნელი წლების მანძილზე მიიღწევა ბავშვთა ლეიკემიის მკურნალობაში, მაინც რჩება დიდი საფრთხე მკურნალობის პროცესში სხვადასხვა გაუთვალისწინებელი გართულებების წარმოქმნისა, რომლებიც განპირობებულია პაციენტის ინდივიდუალური თავისებურებებით. დაახლოებით მსგავსი მაჩვენებლების მქონე პაციენტებში დაავადება მიმდინარეობს სხვადასხვანაირად და გამოჯანმრთელების შანსიც განსხვავებულია, რაც აუცილებელს ხდის, რომ თითოეული საწყისი მაჩვენებლის ღირებულება ინტენსიურად იქნას შესწავლილი [12].

კვლევის თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გენეტიკურ მაჩვენებლებს და იმ მუტაციებს, რომლებიც ჩნდება სიმსივნურ უჯრედებში [4]. ლეიკემიის არსებობაზე ეჭვის შემთხვევაში ყველა პაციენტისთვის რეკომენდებულია ციტოგენეტიკური (კარიოტიპი) და მოლეკულური გენეტიკური კვლევა. ქრომოსომული ცვლილებების არსებობა ან არარსებობა მწვავე ლეიკემიის მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური და პროგნოზული ფაქტორია [11].

ცნობილია, რომ ლიმფოიდური ლეიკემიებისთვის, ქრომოსომების სტრუქტურული გარდაქმნების გარდა, დამახასიათებელია ქრომოსომების რაოდენობის მატება (ჰიპერდიპლოიდია). განასხვავებენ ზომიერ (47-49 ქრომოსომის რიცხვი) და მაღალ ჰიპერდიპლოიდიას (>50 ქრომოსომა). პაციენტები, რომელთაც აღენიშნებათ ზომიერი ჰიპერდიპლოიდია, 15%-ში არაკეთილსაიმედო პროგნოზით ხასიათდებიან [10].

დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ ბავშვთა ლეიკემიის დროს 50 ქრომოსომაზე მეტი რაოდენობა ყოველთვის მიუთითებს კეთილსაიმედო შედეგზე. უკანასკნელ წლებში კი დაფიქსირდა, რომ მლლ-ის დროს 20-30%-ში შედეგი ჰეტეროგენულია [9].

არსებობს მონაცემები, რომ მლლ-ის დროს, ტეტრაპლოიდიას მიახლოებული ქრომოსომების რიცხვით (82-94) სხვა პლოიდურ ჯგუფებთან

შედარებით, გააჩნია მძიმე პროგნოზი შემთხვევათა გარკვეულ რაოდენობაში (< 1%-ზე) [8].

ცალკეულ შრომებში აღინიშნება, რომ ქრომოსომების 51-55 რაოდენობის დროს პროგნოზი უარესია, ვიდრე უფრო მაღალი ჰიპერდიპლოიდიის მქონე შემთხვევებში [6, 7]. ცნობილია, რომ დაავადების მიმდინარეობაზე ასევე მოქმედებს ქრომოსომების დამატებითი სტრუქტურული დარღვევების არსებობა. თუმცა, მაღალი პიპერდიპლოიდიის დროს ჰეტეროგენური პასუხის მიზეზი საბოლოოდ დაზუსტებული არ არის.

მაღალი ჰიპერპლოიდური კარიოტიპის დროს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა მონაცემებსაც, კერძოდ, აუცილებლად გასათვალისწინებელია თითოეული პაციენტის ინდივიდუალური თავისებურებები [9].

ჩვენს ადრეულ გამოკვლევებში [1] ნაჩვენებია მიკრობირთვების (ქრომოსომების ნაწილის) რაოდენობის პროგნოზული მნიშვნელობა ბავშვთა ლიმფობლასტური ლეიკემიების დროს. წინამდებარე შრომის მიზანია ლეიკემიური პროცესის სხვადასხვა მიმდინარეობაზე მაღალი ჰეპერდიპლოიდიის მაჩვენებლების გავლენის შესწავლა.

მასალა და მეთოდები

2018-2020 წ.წ. მ. იაშვილის სახელობის საავადმყოფოს ონკო-ჰემატოლოგიურ განყოფილებაში შემოსულ 88 მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვს ჩაუტარდა ციტოგენეტიკური კვლევა. ანალიზი ტარდებოდა ძვლის ტვინის უჯრედებში 2-საათიანი კულტივირების შემდეგ. კარიოტიპირება სრულდებოდა არანაკლებ 25 მეტაფაზისა. 18 პაციენტში (9 ვაჟი და 9 გოგონა 2-14 წლის ასაკში) აღინიშნებოდა მაღალი ჰიპერდიპლოიდია (>50 ქრომოსომა) (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

№	სახელი, გვარი, ასაკი, რიცხვი	ლეიკემიის ფორმა	გენეტ. მაჩვენ.	ძვ. ტვ. ბლ % 1 დღეს	ძვ. ტვ. ბლ % მე-15 დღეს	ძვ. ტვ. ბლ % 33-ე დღეს	გამოსავალი
1	ა. 4 წლის 13.08.2018	ALL (commonB)	46, XX / 56 ტ (9;22)	88,5%	< 5% (რემისია)	< 5% (რემისია)	რემისია
2	ბ. 4 წლის 19.10.2018	ALL (commonB)	46, XX / 51	73%	< 5% (რემისია)	< 5% (რემისია)	რემისია
3	ა.2 წლის 19.10.2018	ALL (commonB)	57, X	76,6%	< 5% (რემისია)	< 5% (რემისია)	რემისია
4	მ. 5 წლის 14.11.2018	ALL (commonB)	56,	53%	5%	< 5% (რემისია)	რემისია

ცხრილი 1 (გაგრძელება)

5	მ. 2 წლის 03.01.2019	ALL – T	ნანახია პოლიპლოიდური მეტაფაზები 90 ქრ.	80,25%	21%	6%	რეციდივი, უტარდება ანტირეცი-დიული ქიმიო-თერაპია
6	ს. 8 წლის 11.02.2019	ALLB/ მიელოდ. ფენოტიპი	46, XY / 52	78,75%	< 5% (რემისია)	< 5% (რემისია)	რემისია
7	ჩ. 5 წლის 12.04.19	ALL – pro B ფენოტიპი	55, XY	76,75%	23%	< 5% (რემისია)	რემისია
8	კ. 10 წლის 20.05.2019	ALL (commonB)	55, XY (27%)	77%	< 5% (რემისია)	< 5% (რემისია)	რემისია
9	გ. 5 წლის 12.07.2019	ALL (commonB)	46, XX / 53 (80%)	77%	< 5% (რემისია)	< 5% (რემისია)	რემისია
10	გ. 3 წლის 08.08.2019	ALL (commonB)	46, XX / 57(53%)	70%	< 5% (რემისია)	< 5% (რემისია)	რემისია
11	ლ. 4 წლის 03.01.2020	AML (M7) დაუნის სინდრომი	47,XY+21 / 50,XY +21 +21 +21 +22 (89%)	87%	< 5% (რემისია)	< 5% (რემისია)	რემისია
12	გ. 2 წლის 03.02.2020	ALL B/ მიელ. ქვეტიპი	46, XY / 53 (85%)	81,25%			წავიდა საზღვარგარ. ცნობები არ გვაქვს
13	ე. 9 წლის 27.02.2020	ALL (commonB)	46, XY / 54 (30%)	85%	< 5% (რემისია)	< 5% (რემისია)	რემისია
14	ჯ. 2 წლის 01.07.2020	ALL (commonB)	54, XY	72,25%	5%	< 5% (რემისია)	აგრძელ. მკურნალ. ჩინეთში
15	ჩ. 14 წ 09.07.2020	ALL (commonB)	46, XX, t(4;11)/ (15%)n/ 58 XX	85%	19,5%	< 5% (რემისია)	მორს (გარდაცვა-ლება)
16	გ. 14 წლის 03.07.2017	ALL (commonB)	46, XX,(80%) / 51,XX (20%)	64%	5% (რემისია)	< 5% (რემისია)	რეციდივი 2020წ.07. აგრძელებს მკურნალ.
17	გ. 17 წლის 15.07.2020 (რეციდივი) 3 წ. შემდეგ	ALL (commonB) რეციდივი	46XX, t(4q;11q) / 51,XX, +9 +15 +21 +21 +22, t(4q;11q)	68%			გრძელდება მკურნალობა
18	ც. 14 წლის 18.05.2020	ALL (commonB)	46, XY/46 XY t(8q,21q/ 83 XY(30%)	66%	19,5%	< 5% (რემისია)	გრძელდება მკურნალობა
19	ზ. 1 წლის 19.10.2020	ALL (commonB)	46, XX (30%), 59, XXX, +1, +4, +6, +7, +8, +10, +12, +15, +17, +18, +18, +21 (70%)	84%			გრძელდება მკურნალობა

ანალიზდებოდა დაავადების ისტორიები, გათვალისწინებული იყო ლეიკემიის ფორმა, ბლასტების რაოდენობა და პაციენტის მდგომარეობა დინამიკაში (მე-15 და 33-ე დღე).

გამოიყენებოდა საძიებო სტატისტიკის მეთოდი: K – საშუალოთა კლასტერიზაცია, შედეგების სტატისტიკური სარწმუნობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა მტკიცებითი სტატისტიკის მეთოდი – ფაქტორული დისპერსული ანალიზი (Factorial ANOVA).

შედეგები და მათი განხილვა

2018-2020 წ.წ. მ. იაშვილის სახელობის საავადმყოფოს ჰემატოლოგიურ განყოფილებაში შემოსული 88 მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვს ჩაუტარდა ციტოგენეტიკური კვლევა.

18 პაციენტთან (20%) იქნა გამოვლენილი ჰიპერდიპლოიდური კლონი, ქრომოსომების რაოდენობით >50, რომელთაგან 15-თან დიაგნოსტირებული იყო მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია (14 – B ფორმა და 1 – T ფორმა), 1-თან – მიელობლასტური ლეიკემია და ასევე 1 პაციენტთან – ALL B /მიელოიდური ქვეტიპი. პაციენტთა ასაკი იყო 1 წლიდან 14 წლამდე, მათგან 9 – ბიჭი და 9 – გოგონა. 8 შემთხვევაში ჰიპერდიპლოიდური კლონის ქრომოსომების რიცხვი იყო 50-54, 8-ში – 55-59, რაც ითვლება მაღალ ჰიპერდიპლოდიად, ხოლო 2 შემთხვევაში იყო მიახლოებული ტეტრაპლოიდური კლონი (შემთხვევა 5 და 17), შესაბამისად 90 და 83 ქრომოსომით. უნდა აღინიშნოს, რომ 11 შემთხვევაში შენარჩუნებული იყო კლონი 46 ქრომოსომით, სადაც 3-ში აღინიშნებოდა ანომალიური კლონი (1 – დაუნის სინდრომით პაციენტში ტრისომია 21, 1-ში t (4;11) და 1-ში t(8;21)). ქრომოსომული მაჩვენებლები შედარებული იყო ლეიკემიის პროცესის მიმდინარეობასთან. კლინიკაში მოხვედრისას ყველა პაციენტს აღენიშნებოდა მედულოგრამაში ბლასტური უჯრედების მაღალი რაოდენობა (53% – 88%). მკურნალობიდან მე-15 დღეს, ბლასტური უჯრედების რაოდენობა 5%-ზე ნაკლები ითვლებოდა რემისიის მაჩვენებლად, თუმცა მკურნალობა გრძელდებოდა და ძვლის ტვინის შემდგომი შესწავლა ხდებოდა მკურნალობის 33-ე დღეს. ჩვენი მასალების საფუძველზე მივიღეთ მტკიცებულება, რომ 4 პაციენტში, რომელთა მკურნალობის მე-15 დღეს მედულოგრამაში ბლასტების რაოდენობამ 5%-ს გადააჭარბა 21%-მდე. დაავადების მიმდინარეობა ძალზედ არაკეთილსაიმედო იყო (შემთხვევა 5, 15, 16 და 17), 3 შემთხვევაში განვითარდა რეციდივი, ხოლო 1-ში – ლეტალური შედეგი.

ამ შემთხვევებიდან 2 პაციენტს აღმოაჩნდა მიახლოებული ტეტრაპლოიდური კლონი (შემთხვევა 5 და 17), შესაბამისად 90 და 83 ქრომოსომით, ხოლო 2-ს ჰქონდა დამატებითი ქრომოსომული აბერაციები – t(4; 11) (შემთხვევები 16 და 17).

პაციენტი 16 ორჯერ იყო შესწავლილი. პირველ ანალიზში, რომელიც ჩატარდა სხვა ლაბორატორიაში, მხოლოდ ჰიპერდიპლოიდური კლონის არსებობა აღინიშნა, კარიოტიპიზაცია არ გაკეთებულა. 3 წლის შემდეგ კი, როდესაც პაციენტს განუვითარდა რეციდივი, ჩვენ დავადგინეთ – t(4; 11)

არსებობა როგორც კლონში 46 ქრომოსომით, ასევე ჰიპერდიპლოიდურ კლონში (ნახ. 1, 2).



ნახ. 1 ავ. 16 კარიოტიპი 46, XX, t(4q;11q)



ნახ. 2. იმავე ავ. კარიოტიპი 51, XX, t(4q;11q) +9, +15, +21, +21, +22

გრაფიკზე (ნახ. 3) ნაჩვენებია პაციენტების მაღალი პოლიპლოიდიით მკურნალობის 15-ე დღეს ბლასტების რაოდენობის კავშირი დაავადების მიმდინარეობასთან.

როგორც ჩანს, პაციენტთა კატეგორია, რომელთაც მკურნალობის 15-ე დღეს ბლასტების რაოდენობა 5%-ზე ნაკლები აქვთ (a15), ძირითადად რემისიის (rem) ჯგუფში არიან წარმოდგენილი, მაშინ როდესაც პაციენტთა კატეგორია, რომელთაც ბლასტების რაოდენობა 5%-ზე მეტი ან ტოლია (b15), პრაქტიკულად თანაბრად არის გადანაწილებული როგორც რემისიის (rem), ასევე რეციდივის (rec) ჯგუფებში, რაც ცალსახად მიუთითებს მათ შორის სტატისტიკურად სარწმუნო (χ^2 = 3.88, p = 0.04) ურთიერთდამოკიდებულებაზე.



ნახ. 3. მკურნალობის 15-ე დღეს პაციენტებში ბლასტების რაოდენობის მიზეზობრივი კავშირი რეციდივის ალბათობასთან

ამასთანავე, სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი იკვეთება ქრომოსომის რაოდენობის და მკურნალობის 15-ე დღეს პაციენტებში ბლასტების რაოდენობასთან, თუმცა კავშირი სარწმუნობის ზღვარზეა (p = 0.05) (ნახ. 4).

მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნო კავშირი არ იკვეთება (F = 2.1; p = 0.075), ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ

ქრომოსომების ჰიპერდიპლოიდური რაოდენობა ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფაქტორია, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია რეციდივის ალბათობასთან.



ნახ. 4. პაციენტებში ქრომოსომების რაოდენობის კავშირი ბლასტების რაოდენობასთან მკურნალობის მე-15-ე დღეს

ჩვენ მიერ ჩატარებული არამრავალრიცხოვანი კვლევით 88 ბავშვთან მწვავე ლეიკემიით, 20%-ში აღინიშნა ჰიპერდიპლოიდური კლონი, ქრომოსომის რაოდენობით > 50. ეს შეესაბამება სხვა ავტორების [9] მონაცემებს, რომლებმაც აღნიშნეს 20-30% [11]. მიუხედავად იმისა, რომ თვლიან, რომ მწვავე ლეიკემიის შემთხვევები მნიშვნელოვნად უფრო ხშირია ბიჭებში, ჩვენ ვერ ვნახეთ რომელიმე სქესის უპირატესობა. ჩვენ მასალაზეც დავამტკიცეთ კორელაციის არსებობა მკურნალობიდან მე-15 დღეს მედულოგრამაში ბლასტების რაოდენობის მაჩვენებლებსა და წარმოქმნილ გართულებებს შორის. დადგენილია მიახლოებული ტეტრაპლოიდური კლონის და დამატებითი ქრომოსომული აბერაციების დროს არაკეთილსაიმედო პროგნოზი. ცნობილია, რომ ჰიპერდიპლოიდური კლონი ხასიათდება ქრომოსომების განსხვავებული ნაკრებით. ჩვენ კი აღვნიშნეთ, რომ ყველაზე ხშირად გვხვდებოდა დამატებითი 17, 18 და 21 ქრომოსომა.

მაღალი ჰიპერდიპლოიდია (>50 ქრომოსომა) გავრცელებული ციტოგენეტიკური პათოლოგიაა ბავშვებში მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემიის დროს და, ზოგადად, კარგი პროგნოზული ფაქტორია. თუმცაღა, ზოგიერთ შემთხვევაში არაკეთილსაიმედო გამოსავალი მოითხოვს შემდგომ კვლევას, რომელიც აგრეთვე მოიცავს ეტიოლოგიური და პათოგენეტიკური მიზეზების გამოვლენასაც ამ ციტოგენეტიკური ტიპის წარმოქმნაში.



ნახ. 5. ავ.17 – პოლიპლოიდური მეტაფაზა, კარიოტიპი 59, XXX, +1, +4, +6, +7, +8, +10, +12, +15, +17, +18, +18, +21

ბავშვებში მწვავე ლეიკემიების დროს საჭიროა დამატებითი გამოკვლევები იმის გასარკვევად, თუ რატომ არის არაერთგვაროვანი პროგნოზი პაციენტებში მაღალი ჰიპერდიპლოიდის დროს.

ლიტერატურა

1. *ორმოცაძე გ., ზედგინიძე ა., შენგელაია ა.* საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2019, 45, 5-6, 491-500.
2. *შენგელაია ა.* მწვავე ლეიკემიები ბავშვთა ასაკში. თბილისი, 2018, 190 გვ.
3. *Betts D.R., Ammann R.A., Hirt A. et al.* J. Haematology, 2007, 78, 468-476.
4. *Braoudaki M., Tzortzatou-Stathopoulou F.* Clin. Lymphoma Myeloma Leuk., 2012, 12, N4, 230-237.
5. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/#term = Paulsson%20K%5BAuthor%5D&cauthor = true&cauthor_uid = 27308574
6. *Heerema N.A., Sather H.N., Sensel M.G., Zhang T., Hutchinson R.J., Nachman J.B. et al.* J. Clin. Oncol., 2000, 18(9), 1876-87.
7. *Maia A.T., Tussiwand R., Cazzaniga G., Rebulla P., Colman S., Biondi A., Greaves M.* Genes Chromosomes Cancer, 2004, 40, 38-43.
8. *Moorman A.V., Richards S.M., Martineau M. et al.* Blood, 2003, 102, 2756-2762.

9. *Paulsson K., Johansson B*. Genes Chromosom, Cancer, 2009, 48, 637-660.
10. *Paulsson K., Forestier E., Lilljebjorn H., Heldrup J., Behrendtz M., Young B.D., Johansson B.* Proc. Natl. Acad. Sci. USA, 2010, 107, 21719-21724.
11. *Paulsson K., Mörse H., Fioretos T., Behrendtz M., Strömbeck B., Johansson B.* Genes Chromosomes Cancer, 2015, 44(2), 113-122.
12. Tokyo Children's Cancer Study Group. Retrospective study of the Tokyo Children's Cancer Study Group and Japan Association of Childhood Leukaemia Study, 2016.
13. *Woo J.S., Alberti M.O.* Exp. Hematol. Oncol., 2014, 3, 16.

ПРОГНОСТИЧЕСКОЕ ЗНАЧЕНИЕ ВЫСОКОЙ ГИПЕРДИПЛОИДИИ У ДЕТЕЙ С ОСТРЫМ ЛЕЙКОЗОМ

Алла Зедгинидзе[1, 3], Асмат Шенгелая[2], Георгий Ормоцадзе[1], Майя Рухадзе[3], Тамара Чавчавадзе[2]

[1] Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси; [2] Онко-гематологический департамент Центральной детской больницы им. М. Яшвили; [3] Медицинский исследовательский центр "Генезис", Тбилии

РЕЗЮМЕ

Проведено цитогенетическое обследование 88 детей с острым лейкозом. У 18 пациентов (20%), преимущественно с В-лимфобластной формой, был обнаружен высокий гипердиплоидный клон с числом хромосом > 50.

Несмотря на то, что считается, что наличие у детей с острым лейкозом клона с числом хромосом более 50, всегда предопределяет доброкачественный исход, мы наблюдали частично гетерогенные результаты.

На нашем материале мы подтвердили наличие статистически значимой корреляции ($\chi 2 = 3.88$, $p = 0.04$) между количеством бластов в костном мозге на 15-й день после начала лечения и дальнейшим течением заболевания. Также нами была выявлена статистически значимая, хотя на грани достоверности ($p = 0.05$), корреляция между числом хромосом и количеством бластов. у пациентов на 15-й день лечения.

На изученном материале мы констатировали неблагоприятный исход у больных с около - тетраплоидным клоном и наличием дополнительных хромосомных аберраций. Можно сделать вывод, что высокая гипердиплоидия – это один, а не единственный фактор, предопределяющий течение заболевания.

Наличие в некоторых случаях неблагоприятного исхода требует дальнейших исследований для выяснения причин неоднородного прогноза у детей с острым лейкозом, имеющих высокую гипердиплоидию.

PROGNOSTIC SIGNIFICANCE OF HIGH HYPERDIPLOIDY IN CHILDREN WITH ACUTE LEUKEMIA

Alla Zedginidze[1, 3], Asmat Shengelaia[2], George Ormotsadze[1], Maia Rukhadze[3], Tamara Chavchavadze[2]

[1] Ivane Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Tbilisi; [2] M. Iashvili Children Hospital, Onco-hematology Department, Tbilisi; [3] Medical Research Centre "Genesis", Tbilisi

SUMMARY

Total of 88 children with acute leukemia underwent cytogenetic examination. In 18 patients (20%), mainly with the B-lymphoblastic form, a high hyperdiploid clone with chromosome number > 50 was detected. Although it is known that more than 50 chromosomes in children with leukemia always indicate a benign outcome, we have observed partially heterogeneous outcomes. We confirmed the existence of a statistically significant correlation ($\chi 2 = 3.88$, $p = 0.04$) between the number of blasts in the bone marrow on the 15th day after the treatment and further course of the disease.

We also established a statistically significant, although on the verge of reliability ($p = 0.05$) correlation between chromosome number and the number of blasts in patients on the 15th day. On the basis of the material studied, we stated an unfavorable outcome in patients with a near-tetraploid clone and the presence of additional chromosomal aberrations. It can be concluded that high hyperdiploidy is one, but not the only factor that determines the course of the disease. The presence in some cases of an unfavorable result requires further research to clarify the reasons for the heterogeneous outcome in children with acute leukemia and high hyperdiploidy.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

INVOLVEMENT OF UBIQUITIN-26S PROTEASOME SYSTEM IN THE REGULATION OF OBESITY

Irine Ioramashvili[2], Rusudan Sujashvili[1]

[1] Iv. Beritashvili Center for Experimental Biomedicine; [2] Ilia State University, Tbilisi, Georgia

The study of the intracellular and extracellular processes is the key to understanding the principles of proper functioning of any organism. Proteins are the main structural and functional components of the cell. The regulation and initiation of cellular processes depend on the sequence of protein signaling. Through the centuries up to nowadays the humankind has been trying to find remedies to cure diseases. But only now the scientists managed to accumulate knowledge enough to get insights of the inner constant problems in the cellular mechanism disorders for not try to cure only the symptoms but to prevent the ailment occurrence.

Ubiquitin and the ubiquitin-26S proteasome system (UPS) play a major role in the regulation of cellular mechanisms. It regulates almost all cellular processes, including antigen processing, apoptosis, organ biogenesis, cell cycle, DNA transcription and reparation, cell differentiation and maturation, immune response and inflammation. Ubiquitin is a highly conservative protein found in all eukaryotic cells. Ubiquitin has been found in intracellular and extracellular space of the cell. Disorders of UPS can be the cause of oncological, neuro-degenerative, inflammatory, autoimmune, viral and many other diseases.

In recent years obesity has become one of the main problems of mankind. It is a metabolic disease and can cause a number of diseases, such as cardiovascular diseases and diabetes, which require separate treatment, and can bother a patient throughout the life.

The aim of this review is to discuss possible relationship between the UPS and G protein coupled receptors (GPCR) signal sequences, which are involved in energy homeostasis and obesity. Since the UPS is one of the most powerful regulatory mechanisms in the cell, it seems very logical to study its possible impact on the metabolic system in the organism. That will help us to understand nuances of stable cellular function and get closer to evaluation of the therapeutic potential of ubiquitin.

Key words: UPS (ubiquitin-26S proteasome system), obesity, GPCR

The study of the causes of obesity leads us to the fact that obese people mostly have an improper diet, lack of physical exercise and genetic predisposition. A number of hormones like insulin, leptin, neuropeptide Y, cortisol, ghrelin, norepinephrine, serotonin,

interleukin-6, tumor necrosis factor (TNF), and other peptides also play a role in obesity [23]. The balance between energy intake and its further consumption is controlled by interconnected neurons, which produce receptors, peptides and obesity-promoting anabolic and obesity-preventing catabolic neurotransmitters. GPCRs are one of the receptors involved in energy homeostasis [26]. There is an opinion that they can be used as regulators of nutrition and the treatment of obesity [3]. Ubiquitin is capable of ubiquitilation of GPCRs. Proteolytic functions of UPS include control of the most vital cellular processes. Ubiquitination is used not only for protein degradation, but also for sorting them via their post-translational modification [11, 31]. Based on this information, it seems logical to investigate possible role of the UPS in development of obesity and to find novel approaches to control the problem of obesity.

UBIQUITIN-26S PROTEASOME SYSTEM

UPS is responsible for degradation of 80-90% of all intracellular proteins [22]. This process is carried out by means of three enzymatic components – enzyme E1, activates ubiquitin in an ATP-dependent reaction, which allows the E2 enzyme to attach ubiquitin, activated ubiquitin is then transferred to E3 ligase, which binds ubiquitin to the protein-substrates and directs them for further degradation by 26S proteasome. Ubiquitin has seven lysine residues, and each of them is capable of polyubiquitin chain formation [33]. The 26S proteasome is a complex consisting of the proteolytic active sites of 20S proteasome, and 19S regulatory complexes bound to 20S proteasome that activate and determine its specificity for ubiquitylated substrates [8].

Ubiquitilation is reversible process, which is carried out by deubiquitilating enzymes (DUBs). The main function of DUBs is breaking of covalent bond between ubiquitin and substrate protein, thereby regulating its activity or amount. There are approximately 100 DUBs encoded by the human genome [24].

The main function of ubiquitin is protein degradation, but ubiquitin chains linked through various lysine residues (K6, K11, K27, K29, K33, K48 and K63) determine the nature of protein processing. It is known that formation of a polyubiquitin chain through the 48th lysine residue (K48) carries out degradation of the substrate protein [32]. K63 chains play the role of proteasome-independent signals for endocytosis or the reaction to DNA damage, as well as an immune response. And K11 and K29 promote proteasome degradation [13]. Ubiquitylation via lysine K6 is mediated by BRCA1-BARD1 ubiquitin ligase, and it is assumed that this involves DNA repair. Polyubiquitin K27 and K 33 are associated with the regulation of innate immunity. Binding through lysine K33 controls phosphorylation and binding proteins of the T-cell receptor, thereby regulating its functions [4]. Linear ubiquitin chains are involved in the termination of cell death caused by TNF [32]. GPCRs such as Frizzled receptor (FZ4R), melanocortin receptor (MC2R), and C-X-C chemokine receptor type 4 (CXCR4) are monoubiquitylated by several lysine residues, while other receptors such as protease-activated receptor 1 (PAR1), κ-opioid receptor and β2-adrenergic receptor undergo polyubiquitination by K63 lysine residue. Dopamine D4 is also ubiquitilated [11].

GPCR ASSOCIATION TO EXCESSIVE WEIGHT ACCUMULATION

The weight gain depends on normal energy consumption. White adipose tissue (WAT) is responsible for energy accumulation and brown adipose tissue (BAT) is involved in energy consumption. Thus, the misbalance between white and brown adipose tissues may cause the gain of weight [15]. Regulation of right energy-expenditure lays in the basis of obesity treatment and control of adipogenesis, and this goal can be achieved in different ways.

Among other methods to reduce obesity is non-shivering thermogenesis (NST). NST is a metabolic heat production without muscle activity and it involves BAT metabolic enhancement. Recently brown adipose tissue was considered as inactive in adults, but to date it is known that there is some amount of BAT which is responsible for thermogenesis, due to large quantity of mitochondria. Activation of uncoupling protein 1 (UCP1) of BAT, by electron transport causes heat as a product of the metabolism and increases energy consumption. This process can be a possibility to prevent obesity, to reduce amount of plasma glucose and fatty acids. WAT have energy storage function in the form of triglycerides. But WAT can also increase amount of beige adipocytes, which contain elevated level of mitochondria and are thermogenic [5]. Browning or beiging in WAT is suggested to be one of the methods which can be used to reduce obesity [34]. The mechanism of receptor signaling pathways which participate in browning of WAT depends on GPCRs, like adrenergic receptors, hormone receptors B1 subfamily, melanocortins, parathyroid hormone (PTH), prostaglandin receptors, etc. [5]. Stimulation of G_s- mediated signaling, supports beiging of WAT, and is carried out by activation of β-adrenergic and A2aAR adenosine receptors [25]. Differentiation of adipocytes provides the right metabolic homeostasis, and it is necessary for weight control. ATP and adenosine take part in cellular differentiation. Adenosine receptors (AR), which are the class of GPCRs can regulate adipogenesis. Adenosine transmit signals via four adenosine receptors, which are able to inhibit A1AR and A3AR, or activate A2aAR and A2bAR adenylyl cyclase. The A2bAR is functionally dominant adenosine receptor in mesenchymal stem cells (MSCs), while the A2aAR has been shown to be important for the proliferation and differentiation of murine bone marrow-derived mesenchymal stem cells MSCs into adipocytes. Acting through purinergic P2Y1 and P2Y4 receptors, which are class of GPCRs, ATP increases adipogenesis of human bone marrow-derived MSCs by promoting lipid accumulation and the expression of peroxisome-proliferator activated receptor-gamma (PPARγ) [12]. Melanocortin system is very important for metabolism and appetite control. Melanocortin-3 and melanocortin-4 receptors are involved in the regulation of energy balance [14].

Melanocortin-4 receptors (MC4R) play an important role in weight regulation and food intake [16]. Melanocortin system of central nervous system mediates leptin, an adipocyte-derived peptide hormone, effect on sympathetic nervous system activity and blood pressure. Leptin deficiency or mutations in leptin receptors cause dysfunction of its intra-cellular signaling and causes the obesity. These facts lead to a conclusion that the leptin-MC4R interaction induces control of appetite, metabolic and cardiovascular functions [9].

THE ROLE OF UPS IN GPCR WEIGHT CONTROL SIGNALING

It is well known that ubiquitilation can directly or indirectly regulate GPCR trafficking, changing posttranslational modification of the receptors, or components of G-proteins signaling pathway [19]. There are several ways for ubiquitin to regulate GPCRs. Some of GPCRs can be constitutively, basally or subsequently ubiquitilated, and directed for lysosomal or proteosomal degradation. Deubiquitination of GPCR by DUBs or ubiquitin-specific proteases (USPs) leads either to its recycling or internalization. Sometimes, to be taken to the cell surface, GPCRs need to be deubiquitinated [29]. For example, deubiquitination is required for surface expression of adenosine receptors [10]. UCP1 of BAT can be ubiquitilated and degraded by cytosolic proteasome, moreover, this degradation can be inhibited by proteasome inhibitor MG132 [7]. β-Adrenergic receptors βARs trafficking and degradation are regulated by ubiquitilation [34]. These receptors participate in adipocyte catabolism and NST. As it was mentioned above, GPCRs are playing an important role in energy consumption. All of them are connected with functioning of ubiquitin – proteasome system. Mahogunin ring finger – 1 (MGRN1) E3 ubiquitin ligase may regulate melanocortin 1 and 2 receptors [26]. Melanocortin-4 receptor is also affected by ubiquitination [15, 28]. Parathyroid hormone receptors (PTHR) undergo ubiquitilation and degradation, and this process can be reversed by DUBs [28]. Prostaglandin receptors can influence ubiquitin proteasome system, by affecting functions of other receptors [1]. PPARγ which is also involved in adipocyte differentiation is affected by E3 ubiquitin TRIM25 and E3 ubiquitin ligase Siah2 [18, 21]. Taking into account the UPS role in GPCR signaling pathways, which are responsible for energy expenditure, we can suppose that it can be used as an additional regulator of excessive weight accumulation.

CONCLUSION

It is scientifically proved that harmonious actions of UPS perform many functions in the regulation of cellular processes. Therefore, the possibility to use UPS for the treatment of various pathologies is very intensively studied [6]. Ubiquitin system has a unique impact on components of signal sequences, membrane proteins, and cell cycle regulators [31]. Ubiquitilation and deubiquitilation are supposed to be the regulators of GPCR signaling and trafficking [6]. As GPCR receptors are actively involved in regulation of metabolism and obesity control, it becomes evident that there are mechanisms by which UPS can affect adipogenesis and obesity through regulation of GPCRs. Further investigation of the role of UPS in regulation of energy consumption may open new opportunities for treatment of worldwide problem of obesity.

REFERENCES

1. *Alonso V., Magyar C.E., Wang B., Bisello A., Friedman P.A.* J. Bone Miner. Res., 2011, 26(12).
2. *Alonso V., Friedman P.A.* Mol. Endocrinol., 2013, 27(4), 558-572. doi:10.1210/me.2012-1404.
3. *Bjenning C., Al-Shamma H., Thomsen W., Leonard J., Behan D.* Curr. Opin. Investig. Drugs, 2004, Oct. 5 (10), 1051-62. PMID: 15535426.

4. *Castañeda C.A., Dixon E.K., Walker O., Chaturvedi A., Nakasone M.A., Curtis J. E., Reed M.R., Krueger S., Cropp T.A., Fushman D.* Structure, 2016, March 1; 24(3): 423-436. https://doi:10.1016/j.str.2016.01.007,
5. *Ceddia R., Collins Sh.* Clinical Science, 2020, 134, 473-512. 10.1042/CS20190579.
6. *Chen L., Madura K.* Cancer Research, 2005, 65(13), 5599-5606. https://doi.org/10.1158/0008-5472.CAN-05-0201.
7. *Clarke K.J., Adams A.E., Manzke L.H., Pearson T.W., Borchers C.H., Porter R.K.* Biochim. Biophys. Acta, 2012, Oct, 1817(10), 1759-67. doi: 10.1016/j.bbabio.2012.03.035. Epub 2012 Apr 16. PMID: 22531154.
8. *Da Fonseca P.C.A., Morris E.P.* Journal of Biological Chemistry, 2008, 283 (34), 23305-14. https://doi.org/10.1074/jbc.M802716200.
9. *da Silva A.A., do Carmo J.M., Hall J.E.* Curr. Opin. Nephrol. Hypertens., 2013, 22(2), 135-140. doi:10.1097/MNH.0b013e32835d0c05.
10. *Dores M.R., Trejo J.* Mol. Pharmacol., 2012, 82(4), 563-570. doi:10.1124/mol.112.079418.
11. *Dores M.R., Trejo J.A.* Endo-lysosomal sorting of G -protein-coupled receptors by ubiquitin: Diverse pathways for G-protein-coupled receptor destruction and beyond, November 2018, DOI: 10.1111 / tra.12619;Pubmed ID: 30353650.
12. *Eisenstein A., Ravid K.* J. Cell Physiol., 2014, 229(4), 414-421. doi:10.1002/jcp.24473.
13. *Fumiaki O., Saeki Y., Ishido S., Kanno J., Tanaka K.* Molecular Cell, 2016, 64 (2), 251-66. https://doi.org/10.1016/j.molcel.2016.09.014
14. *Girardet C., Butler A.A.* Biochim. Biophys. Acta, 2014, 1842(3), 482-494. doi:10.1016/j.bbadis.2013.05.004.
15. *Gómez-Hernández A., Beneit N., Díaz-Castroverde S., Escribano Ó.* Int. J. Endocrinol., 2016, 1216783. doi:10.1155/2016/1216783.
16. *Granell S., Mohammad S., Ramanagoudr-Bhojappa R., Baldini G.* Mol Endocrinol. 2010, 24(9), 1805-1821. doi:10.1210/me.2010-0071.
17. *Granell S., Serra-Juhé C., Martos-Moreno G.Á., Díaz F., Pérez-Jurado L.A., Baldini G. et al.* (2012) A Novel Melanocortin-4 Receptor Mutation MC4R-P272L Associated with Severe Obesity Has Increased Propensity To Be Ubiquitinated in the ER in the Face of Correct Folding. PLoS ONE 7(12): e50894. https://doi.org/10.1371/journal.pone.00508942923-2934. doi:10.1002/jbmr.494.
18. *Haddad A., Flint-Ashtamker G., Minzel W., Sood R., Rimon G., Barki-Harrington L.* J. Biol Chem., 2012, 287(21), 17214-17223. doi:10.1074/jbc.M111.304220).
19. *Kennedy J.E., Marchese A.* Prog. Mol. Biol. Transl. Sci., 2015, 132, 15-38. doi:10.1016/bs.pmbts.2015.02.005.
20. *Kilroy G., Carter L., Newman S., Burk D., Manuel J., Möller A., Bowtell D., Mynatt R., Ghosh S., Floyd Z.* Obesity, 2015, 23, 10.1002/oby.21220.
21. *Lee J.M, Choi S.S., Lee Y.H. et al.* Exp. Mol. Med., 2018, 50(10), 1-11. Published 2018 Oct 15. doi:10.1038/s12276-018-0162-6.
22. *Martinez-Vicente M., Sovak G., Cuervo A.M.* Experimental Gerontology, 2005, 40 (8-9), 622-33. https://doi.org/10.1016/j.exger.2005.07.005.
23. *Mazzeo F.* Sport Science 2016, 9, Issue 2, 42-48.
24. *Pranita H., Bhattacharya S., Dey A.K., Maiti T.K.* Life, 2015, 67 (7), 544-55. https://doi.org/10.1002/iub.1402.
25. *Pydi S.P., Jain S., Tung W., et al.* Nat. Commun., 2019, 10(1), 2936. Published 2019 Jul 3. doi:10.1038/s41467-019-11003-4
26. *Richard D.* Int. J. Obes. Suppl., 2014, 4 (Suppl. 1), S1-S2. doi: 10.1038 / ijosup.2014.1
27. *Sadani N.C., Guasti L, Clark A.J.L.* Endocrinology, 2011, 152, Issue 11, 4224-4231, https://doi.org/10.1210/en.2011-0147.

28. *Skieterska K., Rondou P., Van Craenenbroeck K.* Int. J. Mol. Sci., 2017, 18(5), 923. Published 2017 Apr 27. doi:10.3390/ijms18050923).
29. *Sujashvili R.* Georgia Medical News, 2014, No 7-8 (160-161), 2008.
30. *Sujashvili R.* Advantages of Extracellular Ubiquitin in Modulation of Immune Responses. Mediators of Inflammation, 2016. https://doi.org/10.1155/2016/4190390.
31. *Swatek K.N., Komander D.* Cell Research, 2016, 26, 399-422. https:doi:10.1038/cr.2016.39.
32. *Thyagarajan B., Foster M.T.* Horm. Mol. Biol. Clin. Investig., 2017, Jun 23, 31(2):/j/hmbci.2017.31.issue-2/hmbci-2017-0016/hmbci-2017-0016.xml.
33. *Xiao K., Shenoy S.K.* J. Biol. Chem., 2011, 286(14), 12785-12795. doi:10.1074/jbc.M110.203091.

უბიკვიტინ-26S პროტეასომას როლი სიმსუქნის განვითარების პროცესის რეგულაციაში

ირინე ითრამაშვილი[2], რუსუდან სუკაშვილი[1]

[1] ივ. ბერიტაშვილის სახ. ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი; [2] ილიას სახ. უნივერსიტეტი, თბილისი

რეზიუმე

შიდა და გარე უჯრედული პროცესების შესწავლა ნებისმიერი ორგანიზმის სწორი ფუნქციობის პრინციპების გასაღებია. ცილები უჯრედის ძირითადი სტრუქტურული და ფუნქციური კომპონენტებია. უჯრედული პროცესების დაწყება და რეგულირება დამოკიდებულია ცილათა ურთიერთქმედების მიმდევრობაზე. საუკუნეების განმავლობაში, დღევანდელ დრომდე, კაცობრიობა ცდილობდა დაავადებების სამკურნალო საშუალებების პოვნას, მაგრამ მხოლოდ ახლა არის დაგროვილი საჭირო ცოდნა უჯრედული მექანიზმების დარღვევების გასარკვევად არა მხოლოდ მკურნალობის მიზნით, არამედ დაავადებების წარმოშობის მიზეზების თავიდან ასაცილებლად.

26S პროტეასომალური სისტემა (UPS) მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედული მექანიზმების რეგულირებაში. ის არეგულირებს თითქმის ყველა უჯრედულ პროცესს, მათ შორის ანტიგენის პროცესინგს, აპოპტოზს, ორგანოთა ბიოგენეზს, უჯრედულ ციკლს, დნმ-ს ტრანსკრიფციას და რეპარაციას, უჯრედების დიფერენცირებას და მომწიფებას, იმუნურ რეაქციას და ანთებას. უბიკვიტინი არის ძალზე კონსერვატული ცილა, რომელიც გვხვდება ყველა ეუკარიოტულ უჯრედში. UPS-ის დარღვევებმა შეიძლება გამოიწვიოს კიბო, ნეიროდეგენერაციული, ანთებითი, აუტოიმუნური, ვირუსული და მრავალი სხვა დაავადება.

ბოლო წლებში სიმსუქნე კაცობრიობის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა. ეს მეტაბოლური დაავადებაა და შეიძლება გამოიწვიოს მრავალი ასოცირებული დაავადება, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და დიაბეტი, რაც მოითხოვს ცალკეულ მკურნალობას და პაციენტს შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში აწუხებდეს. ამ მიმოხილვითი სტატიის მიზანია განიხილოს კავშირი UPS და G-ცილის დაწყვილებული რეცეპტორების (GPCR) სასიგნალო

გზებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ ენერგეტიკულ ჰომეოსტაზსა და სიმსუქნის განვითარებაში. რადგან UPS არის უჯრედის მკაცრი მარეგულირებელი მექანიზმი, ლოგიკურია, რომ შევისწავლოთ მისი შესაძლო გავლენა სხეულის მეტაბოლიზმზე. ეს დაგვეხმარება გავიგოთ უჯრედების სტაბილური ფუნქციობის მექანიზმები და მივუახლოვდეთ უბიკვიტინის თერაპიული პოტენციალის შეფასებას.

УЧАСТИЕ УБИКВИТИН-26S ПРОТЕОСОМНОЙ СИСТЕМЫ В РЕГУЛЯЦИИ ОЖИРЕНИЯ

Ирине Иорамашвили[2], Русудан Суджашвили[1]

[1] Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили; [2] Университет Ильи, Тбилиси, Грузия

РЕЗЮМЕ

Изучение внутриклеточных и внеклеточных процессов является ключом к пониманию принципов правильного функционирования любого организма. Белки являются главными структурными и функциональными компонентами клетки. Инициация и регуляция клеточных процессов зависит от сигнальных белковых последовательностей. На протяжении веков, до нынешнего времени человечество пытается найти средства для лечения болезней, но только сейчас были накоплены необходимые знания для того, чтобы вникнуть во внутренние расстройства клеточных механизмов для того, чтобы не только лечить, но и предотвращать появление заболеваний.

Убиквитин и убиквитин-26S протеосомная система (УПС) играет важную роль в регуляции клеточных механизмов. Она регулирует почти все клеточные процессы, включая процессинг антигенов, апоптоз, биогенез органов, клеточный цикл, транскрипцию и репарацию ДНК, дифференциацию и созревание клеток, иммунный ответ и воспаление. Убиквитин является высококонсервативным белком, найденным во всех эукариотических клетках. Структура и функции убиквитина схожи для всех видов; он был обнаружен как во внутриклеточном, так и во внеклеточном пространстве клетки. Расстройства в УПС могут стать причиной онкологических, нервно-дегенеративных, воспалительных, автоиммунных, вирусных и многих других заболеваний.

В последние годы ожирение стало одной из главных проблем человечества. Эта метаболическая болезнь и может вызвать ряд сопутствующих недугов, таких как кардиоваскулярные болезни и диабет, которые требуют отдельного лечения и могут беспокоить пациента на протяжении всей жизни. Целью данной обзорной статьи является обсуждение взаимоотношения между убиквитин-26S протеосомной системой и сигнальными последовательностями рецепторов, сопряженных с G-белком (GPCR), которые вовлечены в гомеостаз энергии и развития ожирения. Так как УПС является сильнейшим регуляторным механизмом клетки, то кажется логичным изучить ее возможное воздействие на метаболизм организма. Это поможет нам понять нюансы стабильного функционирования клетки и приблизиться к оценке терапевтического потенциала убиквитина.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ.46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

შაკიკი, მოკლელატენტური სმენითი გამოწვეული პოტენციალების კლინიკური შესწავლა

გიორგი კვერნაძე[1], გიორგი ანდრონიკაშვილი[1], თეა გურაშვილი[1, 2], ქეთევან გოგეშვილი[1], სენერა ჭიპაშვილი[1], ნინო ახობაძე[1], მიხეილ ოკუჯავა[1]

[1] ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი; [2] კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი

შაკიკი მიეკუთვნება ვაზომოტორულ-ცერებრულ პაროქსიზმებს, რომელიც ხასიათდება პერიოდული შეტევებით თავის ნახევრის მიდამოში (ჰემიკრანია) და წარმოადგენს გენეტიკურად განსაზღვრულ ვაზომოტორული რეგულაციის დისფუნქციის გამოვლინებას. შაკიკის შეტევების ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ბიოქიმიურ და ნეიროჰუმორულ ცვლილებებს, რომელიც წინ უსწრებს პაროქსიზმის განვითარებას. შაკიკის შეტევა დაკავშირებულია გლუტამატის დონის მომატებასთან, რაც ანგიოსპაზმს იწვევს. მომდევნო სტადიაზე სეროტონინის დონე მკვეთრად ქვეითდება. ამ დროს გარეთა საძილე არტერიის რეფლექსოგენურ ზონაში ვაზოდილატაცია იცვლება ვაზოკონსტრიქციით, რაც იწვევს პულსირებადი ხასიათის თავის ტკივილს. ჩვენ ვიკვლევდით მარტივი ფორმის შაკიკით დაავადებული პაციენტების ტვინის ღეროს სმენით გამოწვეულ პოტენციალებს (ტღსბპ). გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დაავადებულთა უმრავლესობას აღენიშნებოდა ტღსბპ-ის ძალზე მნიშვნელოვანი დარღვევები. კერძოდ, მომატებული იყო როგორც რეგისტრირებული ტალღების პიკთაშორისი ინტერვალები, ასევე ცალკეული პიკების აბსოლუტური ლატენტური პერიოდები. ცნობილია, რომ აბსოლუტურ ლატენტურ პერიოდთან შედარებით სადიაგნოზოდ ძირითადად გამოიყენება პიკთაშორისი ინტერვალები, ვინაიდან ისინი ნაკლები ვარიაბელობით გამოირჩევა. ტღსბპ-ის გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ტალღა (პიკი) ძლიერ დაკნინებულია ან საერთოდ არ არის გამოხატული, რაც ტვინის ღეროს სტრუქტურის ძლიერ დისფუნქციაზე მიუთითებს. მოცემული ნაშრომის ერთი ნაწილი ეძღვნება შაკიკის ჩამოყალიბების ნერვულ-ჰუმორულ მექანიზმებს, მისი გამოვლინების ფორმებს, მაპროვოცირებელ ფაქტორებს და მკურნალობას, ხოლო მეორე ნაწილი – ტღსბპ-ის რეგისტრაციას შაკიკის რემისიის პერიოდში. გამოწვეული პოტენციალების შესწავლა ელექტროენცეფალოგრაფიასთან, თავის ტვინის სისხლძარღვების რეოგრაფიასა და მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევასთან ერთად სასარგებლო ინფორმაციას იძლევა პაციენტის შეფასებისა და მართვისთვის.

საკვანძო სიტყვები: შაკიკი, ჰემიკრანია, სეროტონინი, ტვინის ღერო, გამოწვეული პოტენციალები, ღეროს დისფუნქცია

შაკიკი ქრონიკული დაავადებაა, რომლის კლინიკურ სურათში წამყვანია უმეტესად თავის ერთ-ერთ ნახევარში სისხლძარღვოვანი მექანიზმით განვითარებული შეტევითი ხასიათის ტკივილი. შაკიკის ბერძნული შესატყვისია „ჰემიკრანია“, რაც სიტყვასიტყვით თავის ქალას ნახევარს ნიშნავს. ამ დაავადებას პირველად სახელი დაარქვა ძველმა რომაელმა ექიმმა გალენმა. შემდგომში სახელწოდება „ჰემიკრანია“ ტრანსფორმირდა ფრანგული ტრანსკრიფციით „მიგრენე” და გარდაიქმნა „მიგრენად“. ამჟამად, ამ ტერმინს აქვს საერთაშორისო გამოყენება როგორც მედიცინაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში [3].

შაკიკის პათოგენეზი. შაკიკის გენეზში მონაწილეობს სისხლძარღვოვანი, ნერვული და ენდოკრინულ-ჰუმორული მექანიზმები. სისხლძარღვოვანი ცვლილებები კლასიკური (ოფთალმოლოგიური) და ასოციაციური შაკიკის დროს მიმდინარეობს თავის ტვინის სისხლძარღვების ვაზოკონსტრიქციით და აქედან გამომდინარე, სისხლის ნაკადის 20%-60%-ით შემცირებით. დაავადების პროდრომულ ეტაპზე ნეიროტრანსმიტერ გლუტამატის მაღალი კონცენტრაცია ანგიოსპაზმს იწვევს. პროდრომულ პერიოდში კომპიუტერული ტომოგრაფიით ნანახია თავის ტვინის გარდამავალი ისქემია და შეშუპება, ხოლო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდება ტვინოვანი ნივთიერების ატროფია და მცირე ინფარქტები ტვინის სუბარაქნოიდული სივრცეების გაგანიერებასთან ერთად [4]. შაკიკის ტკივილის ფაზა დაკავშირებულია გარეთა საძილე არტერიის ინტრაკრანიალური ტოტების დილატაციასთან და ასევე პულსაციის ამპლიტუდის მომატებასთან. აღსანიშნავია, რომ მკვლევართა უმეტესობა ტკივილის ინტენსივობასა და საფეთქლის არტერიის პულსაციის ამპლიტუდას შორის პირდაპირ კორელაციაზე მიუთითებს. ენდოკრინულ-ჰუმორული მექანიზმი შაკიკის შეტევის დროს დაკავშირებულია სისხლის პლაზმის მონოამინების შემცველობის ცვლილებებთან, მაგრამ მხოლოდ სეროტონინის დონის ცვლილება კორელირებს შეტევის დინამიკასთან [10]. ტკივილის შეტევის წინ პლაზმის თავისუფალი სეროტონინის შემცველობა იზრდება, რაც იწვევს სისხლძარღვების ვაზოკონსტრიქციას. თრომბოციტების დაშლის შედეგად გამოყოფილი პროსტაგლანდინების სინთეზის შუალედური პროდუქტები – თრომბოქსინ A_2 და B_2 ასევე არღვევს სისხლძარღვების რეგულაციას. თავისუფალი სეროტონინი უცვლელი ან მეტაბოლიტების სახით გამოიყოფა შარდთან ერთად. შედეგად, მისი შემცველობა ქვეითდება პლაზმასა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაში (ცნს): თალამუსში, ჰიპოთალამუსსა და ლიმბურ სისტემაში. აღნიშნულ ცვლილებებს მოსდევს თავის ტკივილი. თავის ტკივილის შეტევის დროს ნეირონების ტერმინალებში ქვეითდება კატექოლამინების შემცველობა, რასაც მივყავართ სისხლძარღვების ადრენერგული და დოფამინერგული რეცეპტორების დენერვაციულ ჰიპერმგრძნობელობასთან. ტკივილის შეტევისას ცენტრალური დოფამინერგული ნეირონების რეცეპტორების მგრძნობელობის მომატებას მკვლევარები უკავშირებენ გულისრევის შეგრძნების ფორმირებას. შაკიკის კლინიკური სურათის გაშლის პერიოდში საფეთქლის არტერიის გარემომცველ რბილ

ქსოვილებში ნანახია ბრადიკინინის გაზრდილი შემცველობა, რაც ჯანმრთელ ადამიანებშიც იწვევს დამახასიათებელ პულსირებად ტკივილს. ამ ტიპის ტკივილის მოხსნა შესაძლებელია ანტიკინინური პრეპარატებით [6]. შაკიკის განვითარების ნერვული მექანიზმის თანახმად, პაციენტებს დაბადებიდან აღენიშნებათ თავის ტვინის მონოამინების და ენდოგენური ოპიოიდური სისტემის მეტაბოლიზმის დისრეგულაცია [11]. ამის ნიადაგზე ვითარდება ცენტრალური დისნოცეფცია და იცვლება ბიოლოგიური რიტმი. სხვადასხვა ეგზოგენური და ენდოგენური გავლენები ამძიმებს რა ამ არასრულფასოვნებას, იწვევს შაკიკის შეტევებს. ნორადრენალინის და, განსაკუთრებით სეროტონინის, სინთეზის დაქვეითება ამცირებს არა მარტო ტკივილის ზღურბლს, არამედ თავის ტვინის ანტინოციცეპტორული სისტემის აქტიურობას. მაგალითად, რეზერპინი, რომელიც ანადგურებს კატექოლამინერგული და სეროტონინერგული ნეირონების ტერმინალებში ამ მედიატორების მარაგს, იწვევს შაკიკის შეტევას. შესაძლოა, ანტინოციცეპტორული სისტემის ნორმალურ ფუნქციობაში გადამწყვეტი როლი ენიჭებოდეს სეროტონინის ცვლას. ამ ჰიპოთეზის მიხედვით, შაკიკის საფუძველს წარმოადგენს ნოციცეფციის თანდაყოლილი დისფუნქცია, ხოლო უშუალოდ თავის ტკივილის მიზეზია ტკივილის ცენტრალური კონტროლის პაროქსიზმული დარღვევა. აქედან გამომდინარე, დაავადების ყველა გამოვლინება წარმოადგენს ცენტრალური მონოამინერგული სისტემის დისრეგულაციის შედეგს, ხოლო პათოლოგიური ვაზოდილატაცია ვითარდება ცენტრალური ადრენერგული ზემოქმედების უნარის დაკარგვით, რაც მიმდინარეობს სისხლძარღვთა რეცეპტორების დენერვაციული ჰიპერმგრძნობელობით. ამრიგად, თანამედროვე წარმოდგენებით, შაკიკის პათოგენეზში მონაწილეობს ნერვული, ჰუმორული და სისხლძარღვოვანი ფაქტორების ერთობლიობა.

კლინიკურ პრაქტიკაში შაკიკის რამდენიმე ფორმას გამოყოფენ. ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა მარტივი შაკიკი. მარტივი შაკიკით დაავადებულ პაციენტთა უმრავლესობას აღენიშნება პროდრომული სიმპტომები: გუნება-განწყობის შეცვლა (ეიფორია ან დეპრესია), გაღიზიანებადობა, შფოთვა, მთქნარება, ცრემლდენა, მადის შეცვლა, წყურვილი და სხვ. თავის ტკივილი იწყება ნებისმიერ დროს, მაგრამ უფრო ხშირად ღამის ძილისას, გაღვიძების შემდეგ ან დილით. შეტევის დასაწყისში ტკივილი, ჩვეულებრივ, ლოკალიზდება შუბლ-საფეთქელ-თვალის მიდამოში, უფრო ხშირად – ცალმხრივად. რიგ შემთხვევებში აღინიშნება ორმხრივი, პულსირებადი თავის ტკივილი, რომლის ინტენსივობაც 2-5 საათის განმავლობაში იზრდება. ტკივილს აძლიერებს მკვეთრი განათება, ხმაური, მძაფრი სუნი, მოძრაობა, თავის დახრა. მარტივი შაკიკის სიხშირე სხვადასხვანაირია. მაპროვოცირებელი ფაქტორების გარეშე მისი პერიოდულობა ინდივიდუალურია, შეტევები მეორდება გარკვეული დროის ინტერვალით. შეტევის შემდეგ დგება რეფრაქტერული პერიოდი (შეტევის ჩამთავრების შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში ტკივილი არ გამოიხატება). აღსანიშნავია, რომ მარტივი შაკიკით დაავადებული პაციენტების მდგომარეობა

უმჯობესდება ორსულობის დროს. ცალკეულ შემთხვევებში ორსულობის მთელი პერიოდი შეტევების გარეშე მიმდინარეობს.

ასოცირებული შაკიკისთვის დამახასიათებელია აურა გარდამავალი ნევროლოგიური სიმპტომებით, რაც შეინიშნება ტკივილის ფაზაში და ასევე შეტევის ჩამთავრების შემდეგაც. ასოცირებული შაკიკის ჯგუფში შედის ბაზილარული შაკიკი. მას ახასიათებს ჰემიპლეგია ან ტეტრაპლეგია, თავბრუსხვევა, ღებინება, დიპლოპია, პტოზი, ტინიტუსი. ზოგჯერ ავადმყოფი გონებასაც კარგავს. ელექტროენცეფალოგრამაზე (ეეგ) სინათლით გაღიზიანებისას რეგისტრირდება კრუნჩხვითი აქტიურობის ნიშნები, თუმცა შაკიკის შეტევისას კლინიკურად კრუნჩხვა არ ვლინდება.

შაკიკის სტატუსს უწოდებენ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენდება შაკიკის მძიმე შეტევები. ასეთი შეტევები იწყება პაროქსიზმულად ან თანდათან, თუმცა სიმპტომები განუხრელად ძლიერდება. დასაწყისში თავის ტკივილი ლოკალური და პულსირებადია, შემდეგ იღებს დიფუზურ ხასიათს, ღებინება მრავალჯერადია. გამოკვლევებით ნანახია ლიქვორის წნევის მატება, ექოენცეფალოგრაფიულად ვლინდება თავის ტვინის შეშუპებისა და ჰიდროცეფალიის ნიშნები.

შაკიკის პაროქსიზმული ბუნება ეპილეფსიასთან მსგავსებაზე მიუთითებს. ზოგიერთი ავტორის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, გამოიყოს ეპილეფსიური შაკიკი, შაკიკის მაგვარი ეპილეფსია ან შაკიკი-ეპილეფსია [5]. არსებობს კვლევები, რომლებიც მიუთითებს შაკიკისა და ეპილეფსიის ბუნების გენეტიკურ ნათესაობასა და სიახლოვეზე [2]. აღსანიშნავია, რომ ეპილეფსიით დაავადებულებში (და პირიქით) შაკიკის გამოვლინების სიხშირე ბევრად მეტია, ვიდრე საერთო პოპულაციაში.

შაკიკის შეტევების სიხშირესა და ინტესივობაზე უშუალოდ მოქმედებს მაპროვოცირებელი ფაქტორები, მათ შორის ემოციური სტრესი და ფიზიკური გადაღლა. პაციენტების ანამნეზის დეტალური შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ შაკიკის შეტევა ვითარდება არა სტრესორის ზემოქმედების პერიოდში, არამედ შემდგომი რელაქსაციის დროს, რაც შემდეგნაირად აიხსნება: სტრესის დროს ნოციცეფციის განმაპირობებელი მედიატორების – ნორადრენალინის, სეროტონინის და ენდოგენური ოპიოიდური ნივთიერებების დონე მატულობს, ხოლო სტრესორის მოხსნის შემდეგ რელაქსაციის ფაზაში მათი კონცენტრაცია მცირდება. მსგავსი ბიოქიმიური ცვლილებები უდევს საფუძვლად ძილის დარღვევით პროვოცირებულ შაკიკის შეტევებს. ცნობილია, რომ თავის ტვინის მონოამინები და ენდოგენური ოპიოიდური სისტემები მონაწილეობს სისხლძარღვთა, ნოციცეფციის, ძილის და კვების რეგულაციაში. აღსანიშნავია, რომ ძილის ჩვეული რიტმის დარღვევა შაკიკის შეტევების გახშირებას უწყობს ხელს. იმ პაციენტებმა, რომლებმაც შეძლეს შაკიკის შეტევის დროს ჩაძინება, თავიდან აიცილეს თავის ტკივილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძილის

რეგულაციაში დიდ როლს ასრულებს თავის ტვინის ღეროს შემაკავებელი სეროტონინერგული სისტემები. მათი უკმარისობა იწვევს უძილობას, ხოლო სტიმულაცია – ჰიპერსომნიას. სწრაფი ძილის დროს იზრდება ტვინის სისხლის ნაკადი და მცირდება სეროტონინის შემცველობა თრომბოციტებში. შაკიკის ღამის შეტევები ემთხვევა სწრაფი ძილის ფაზას და, შესაძლოა, ეს განპირობებულია ცნს-ში სეროტონინის დონის ცირკადული ცვალებადობით.

შაკიკის მართვა თანამედროვე მედიცინის აქტუალური გამოწვევაა. ტკივილის შეტევის კუპირებისთვის ფართოდ გამოიყენება ტრიფტანების ჯგუფის მედიკამენტები და გაცილებით ნაკლებად – წარსულიდან კარგად ცნობილი ერგოტამინის ჯგუფის პრეპარატები. დღეისთვის შაკიკის მკურნალობის ახალ შესაძლებლობად განიხილება ბიოტექნოლოგიური პრეპარატები, რომლებიც მიმართულია პერიფერიულ დონეზე მენინგეალური სისხლძარღვების გაფართოებისა და პარასიმპატიკური ნერვული სისტემის რეფლექსური სტიმულაციის წინააღმდეგ [9]. მედიკამენტოზურ თერაპიასთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა და შაკიკის მაპროვოცირებელი ფაქტორების მინიმიზაცია.

ტვინის ღეროს მოკლელატენტური სმენითი გამოწვეული პოტენციალების (ტღმსბპ) შესწავლა სხვადასხვა ნევროლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკის თანამედროვე არაინვაზიური მეთოდია. ამ ნეიროფიზიოლოგიური გამოკვლევის მეშვეობით ხდება მოცემულ მომენტში ტვინის ღეროს ფუნქციური მდგომარეობის შეფასება. ამის შესაძლებლობას სმენის ანალიზატორის სტრუქტურების თითქმის მთელს თავის ტვინის აღმავალ დონეზე განლაგება იძლევა [12, 13]. აღსანიშნავია, რომ ტღმსბპ შაკიკის განვითარების ცალკეულ შემთხვევაში ამ დაავადების ელექტრული აქტიურობის ტიპურ სურათს არ იძლევა (ანუ მხოლოდ შაკიკისთვის დამახასიათებელ ცვლილებებს ვერ მივიღებთ). საქმე ისაა, რომ ტვინის ღეროს ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურების გამო, შესაძლოა შაკიკის დროს დაზიანდეს სმენითი იმპულსის გამტარი ესა თუ ის ნერვული გზა, დაახლოებით ისე, როგორც ზიანდება ქალა-ტვინის ტრავმის, უშუალოდ სმენის სისტემის პათოლოგიის, ნეიროინფექციების, სამშობიარო ტრავმის შედეგად [1]. ამიტომ შაკიკის ხშირი რეციდივის შემთხვევაში ტღმსბპ-ს ცვლილებები აუცილებლად გამოიხატება, თუმცა ჩატარებული მკურნალობის შედეგად ტკივილთან ერთად ისინი აღმოიფხვრება.

შაკიკით დაავადებული პაციენტების ტღმსბპ-ს ჩანაწერების დემონსტრირებამდე, საჭიროდ მიგვაჩნია ტღმსბპ-ს ფიზიოლოგიური სურათის მოკლე მიმოხილვა: I პიკი წარმოადგენს ლოკოკინას, სმენის ნერვის გამოწვეულ პოტენციალს (ბპ); II პიკი შეესაბამება კოხლეარული ბირთვის ბპ-ს; III პიკი არის ზემო ოლივარული კომპლექსის ბპ; IV- ლატერალური მარყუჟის ბპ; V – ოთხგორაკის უკანა ბორცვების ბპ; VI – შიგნითა დამუხლული სხეულის ბპ; VII – თალამო-კორტიკული პროექციის ბპ [7, 8, 12, 13]. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი უკანასკნელი პოტენციალი ხშირად არ გამოიხატება.

ჩვენ მიერ წარმოდგენილია ტღმსბპ-ს ობიექტური ჩანაწერები, რომელიც მიღებულია შაკიკით დაავადებული პაციენტების გამოკვლევის დროს.



სურ. 1. პაციენტი, მდ. სქ., 67 წლის. დიაგნოზი – ასოცირებული შაკიკი აურით. ჩანაწერზე გამოსახულია მკვეთრი ასიმეტრია მარჯვენა და მარცხენა ბპ-ს შორის. I-V პიკთაშორისი ინტერვალია 4.2 მსეკ, რაც ნორმის ზედა ზღვარია. I, II, III და V ტალღები მნიშვნელოვნად დაკნინებულია, რაც შესაბამისი სტრუქტურების დისფუნქციაზე მიუთითებს (ყველა სურათზე სტიმულაცია არის ბინაურული – 85 დბ, კალიბრება – 0.5 მკვ, 1 მსეკ, ზედა მრუდი შეესაბამება მარცხენა მხარეს, ქვედა მრუდი – მარჯვენას)



სურ. 2. პაციენტი, მდ. სქ., 23 წლის. დიაგნოზი – მარტივი შაკიკი. I ტალღა მარცხნივ გამოიხატა დამახინჯებული ფორმით, შეცვლილია მისი პოლარობა. აღინიშნება ასიმეტრია მარჯვენა და მარცხენა ბპ-ს შორის. შეინიშნება ღეროს ძლიერი დისფუნქცია



სურ. 3. პაციენტი, მდ. სქ., 30 წლის. დიაგნოზი – მარტივი შაკიკი. II, III და ნაწილობრივ V ბპ-ები მარჯვნივ დაკნინებულია. აღინიშნება ასიმეტრია მარჯვენა და მარცხენა ბპ-ს შორის. აკუსტიკური იმპულსის გატარების სისწრაფე ნორმაშია



სურ. 4. პაციენტი, მდ. სქ., 53 წლის. დიაგნოზი – მარტივი შაკიკი. მარჯვენა ბპ-ები ძლიერ დაკნინებულია გარდა I პიკისა. აღინიშნება მკვეთრი ასიმეტრია მარჯვენა და მარცხენა ბპ-ს შორის. გამოხატულია ღეროს ძლიერი დისფუნქცია მარჯვნივ

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ თავის ტვინის ღეროს სმენითი გამოწვეული პოტენციალების შესწავლა ეეგ-სთან, თავის ტვინის სისხლძარღვების რეოგრაფიასა და მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევასთან ერთად სასარგებლო ინფორმაციას იძლევა პაციენტის შეფასებისა და მართვისთვის.

ლიტერატურა

1. *კვერნაძე გ., ანდრონიკაშვილი გ., ჭიპაშვილი ს., გურაშვილი თ., გოგეშვილი ქ., ახობაძე ნ.* საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედიცინის სერია, 2014, 40, 5-6, 221-235.
2. *Бадалян Л.О., Горлина И.С.* Клин. мед., 1969, 1, 48-54.
3. *Гречко В.Е.* Головная боль. Москва, “Медицина”, 1983.
4. *Дорофеева М.Ю.* Журн. неврол. и психиатр., 1983, 4, 604-606.
5. *Карлов В.А.* Журн. неврол. и психиатр., 1963, 11, 643-1650.
6. *Шток В.Н., Пигарев В.А.* Клин. мед., 1979, 12, 17-22.
7. *Davis H.* Ann. Otol. (St Louis), 1976, 85, 3-14.
8. *Jarett D.L., Williams J.S.* Brain, 1971, 94, 681-696.
9. *Pomes L.M., Guglielmetti M., Bertamino E., Simmaco M., Borro M., Martelletti P.* J. Headache Pain, 2019, 20(1), 56.
10. *Raskin N.H., Appenzeller O.* Major Probl. Intern. Med., 1980, 19, 1-244.
11. *Sicutery F.* Persistent non-organic central pain: headache and central panalgesia. Persistent pain: modern methods of treatment. Ed. S. Lipton, Y. Miles., London: Academic Press, 1981, 3, 119-141.
12. *Starr A., Hamilton A.E.* Electoenceph. Clin. Neurophisiol., 1976, 41, 595-608.
13. *Tharnton A.R., Hawkee C.H.* J. Neurol. Neur. Phsychiat., 1976, 39, 586.

262

МИГРЕНЬ, КЛИНИЧЕСКИЕ ИССЛЕДОВАНИЯ КОРОТКОЛАТЕНТНЫХ СЛУХОВЫХ ВЫЗВАННЫХ ПОТЕНЦИАЛОВ

Георгий Квернадзе[1], Георгий Андроникашвили[1], Теа Гурашвили[1, 2], Кетеван Гогешвили[1], Сенера Чипашвили[1], Нино Ахобадзе[1], Михаил Окуджава[1]

[1] Центр экспериментальной биомедицины им. Ив. Бериташвили,Тбилиси; [2] Кавказский университет, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Мигрень относится к вазомоторно-церебральным пароксизмам, которые характеризуются периодическими приступами в одной половине головы (гемикрания), и представляют собой генетически обусловленные проявления дисфункции вазомоторной регуляции. В организации приступов мигрени большое значение имеют те биохимические и нейрогуморальные изменения, которые предшествуют развитию пароксизма. Приступ мигрени связан с повышением уровня глутамата, что вызывает ангиоспазм. В следующей стадии резко снижается уровень серотонина. При этом в рефлексогенной зоне наружной сонной артерии вазодилатация изменяется вазоконстрикцией, что вызывает пульсирующую головную боль. Мы исследовали слуховые, вызванные потенциалы мозгового ствола (СВПМС) пациентов, больных ассоцированной и простой формой мигрени. Исследования показали, что у большинства больных отмечались существенные нарушения СВПМС, в частности, увеличение как межимпульсных интервалов регистрируемых волн, так и абсолюттные латентные периоды отдельных пиков. Известно,что в неврологической диагностике вместе с другими параметрами СВПМС, в основном, используются межимпульсные интервалы СВПМС, поскольку они менее вариабельны, чем абсолютные латентные периоды. Исследованиями показано,что некоторые пики вызванных потенциалов или сильно подавлены, или вовсе не регистрируются, что указывает на сильную дисфункцию структур ствола мозга. Одна часть данного труда посвящается механизмам нервно-гуморального развития мигрени, формам ее проявления, провоцирующим факторам и лечению. Вторая часть относится к регистрации СВПМС в период ремиссии. Изучение вызванных потенциалов вместе с ЭЭГ, реографией мозговых сосудов и магнитно-резонансными исследованиями дает нужную информацию об оценке и управлении пациента.

MIGRAINE, A CLINICAL STUDY OF THE SHORT-LATENCY AUDITORY EVOKED POTENTIALS

Giorgi Kvernadze[1], Giorgi Andronikashvili[1], Tea Gurashvili[1, 2], Senera Chipashvili[1], Ketevan Gogeshvili[1], Nino Akhobadze[1], Michael Okujava[1]

[1] Ivane Beritashvili Center for Experimental Biomedicine,Tbilisi; [2] Caucasus University, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Migraine belongs to the vasomotor cerebral paroxysms characterised by periodic attacks in the hemispheric area (hemicrania) and is a manifestation of genetically defined vasomotor regulation

dysfunction. The biochemical and neurohumoral changes, which precede the development of paroxysms contribute to a great extent to the formation of migraine attacks. These latter are associated with an increase in glutamate level resulting in an angiospasm. At the following stage the level of serotonin sharply decreases. At this time, in the reflexogenic zone of the external carotid artery vasodilatation shifts into vasoconstriction bringing about the headache of pulsating character. We pursued study of brainstem auditory evoked potentials (BSAEP) in the patients suffering from simple and associated types of migraine. Our studies demonstrated that the majority of patients presented significant disturbances in BSAEP. Namely, the registered waves' interspike intervals and the absolute latent periods of separate peaks were both increased. It is known that as compared to the absolute latent period, alongside with the BSAEP different parameters, commonly applied in neurologic diagnostics are the interspike intervals because they are distinguished by less variability. The BSAEP studies revealed that some waves (peaks) of evoked potentials appear to be strongly diminished or are not recordable at all, this suggests a dramatic disfunction of the brainstem structures. One part of the present work deals with the neurohumoral mechanisms responsible for migraine development, the types of its manifestation, provoking factors and the treatment options. The other part concerns BSAEP recording in the period of migraine remission. Exploration of evoked potentials along with the electoencephalography, cerebrovascular rheology and magnetic-resonance imagined provides beneficial information for the assessment and management of a patient.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

FREQUENCY OF *MTHFR* GENE C677T POLYMORPHISM IN GEORGIAN PATIENTS WITH MIGRAINE

***Nino Kraveishvili*[1, 2], *Eka Kvaratskhelia*[1], *Maia Zarandia*[1], *Merab Kvintradze*[1], *Elene Abzianidze*[1]**

[1] Department of Molecular and Medical Genetics, Tbilisi State Medical University;
[2] Tbilisi Institute of Medicine, Georgia

Introduction. **Migraine is a complex, multifactorial, recurrent disorder involving intense head pain and associated with other unpleasant symptoms. A number of genes including methylenetetrahydrofolate reductase (MTHFR) gene have been implicated in the pathogenesis of this disease. In this case control study we investigated frequency of the C677T variant in the *MTHFR* gene in Georgian population with migraine phenotype.**

Materials and methods. **Total of 71 patients with migraine and 82 age-matched healthy controls were enrolled in this study. Written informed consent was obtained from all patients and controls. *MTHFR* genotyping was performed using PCR-RELP method.**

Results. **We observed that T allele frequency of MTHFR was significantly higher in patients compared to control groups. In addition, frequencies of CT and TT genotypes were significantly associated with an increased risk of migraine susceptibility.**

Conclusion. **Identification of individuals with C677T variants may be useful to migraine patients. In addition, homocysteine-lowering interventions in the form of supplements of vitamins B6, B9 or B12 might prevent this disorder.**

Key words: Migraine, MTHFR C677T

Migraine is the third most prevalent health condition manifesting as recurring attacks usually lasting for 4-72 hours and involving pain of moderate to severe intensity, often with nausea, sometimes vomiting, and/or sensitivity to light, sound, and other sensory stimuli [7].

The exact causes and mechanisms of the condition are still unclear. Migraine, its related complications, diagnoses and treatment are a global medico-social problem. At present, there are neither biochemical test, nor electrophysiological (cortical spreading depression has been implicated in migraine with aura) and neuroradiological studies to confirm this health condition. Diagnosis of migraine with aura and without aura usually achieved by matching the patients clinical manifestations to the classifications outlined by the Headache International Society [HIS] [14].

Genetic factors importantly contribute to migraine. Heredity has been shown to play an important role in migraine pathogenesis. About 50% of affected individuals have a first-degree relative also suffering from migraine [1, 8, 15]. In addition, family and twin studies support the idea of MO and MA being different phenotypes of the same entity, with a heritability ranging from 33 to 57% [4, 8, 9]. As migraine is very common debilitating disorder with unknown etiology and wide range of clinical manifestations, based on results from heritability studies have posted a challenge to molecular genetics to discover pathophysiology of this condition.

The recent developments have clarified the role of cranial blood vessels in the trigemino-vascular system and in cortical spreading depression. The vasculature appears to play an important role in migraine. For example, individuals with migraine carry an approximately two fold increased risk for ischemic stroke compared to non-migraine person [13]. Numerous of genes have been implicated in the pathogeneses of this condition, including genes involved in the regulation of vascular system making the vascular class of genes a priority and critical for migraine studies. Particular importance are the *MTHFR* gene 677C > T polymorphism. MTHFR is an enzyme in methyl cycle converting 5.10-methylentetrahdrofolate to 5-methylentetrahydrofolate, the primary form of folate circulating in the blood and the substrate for homocysteine, when recycled into methionine. Polymorphic variant of gene *MTHFR* C677T, when alanine is replaced by valine, causing the reduction of enzyme activity followed by the elevation of serum homocysteine. Elevated levels of plasma homocysteine is associated with pathogenesis of migraine development [6, 12]. The increase in the level of homocysteine due to *MTHFR* gene C677T polymorphism causes damage to the blood vessels [10]. In addition, hyperhomocysteinemia is intensifying the activation of VIII and V factors, as well as prothrombin, while causing C protein suppression [12]. Hyperhomocysteinemia impact of endothelial nitric oxide formation is another important aspect, which is oxidative stress and vascular endothelial lesions predisposing factor [5]. Angiotensin converting enzyme [ACE] and MTHFR gene variants are associated with Von Willebrand factor [VWF] activity, an endothelial dysfunction marker [16]. Also, it is well known cytotoxic effect of homocysteine since it acts as an NMDA receptor endogenous agonist and thus causes migraine [2].

Development mechanisms of migraine induced by hyperhomocysteinemia are still unclear [10]. The prevalence of the *MTHFR* gene C677T polymorphism in different human populations is unknown. In many countries worldwide, some studies have shown that the *MTHFR* gene C677T polymorphism is not the main genetic factor of migraine predisposition [3].

In other countries, such as China, *MTHFR* gene C677T polymorphism was associated with migraine [17]. This variability can be caused by the other genetic and environmental factors (lifestyle, nutrition, ecology, stress, climate variability, etc.), which cause epigenetic dysregulation in genome. The goal of the present study is to evaluate association of *MTHFR* gene C677T polymorphic variants and the risk of migraine development in the Georgian population.

MATERIAL AND METHODS

Total of 153 individuals were enrolled in this study (71 patients with migraine and 82 age-matched healthy controls). The study protocol was approved by the Ethics Committee of Tbilisi State Medical University. Written informed consent was obtained from all the patients and controls. Detailed information on medical history was obtained from all study subjects. Patients inclusion criteria are provided in Table 1. Controls (n = 83), which showed no evidence of headache disorder was recruited.

Table 1

Patients inclusion criteria

Adults > 20
Male and Female
Ethnic Georgians
Migraine was diagnosed with neurological examination and based on International criteria of headache [ICHD-II] determined by IHS

MTHFR genotyping

Venous blood samples were collected from patients and healthy subjects in K3EDTA coated tubes (5 ml). DNA extraction was performed using QIAamp DNA Mini Kit (Qiagen, Maryland, USA). *MTHFR* gene polymorphisms are detected by Polymerase Chain Reaction-Restriction Fragment Length Polymorphism (PCR-RELP) method. Primers, PCR conditions and Restriction enzymes are given in Table 2. The PCR product of C677T (198-bp band) was digested using HinfI restriction enzyme (NEB, USA), fragments were separated by 3% agarose gel electrophoresis and then visualized using UV Transilluminator (Enduro, USA). After digestion fragment sizes for the C677T variant were: 198-bp bands for CC, 175, 23-bp bands for TT, and 198, 175, and 23-bp bands for CT.

Table 2

Primers, PCR conditions and Restriction enzymes for *MTHFR* variant

***MTHFR* variants**	**Primer pairs**	**PCR conditions**	**Restriction enzymes**
C677T	F/5′TGAAGGAGAAGGTGTCTGCGGGA3′ R/5′AGGACGGTGCGGTGAGAGTG3′	94°C for 5 min (96°C for 30 s, 66°C for 30 s,72°C for 30 s) 30 cycles 72°C for 5 min	HinfI

Statistical analysis

Genotype and allele frequencies for the *MTHFR* genotype variants were investigated using standard Chi-square (χ^2) analysis. Odds ratios (OR) and 95% confidence intervals (95% CI) were calculated for association between *MTHFR* genotypes/alleles and

subclinical hypothyroidism. A P value < 0.05 was considered statistically significant. Data were expressed as mean ± standard deviation (SD). The analysis was performed using SPSS software version 23 (Chicago, IL).

RESULTS

71patients with migraine and 82 age-matched controls were enrolled in this study. All participants were ethnic Georgians. The groups of patients and controls did not significantly differ concerning gender or age. *MTHFR* gene polymorphisms were detected by PCR-RELP method (Fig.1). Table 3 shows the allele frequencies and genotype distributions for *MTHFR* C677T and their ORs and 95% CIs for migraine. The genotype frequencies for both polymorphisms were in accordance with the Hardy-Weinberg equilibrium in the case and control groups.



Fig. 1. PCR-RELP results of *MTHFR* C677T. M, 100 bp marker; 11-17 patients with migraine; 18-22 healthy controls

Table 3

Distribution of *MTHFR* C677T Polymorphism and Allele Frequencies

Variables	Case (n = 71)	Control (n = 82)	Case -Control Odds Ratio (95% CI)
Genotype			
CC	39 (31.6%)	61 (42.7%)	Reference
CT	24 (55.8%)	19 (44.2%)	OR (CI)1.97 (0.95 to 4.07) p = 0.047
TT	8 (31.6%)	2 (5.8%)	OR (CI) 5.0794(1.04 to 24.77) p = 0.029
Alleles			
C	102 (71.8%)	141 (86%)	Reference
T	40 (28.2%)	23 (14%)	OR(CI) 2.4041 (1.35 to 4.26) p = 0.001

Values are presented as mean ± SD or %

In the present study, the T allele frequency of *MTHFR* was significantly different between patient and control groups (28.2% versus 14%, $p = 0.001$; Table 3). The frequencies of the MTHFR *C677T* genotypes in the patients (CC, 31.6%; CT, 55.8; TT, 31.6%) were also significantly different from controls (CC, 42.7%; CT, 44.2%; TT, 5.8%) ($p < 0.05$). The *MTHFR* CT and TT genotypes were significantly associated with an increased risk of migraine (OR = 1.97, 95% CI:0.95 to 4.07, $p < 0.05$ and OR = 5.079495% CI:1.04 to 24.77, $p < 0.05$, respectively).

DISCUSSION

Migraine is a common neurovascular disorder, which affects about 16% of the worldwide population. The pathogenesis of the disease involves a combination of genetic and environmental factors. According to different single nucleotide polymorphism studies, ethnicity has a role in the gene diversity of migraine. It has been proposed that endothelial dysfunction, which increases oxidative stress and promotes inflammatory processes, is involved in the pathogenesis of migraine [4, 7]. In this respect, *MTHFR C677T* genetic polymorphisms may play a significant role in vascular disease [6].

In the present study we evaluated the migraine susceptibility variants of *MTHFR* gene for the first time in Georgian population. Our study indicates that the *MTHFR* C677T polymorphism is strongly associated with the risk of migraine. CT and TT genotypes were significantly linked to migraine development. In addition, the individuals with T allele have a significantly higher risk of migraine, as compared to individuals with C allele.

The limitations of our study include a relatively small sample size. Also, there are some difficulties to obtain data about plasma levels of homocysteine or folate. Thus, we were not able to evaluate the association between blood based biomarkers and migraine. However, it has been proposed that *MTHFR* gene C677T variant causes hyperhomocysteinemia, which is associated with endothelial cell injury, reduced production of nitric oxide and increased oxidative stress.

In addition, the elevated levels of homocysteine have a neurotoxic effects and are associated with cardiovascular disease, cerebrovascular disease and peripheral vascular disease, which are involved in the pathogenesis of migraine [10-13]. The identification of individuals with C677T variants may be useful to migraine patients. In addition, homocysteine-lowering interventions in the form of supplements of vitamins B6, B9 or B12 might prevent this disorder. In conclusion, the association of *MTHFR* C677T variants with migraine has not been previously analyzed in Georgian population and further studies are needed with a larger sample size to prove our findings.

ACKNOWLEDGMENTS

We would like to thank all the patients and control subjects who participated in this study.

REFERENCES

1. *Bille B.* Cephalalgia, 1997, 17[4], 488-491, doi: 10.1046/j.1468-2982.1997.1704488.x.
2. *Ferrari M.D., Odink J., Bos K.D., Malessy M.J., Bruyn G.W.* Neurology, 1990, 40, 1582-1586.
3. *Ferroa A., Castro M.-J. Lemosa, C. Santos, M. Sousa, Pereira-Monteiro J., Sequeirosa J.J., Macield P.* Disease Markers, 2008, 25, 107-113.
4. *Ligthart L., Boomsma D.I., Martin N.G., Stubbe J.H., Nyholt D.R.* Twin Res. Hum. Genet., 2006, 9(1), :54-63. doi: 10.1375/twin.9.1.54.
5. *Loscalzo J.* J. Clin. Invest., 1996, 98, 5-7.
6. *Menon S., Lea R.A., Roy B., Hanna M., Wee S., Haupt L.M., Oliver C., Griffiths L.R.* Pharmacogenet. Genomics, 2012, 19(10), 741-9.
7. *Morillo L.E.* Clinical Evidence, 2004, 11, 1696-1719.
8. *Mulder E.J., Baal C., Gaist D., Kallela M., Kaprio J., Svensson D.A., Nyholt D.R., Martin N.G., Mac Gregor A.J., Cherkas L.F, Boomsma D.I., Palotie A.* Twin Res., 2003, 6(5), 422-431. doi: 10.1375/136905203770326420.
9. *Nyholt D.R., Gillespie N.G., Heath A.C., Merikangas K.R., Duffy D.L., Martin N.G.* Genet. Epidemiol., 2004, 26(3), 231-244. doi: 10.1002/gepi.10311.
10. *Pizza V., Agresta A., Cassano D., Coluccid'Amato C., Capasso A.* Current Neurobiology, 2013, 4 (1& 2), 19-24 ISSN 0975-9042.
11. *Rodgers G.M., Conn M.T.* Blood, 1990, 75(4), 895-899.
12. *Sadeghi O., Maghsoudi Z., Askari Gholamreza, Khorvash F., Feiziawat J.* Res. Med. Sci., 2014, (11), 1041-1045.
13. *Schürks M., Rist P.M., Bigal M.E., Buring J.E., Lipton R.B., Kurth T.* BMJ, 2009, 339, b3914. doi: 10.1136/bmj.b3914.
14. *Society H.C., Soti H.* Cephalalgia, 2004, 2, 24 (Suppl.).
15. *Svensson D.A., Larsson B., Waldenlind E., Pedersen N.L.* Headache, 2003, 43(3), 235-244. doi: 10.1046/j.1526-4610.2003.03047.x.
16. *Tietjen G.E. et al.* Cephalalgia, 2009, 29(9), 960-8.
17. *Xing-Kai A., Cong-Xia L., Qi-Lin M., Xiao-Rong Zh., J.-M. Burgunder, Qing L., Hong-LQua.* Neuroscience Letters, 2013, 549.

MTHFR გენის C677T პოლიმორფიზმის სიხშირე ქართველ პაციენტებში შაკიკის დიაგნოზით

ნინო კრავეიშვილი[1,2], ეკა კვარაცხელია[1], მაია ზარანდია[1], მერაბ კვინტრაძე[1], ელენე აბზიანიძე[1]

[1] თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი; [2] თბილისის მედიცინის ინსტიტუტი

რეზიუმე

შესავალი. შაკიკი არის კომპლექსური, მულტიფაქტორული დაავადება, რომლის დროსაც აღინიშნება ინტენსიური თავის ტკივილი და მასთან ასოცირებული არასასურველი სიმპტომები. იდენტიფიცირებულია რამდენიმე გენი, მათ შორის მეთილენტეტრაჰიდროფოლატ რედუქტაზა (MTHFR), რომელიც მონაწილეობს შაკი-

კის პათოგენეზში. წარმოდგენილ შემთხვევა-კონტროლის კვლევაში შესწავლილ იქნა MTHFR გენის C677T პოლიმორფიზმის სიხშირე შაკიკით დაავადებულ ქართულ პოპულაციაში.

მასალა და მეთოდები. კვლევაში ჩართული იყო შაკიკით დაავადებული 71 პაციენტი და იმავე ასაკის 82 ჯანმრთელი ინდივიდი. ინფორმირებული თანხმობის ფორმა მიღებულ იქნა ყველა მონაწილისგან. MTHFR-ის გენოტიპირება განხორციელდა PCR-RELP მეთოდით.

შედეგები. MTHFR გენის T ალელის სიხშირე მნიშვნელოვნად მაღალი იყო პაციენტებში კონტროლებთან შედარებით. გარდა ამისა, CT და TT გენოტიპის სიხშირეები მნიშვნელოვნად იყო ასოცირებული შაკიკის წინასწარგანწყობასთან.

დასკვნა. C677T პოლიმორფიზმის მქონე ინდივიდების იდენტიფიცირება, შესაძლებელია, სასარგებლო იყოს შაკიკის მქონე პაციენტებისთვის. გარდა ამისა, ჰომოცისტეინის შესამცირებელი დანამატების ინტერვენციამ B6, B9 ან B12 ვიტამინების სახით, შესაძლებელია, უზრუნველყოს ამ დაავადების პრევენცია.

РАСПРЕДЕЛЕНИЕ ПОЛИМОРФИЗМА C677T ГЕНА *MTHFR* СРЕДИ ПАЦИЕНТОВ С МИГРЕНЬЮ В ПОПУЛЯЦИИ ГРУЗИИ

Нино Кравеишвили[1, 2], Ека Кварацхелия[1], Майя Зарандиа[1], Мераб Квинтрадзе[1], Елена Абзианидзе[1]

[1] Тбилисский государственный медицинский университет, Департамент молекулярной и медицинской генетики; [2] Тбилисский институт медицины

РЕЗЮМЕ

Введение. Мигрень – это сложное, многофакторное, рецидивирующее заболевание, сопровождающееся сильной головной болью и другими неприятными симптомами. В патогенезе этого заболевания вовлечены ряд генов, включая ген метилентетрагидрофолатредуктазы (*MTHFR*).

Цель исследования – выявление полиморфизма C677T гена *MTHFR* у пациентов **с** мигренью в грузинской популяции.

Материал и методы. В исследовании были включены 71 пациента с мигренью и 82 здоровых лиц того же возраста. Письменное информированное согласие было получено от всех пациентов и контрольной группы. Генотипирование *MTHFR* гена проводили методом PCR-RELP.

Результаты. Анализ распределения генотипов *MTHFR* (C677T) выявил, что частота аллеля T *MTHFR* была значительно выше у пациентов, по сравнению с контрольной группой. Кроме того, частота генотипов CT и TT была значительно ассоциирована с повышенным риском предрасположенности к мигрени.

Заключение. Идентификация лиц с вариантами C677T может быть полезна для пациентов с мигренью. Кроме того, мероприятия по снижению уровня гомоцистеина в виде добавок витаминов B6, B9 или B12 могут предотвратить это заболевание.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

TWIN 80-ის ზეგავლენა ემულსიების ზოგიერთ რეოლოგიურ მახასიათებელზე

მაკა მარწკავა, ნანა მოძცელიძე, გიორგი კუჭავა

ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, რეოლოგიის და დიაგნოსტიკურ-ანალიტიკური სერვისების განყოფილება, თბილისი, საქართველო

სტატიაში განხილულია ნიუტონური და არანიუტონური სითხეებისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება. აქცენტირება გაკეთდა ე.წ. შუალედური სითხეების რეოლოგიური მახასიათებლების აღწერაზე. ჩვენს ინტერესს წარმოადგენდა გაგვერკვია, რა ზეგავლენას ახდენს სითხეების შემადგენლობაში TWIN 80-ის ყოფნა/არყოფნა რეოლოგიური კუთხით. ექსპერიმენტში გამოყენებული TWIN 80-ის მიერ გამოხატული რეაქციების ანალიზით აღმოჩნდა, რომ მყარი ნაწილაკების ძალა და ურთიერთქმედების წარმოშობა დამოკიდებულია კონცენტრაციებზე. ექსპერიმენტულად დამტკიცდა, რომ ხარის ალბუმინით სტაბილიზებული მაღალკონცენტრირებული ემულსიის რეოლოგიური ქცევა მყისიერად დამოკიდებულია ცილის და ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების მოლეკულებზე, მათ ურთიერთობაზე. დადგინდა სუსპენზიის მთლიან სივრცეში არსებული ნაწილაკოვანი დამოკიდებულების ზეგავლენა ემულსიის დენადობაზე, აგრეთვე ცილის და ზედაპირულად აქტიური ნივთიერების მოლეკულების ურთიერთქმედება ფაზათაშორისო შრეში. აღმოჩნდა, რომ სუსპენზიის მთლიან სივრცეში არსებული ნაწილაკოვანი დამოკიდებულება აფორმირებს რეოლოგიურ თვისებებს და განსაზღვრავს მის დენადობას. ჩვენი კვლევის ფარგლებში დადგინდა, თუ რა სარგებლიანობა აქვს ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს ემულსიების რეოლოგიური თვისებების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: რეოლოგია, ემულსია, დენადობა, TWIN 80, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები

თეორიული ფიზიკის თვალსაზრისით, სითხეები ორ ნაწილად იყოფა: არანიუტონური და ნიუტონური. არანიუტონური სითხის სიბლანტე დამოკიდებულია სიჩქარის გრადიენტზე [4, 7]. როგორც წესი, ასეთი სითხეები არაერთგვაროვანია და შედგება მსხვილი მოლეკულებისგან, რომლებიც ქმნის რთულ სივრცულ სტრუქტურებს. სითხეების ქცევას, რომელიც ემორჩილება ნიუტონის კანონებს, ნიუტონური ეწოდება. მათში

ტანგენციალური დაძაბულობა და სიჩქარის გრადიენტი პირდაპირ პროპორციულია ერთმანეთისა და ამავდროულად სიბლანტის განმსაზღვრელია [4, 7].

ბუნებაში გარდა ნიუტონური და არანიუტონური სითხეებისა, არსებობს განსაკუთრებული კონსისტენციები, როდესაც სითხე ითავსებს როგორც ნიუტონური, აგრეთვე არანიუტონური სითხის თვისებებს. მათ ზოგჯერ შუალედურ სითხეებს უწოდებენ [5]. ამ კლასს მიეკუთვნება ემულსიები და სუსპენზიები. ასეთი სითხეების დენადობა განპირობებულია მათი რეოლოგიური თვისებებით და შეწონილ (ან არაშეწონილ) მდგომარეობაში მყოფი მოლეკულებით.

თანამედროვე ცხოვრებაში ძალიან ფართოდ არის გავრცელებული ემულსიების და სუსპენზიების გამოყენება. ფარმაციაში, კვებით მრეწველობაში, სამშენებლო ინდუსტრიაში, მანქანათმშენებლობაში, მეტალურგიასა და მრავალ სხვა დარგში ფართოდ გამოიყენება და/ან ფორმირდება სუსპენზიების და ემულსიების მსგავსი მასები. ქიმიური მრეწველობა, კერძოდ კოსმეტიკური, აგრეთვე სისუფთავის დამცავი საშუალებების წარმოება შეუძლებელია ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების გამოყენების გარეშე. ერთ-ერთი ძალიან გავრცელებული ქიმიური ნაერთია TWIN 80, რომელიც ფართოდ გამოიყენება საცხების, მალამოების, ჟელეების, სხვა კოსმეტიკური, ფარმაცევტული, ჰიგიენური პრეპარატების რბილი ფორმების დასამზადებლად. TWIN 80-ს გააჩნია განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც თავს იჩენს გარკვეულ პირობებში. ფაზათაშორისო შრის აგებულება განისაზღვრება ზედაპირულად აქტიური ცილოვანი კომპლექსების TWIN 80-თან ადსორბციით [6]. ცილებით სტაბილიზებული კონცენტრირებული ემულსიების ქცევითი რეოლოგიური მახასიათებლები, შესაძლოა განსხვავებული იყოს [3].

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა კონცენტრირებული ემულსიების რეოლოგიური მახასიათებლები იმ სისტემაში, სადაც სტაბილიზაცია მოხდა ხარის ალბუმინით ორ განსხვავებულ შემთხვევაში: 1) როცა სისტემაში იყო TWIN 80 და 2) როცა სისტემაში TWIN 80 არ არსებობდა.

ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა, თუ რამდენად გააჩნდა TWIN 80-ს რაიმე კონკრეტული ზეგავლენა ემულსიების ქცევით კომპონენტზე, და ამის შედეგად განგვესაზღვრა TWIN 80-ის ზეგავლენა რეოლოგიურ მახასიათებლებზე.

მასალა და მეთოდები

ნატრიუმის აზიდის დამატებით შექმნილი იყო ნაერთი, რომლის pH-ს მნიშვნელობა მერყეობდა 6.5-7.3 დიაპაზონში. ტოლუოლის და წყლის

ფაზის ემულსია (1:1) მივიღეთ ცენტრიფუგირებით. ცენტრიფუგირების დრო შეადგენდა 10 წუთს (8000 ბრ/წ), გარემოს ტემპერატურა მერყეობდა 22°C-დან 25°C-მდე. სედიმენტაციის შედეგად, რომელიც გრძელდებოდა 24 საათი, ჩვენ მიერ მიღებული იყო ემულსიები სხვადასხვა დისპერსული ფაზებით. მიღებული ემულსიები ავლენდა კოალესცინციურ მდგრადობას. ემულსიების დისპერსულობას ვსაზღვრავდით მიკრო-ფოტოგადაღებით თანმიმდევრულად, 7 დღის განმავლობაში.

ჩვენ ვიყენებდით ე.წ. დეფორმაციის სიმძლავრის შეფასების მეთოდს, ანუ ემულსიების რეოლოგიური პარამეტრები იზომებოდა ნიმუშებში დეფორმაციის სიმძლავრესთან კავშირში. ნიმუშებს წარმოადგენდა ორი განსხვავებული ჯგუფი (mask), პირველი მათგანი წარმოადგენდა ტოლუოლის და წყლის ნაზავს, რომელიც ხარის ალბუმინით და TWIN 80-ით იყო დასტაბილიზებული, ხოლო მეორე კი – TWIN 80-ის გამოყენების გარეშე. ამისთვის ვიყენებდით საზომ უჯრედს დიამეტრით 60 მმ, კონუსის კუთხით 20, კონუს-სიბრტყისშორისი მანძილი იყო 0.1 მმ. ნიმუშები დეფორმირდებოდა სხვადასხვა წანაცვლების სიჩქარეზე.

შედეგები და მათი განხილვა

კვლევის შედეგად მოგვეცა საშუალება გვემსჯელა, თუ როგორი რეოლოგიური თვისებებით და ქცევის რა კომპონენტებით ხასიათდება ტოლუოლ-წყლის ემულსიები, სტაბილიზებული ხარის ალბუმინით (TWIN 80-ის თანხლებით და მისი თანხლების გარეშე). აღმოჩნდა, რომ ტოლუოლ-წყლის ემულსიების (სტაბილიზებული ხარის ალბუმინით TWIN 80-ის გარეშე) ქცევის კომპონენტები წააგავდა არანიუტონური სითხის ქცევით კომპონენტებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დაბალი დაჭიმულობების დროს აღინიშნებოდა სიბლანტის გამოხატული პიკი. მაღალი დაძაბულობის დროს ეფექტური სიბლანტე მცირდებოდა და რაც უფრო მაღალი იყო დაძაბულობა, მით უფრო მკაფიოდ ჩანდა ნიუტონური სიბლანტის ვარდნა. კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ ექსპერიმენტში მაღალკონცენტრირებული ემულსიების პროფილები რეოლოგიური პროცესების აღწერილობას ემთხვეოდა. საშუალო და მაღალკონცენტრირებული ემულსიები სტაბილიზებული ცილებით, კონკრეტულად ხარის ალბუმინით, როგორც TWIN 80-ის თანხლებით და აგრეთვე მის გარეშე, ატარებენ განსაკუთრებულ რეოლოგიურ პროფილს.

ექსპერიმენტი წარმოადგენდა სისტემური ობსერვაციული კვლევის (შვიდდღიანი დაკვირვება) და მოდელირების კომპლექსს. შვიდდღიანი დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ საკვლევ სისტემაში TWIN 80-ის არსებობისას არანიუტონური ინტერვალი (რეგიონი) წარმოიქმნებოდა მცირე დაჭიმულობების წანაცვლებისას, დაბალი დაჭიმულობის ინტერვალში (რეგიონი) კი აღინიშნება უფრო დაბალი ნიუტონური სიბლანტე. ამავ-

დროულად, არანიუტონურ ინტერვალში (რეგიონში) სიბლანტე მცირდებოდა. ყოველივე ეს უფრო და უფრო მკაფიოდ ვლინდებოდა სისტემაში TWIN 80-ის არსებობისას.

სისტემის მთავარი ობიექტის მთავარი მახასიათებელი – დენადობა – ჩვენ მიერ იყო წარმოდგენილი დისკრეტული მონაცემების სიგმირებით. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ საკვლევი ნაერთის დენადობა ზოგიერთ კონკრეტულ ფაზაში ნიუტონური სითხეებისთვის დამახასიათებელ ქცევით აქტიობებს წააგავდა, ამ მონაკვეთებში დენადობის ფუნქციური მდგომარეობა სრულიად აკმაყოფილებდა ნიუტონური სითხეების აღმწერ კანონებს [2].

დენადობის შესწავლა და დეტალიზება მოხერხდა მოძრაობის მრუდების აგებით და მათი ანალიზით. მოძრაობის მრუდების, ანუ დენადობის განმსაზღვრავი მოდულური და ვექტორული მახასიათებლების ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ზოგიერთ ინტერვალს არ გააჩნდა ექსტრიმები. ექსტრიმი კი სხვა არაფერია, თუ არა ზღვრული მნიშვნელობა. ეფექტური სიბლანტის ცვალებადობა არ ატარებდა იმპულსურ ხასიათს – არ ფიქსირდებოდა ხშირი და გამოხატული ნახტომები. ყურადსაღებია ის განსაკუთრებული რეგიონები, სადაც მოძრაობის აღმწერი მრუდი უფრო არანიუტონური სითხის მრუდს წააგავს, ვიდრე ნიუტონური სითხისას, თუმცა სითხე ამ მონაკვეთში ხასიათდება გაორმაგებული მახასიათებლებით და რეალურად წარმოადგენს დუალურ კრებსითი თვისებების მქონე ობიექტს. ასეთ შემთხვევაში სითხის დენადობა შესაძლოა განისაზღვროს ბალკლი-გერშელის განტოლებებით (ბლანტ-პლასტიკური მასალისთვის) და/ან კესონის განტოლებებით (ფლოკულირებადი დისპერსიებისთვის) [1].

ბალკლი-გერშელის განტოლებების გამოყენებით ექსპერიმენტული და გამოთვლადი მოდელების კორელაციები უფრო მეტ დამაჯერებლობას იძლეოდა, ვიდრე კესონის მოდელი.

ემულსიების ფართო გამოყენება განპირობებულია მათი რეოლოგიური ქცევით. ემულსიების მახასიათებლები დამოკიდებულია არა მხოლოდ მათი თხევადი შემადგენლობის ქცევით უნარებზე და მათ რეოლოგიაზე, არამედ უშუალოდ ემულსიების შემადგენლობაში მყოფი მყარი ნაწილაკების თვისებებზე და მათ ურთიერთქმედების მექანიზმზე.

ექსპერიმენტში გამოყენებული ტოლუოლის, ხარის ალბუმინის და TWIN 80-ის მიერ გამოხატული რეაქციების ანალიზით აღმოჩნდა, რომ მყარი ნაწილაკების ძალა და ურთიერთქმედების წარმოშობა დამოკიდებულია კონცენტრაციებზე. ექსპერიმენტულად დამტკიცდა, რომ ხარის ალბუმინით სტაბილიზებული მაღალკონცენტრირებული ემულსიის რეოლოგიური ქცევა მყისიერად დამოკიდებულია ცილის და ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების მო-

ლეკულებზე, მათ ურთიერთობაზე. აშკარა იყო სუსპენზიის მთლიან სივრცეში არსებული ნაწილაკოვანი დამოკიდებულების ზეგავლენა ემულსიის დენადობაზე, თუმცა, კიდევ უფრო აშკარა იყო ცილის და ზედაპირულად აქტიური ნივთიერების მოლეკულების ურთიერთქმედება ფაზათაშორისო შრეში. ყოველივე ეს კი აყალიბებს ცვლად ზედაპირულ აქტიურ კომპლექსებს.

ლიტერატურა

1. *Борзенко Е.И., Хегай Е.И.* Вестн. Томск. гос. ун-та. Матем. и мех., 2016, 1(39), 68-81. doi: https://doi.org/10.17223/19988621/39/8.
2. *Деркач С.Р., Левачев С.М., Кукушкина А.Н., Новоселова Н.В., Харлов А.Е., Матвеенко В.Н.* Коллоидный журнал, 2007, 69, 152-158.
3. *Derkach S.R.* Adv. Colloid. Interface Sci., 2009, 151(1-2), 1-23. doi: 10.1016/j.cis.2009.07.001. Epub 2009 Jul 10. PMID: 19683219.
4. *Girardo S., Cingolani R., Pisignano D.* Anal. Chem., 2007, 79(15), 5856-61. doi: 10.1021/ac062405t. Epub 2007 Jun 28. PMID: 17602569.
5. *Hatwalne Y., Ramaswamy S., Rao M., Simha R.A.* Phys. Rev. Lett., 2004, Mar 19, 92(11), 118101. doi: 10.1103/PhysRevLett.92.118101. Epub 2004 Mar 19. PMID: 15089176.
6. *Mantskava M., Momtselidze N., Mitagvaria N., Davlianidze L., Devdariani M., Nebieridze M., Gumberidze L., Kvachakidze I., Sikharulidze N., Jarinova V.* Series on Biomechanics, 2018, 32(2), 28-32. http://jsb.imbm.bas.bg/page/en/details.php#article_id=280.
7. *Zhao C, Yang C.* Adv. Colloid. Interface Sci., 2013, Dec; 94-108, 201-202, doi: 10.1016/j.cis.2013.09.001. Epub 2013 Sep 23. PMID: 24148843.

ВЛИЯНИЕ TWIN 80 НА НЕКОТОРЫЕ РЕОЛОГИЧЕСКИЕ СВОЙСТВА ЭМУЛЬСИЙ

Мака Манцкава, Нана Момцелидзе, Георгий Кучава

Центр экспериментальной биомедицины им. Ивана Бериташвили, Отдел реологии и диагностико-аналитических услуг, Тбилиси, Грузия

РЕЗЮМЕ

В статье рассматриваются некоторые особенности ньютоновской и неньютоновской жидкостей. Акцент был сделан на описание реологических характеристик т.н. промежуточных жидкостей. Наш интерес состоял в исследовании реологического изменения жидкости под влиянием TWIN 80. Проанализировав реакции под воздействием TWIN 80, который был использован в эксперименте, показано, что сила твердых частиц и происхождение взаимодействия зависят от концентраций. Экспериментально было доказано, что реологическое поведение высококонцентрированных эмульсий, стабилизированных бычьим альбумином, зависит от взаимосвязи между молекулами белка и поверхностно-активного вещества. Нами было определено влияние пространственного взаимодействия частиц на поток эмульсии, а также взаимодействие белка и молекул поверхностно-активного вещества в межслоевом слое. Оказалось, что взаимосвязь частиц суспензии формирует рео-

логические свойства и определяет ее текучесть. Наши исследования выявили преимущества поверхностно-активных веществ в улучшении реологических свойств эмульсий.

EFFECT OF TWIN 80 ON SOME RHEOLOGICAL PROPERTIES OF EMULSIONS

Maka Mantskava, Nana Momtselidze, Georgy Kuchava

Ivane Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Department of Rheology and Diagnostic and Analytical Services, Tbilisi, Georgia

SUMMARY

The article discusses some of the features of Newtonian and non-Newtonian fluids. The emphasis was placed on the study of the rheological characteristics of the so-called intermediate fluids. Our interest was in the study of the rheological change in the fluid under the influence of TWIN 80. After analyzing the reactions under the influence of TWIN 80, it turned out that the strength of solid particles and their interactions depended on the concentrations. It has been experimentally proven that the rheological behavior of highly concentrated emulsions stabilized with bovine albumin depends on the relationship between protein and surfactant molecules. We have studied the effect of the spatial interaction of particles on the emulsion flow, as well as the interaction of protein and TWIN 80 molecules in the interlayer layer. It turns out that the interconnection of the suspension particles forms the rheological properties and determines its fluidity. Our research has revealed the advantages of surfactants in improving the rheological properties of emulsions.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

SLEEP RESEARCH ACHIEVEMENTS IN GEORGIA – EARLY PERIODS OF SLEEP STUDIES

Nargiz Nachkebia

Iv. Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Laboratory of Neurobiology of Sleep-Wakefulness Cycle, Tbilisi, Georgia

The paper represents rethinking and overview of some early significant scientific facts obtained during different periods of sleep research in Georgia. The first period was related to the name of Professor Ivane Beritashvili. On the basis of analysis of some facts, obtained by electrolytic lesion, in 1939 Beritashvili assumed that electrical activity of the cerebral cortex during sleep is regulated at the level of hypothalamus. Conclusion was made by Beritashvili in the period when sleep was strongly considered as a passive process, while his conclusion directly indicated the active nature of sleep.

visual world, though at this stage color vision characterizing parameters remain unchanged rather a long time. The reason for this is the CCM activity which subserves compensation and correction of changes within extensive ranges. At this stage the system is generating basic compensatory shifts and fixation of changes occurs.

Table 1

Characteristics of MCE elaboration process

Age groups	Mean number of presentations	Duration of aftereffect (mean)	Saturation of phantom colors on a scale from 0 to 10 (mean)
20-40	22	8 days	5.6
Above 60	25	6 days	4.9

After surgery, when an artificial lens is implanted, the system needs to be recalibrated for correction of input changed spectral characteristics. With the monitoring purpose this process, the color vision testing prior to and after surgery has shown that in post operation period, within 3 to 6 months period full compensation of changes occurs. This fact indicates that the compensatory mechanisms' activity does not lose its efficiency in relation to age. The fact, that it takes about 6 months to fully compensate for changes, indicates that compensation mechanisms take time to recalibrate the color system, and the activity of the mechanisms of constancy does not change with age.



Fig. 2. 4 examples of results of F-M 15 test before (top row) and after surgery (bottom row). M – male, F- female. Then – age and month after surgery.

Thus, the data obtained in the two series of our experiments clearly indicate that the central mechanisms of the visual system remain active in old age as well and the vision system's compensatory mechanisms are not likely to undergo age-related changes.

REFERENCES

1. *Кезели А., Джанелидзе Д., Лебанидзе Т., Кезели Т.* Сенсорные системы, 2001, 15, 1, 36-43 (in Russian).

2. *Чичуа Г., Чичуа А., Пирцхалаишвили М., Толмачева М., Паркосадзе Х., Кезели А.* Офтальмология, 2006, 3, 1, 61-63 (in Russian).
3. *Foster D.H.* Vision Research, 2011, 51 (7), 674-700.
4. *Intskirveli I., Kezeli A., Malania M., Roinishvili M., Janelidze D.* Proceedings of the Georgian Academy of Sciences, Biological Series, 2002, 28, 1-2, 65-71.
5. *McCollough C.* Science, 1965, 149, 1115-1116.
6. *Parkosadze K., Kalmakhelidze T., Tolmacheva M., Chichua G., Kezeli A., Webster M.A., Werner J.S.* Vision Research, 2013, 89, 10-17.
7. *Shinomori K., Werner J.S.* Proceedings of the National Academy of Sciences of USA, 2012, 109, 13422-13427.
8. *Werner J.S.* Journal of the Optical Society of America A: Optics, Image Science and Vision, 2016, 33, A104-122.
9. *Zeki S.* A vision of the brain. Oxford: Blackwell Science Ltd., 1993.

მხედველობის სისტემის საკომპენსაციო მექანიზმების ასაკობრივი ასპექტები

ხათუნა რუსაძე, დავით ჯანელიძე**, მანანა ხომერიკი**, ნათელა ლომაშვილი**, რენიკო საკანდელიძე*, არჩილ კეზელი***

* ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი. ქუთაისი, საქართველო; ** ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, მხედველობის ფიზიოლოგიის ლაბორატორია, თბილისი საქართველო

რეზიუმე

მხედველობის სისტემის ძირითადი ამოცანაა სისტემის შესავალზე მოხვედრილი სინათლის ნაკადის ცვლადი პარამეტრების ანალიზის საფუძველზე შექმნას როგორც მთლიანად გარემომცველი სამყაროს, ისე მისი ცალკეული ობიექტების მხედველობითი ხატი. ობიექტის საიდენტიფიკაციო, ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს მისი ფერი. ჩვენი კვლევის მიზანი იყო გაგვერკვია, იცვლება თუ არა ასაკთან ერთად ფერთა კონსტანტური აღქმის (ფკა) ეფექტურობა. ამ მიზნით ჩავატარეთ ექსპერიმენტების ორი სერია. პირველში გამოვიყენეთ ჩვენ მიერ ადრე ნაჩვენები ფაქტი, რომ ფკა-ის მექანიზმები მონაწილეობს მაკ-კოლაფის ეფექტის გამომუშავებაში. მეორე სერიაში შევისწავლეთ ფერადი მხედველობის მახასიათებლები კატარაქტის მქონე ასაკოვან პაციენტებში ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ.

აღმოჩნდა, რომ კატარაქტის ოპერაციის დროს ხელოვნური ბროლის იმპლანტაციის შემდეგ ხდება მხედველობის სისტემის რეკალიბრაცია, რათა მოხდეს შესავლის შეცვლილი სპექტრული მახასიათებლების კორექცია. პოსტოპერაციული 3-6 თვიანი პერიოდის განმავლობაში ხდება ცვლილებათა სრული კომპენსაცია. ჩვენმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ასაკთან ერთად საკომპენსაციო მექანიზმების აქტიობა ეფექტურობას არ კარგავს.

322

ВОЗРАСТНЫЕ АСПЕКТЫ КОМПЕНСАЦИОННЫХ МЕХАНИЗМОВ ЗРИТЕЛЬНОЙ СИСТЕМЫ

Хатуна Русадзе*, Давид Джанелидзе**, Манана Хомерики**, Натела Ломашвили**, Ренико Саканделидзе*, Арчил Кезели**

* Государственный университет им. А. Церетели, департамент биологии, факультет точных и естественных наук, Кутаиси, Грузия; ** Центр экспериментальной биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси, Грузия

РЕЗЮМЕ

Основной задачей зрительной системы является создание образа как окружающей среды в целом, так и ее одиночных объектов, на основе анализа параметров светового потока попадающего на вход системы. Одной из основных характеристик, пригодных для идентификации объекта, является его цвет. В наших исследованиях мы старались выяснить, меняется ли эффективность механизмов константности цветовосприятия (КЦ) с возрастом. С этой целью были проведены две серии экспериментов. В первой использовали ранее показнный нами факт, что в выработке эффекта Мак-Коллаф участвуют механизмы КЦ. Во второй серии исследований мы изучали характеристики цветового зрения у пациентов с катарактой до и после операции.

Выяснилось, что после имплантации исскуственного хрусталика происходит рекалибрация зрительной системы, обеспечивающая коррекцию изменившихся спектральных характеристик на входе.

В течение 3-6-месячного постоперационного периода имеет место полная компенсация изменений. Наши эксперименты показали, что с возрастом активность компенсационных механизмов не теряет эффективности.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

გარე სტატიკური მაგნიტური ველის გავლენა რკინის ნანონაწილაკებთან დაკავშირებული ქვერცეტინის ეფექტებზე ლაბორატორიული ვირთაგვების ჰიპოკამპში

მარიამ ქურასბედიანი, გია ქუთელია, მანანა ჩიქოვანი, ბუციკო ჩხარტიშვილი, როზა ბუკია, ბესარიონ ფარცვანია, ნანული დორეული

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მედიცინაში გამოყენებულ ბუნებრივ ნაერთებს შორის ქვერცეტინს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ტვინზე მისი მოქმედება წყალში ცუდი ხსნადობისა და ცუდი ბიოშეღწევადობის გამო შეზღუდულია. ნანოტექნოლოგიაზე დაფუძნებულ წამალთა მიწოდების სისტემები წარმოადგენს ახალ მიდგომას ნივთიერებათა ბიოშეღწევადობის გაზრდის მიზნით. მაგნიტური ნანონაწილაკები (მნნ) ფართოდ გამოიყენება, როგორც წამალთა ნანოგადამტანები, მათი ტრანსპორტი კი ორგანიზმში შესაძლოა მაგნიტური ველით იყოს მართული.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სისტემურად შეყვანილი მნნ-დაკავშირებული ქვერცეტინის (ქ-მნნ) ელექტროფიზიოლოგიური ეფექტების განსაზღვრა ჰიპოკამპის CA1 ველში და აღნიშნულ ეფექტებზე გარე სტატიკური მაგნიტური ველის (გსმვ) ექსპოზიციის გავლენის შეფასება.

კვლევის ობიექტებად გამოყენებული იყო ველური ხაზის თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვები. კეტამინით ანესთეზირებული ვირთაგვების ჰიპოკამპის CA1 ველში სტერეოტაქსულად ინერგებოდა მეტალის ელექტროდები (კოორდინატები: AP – 3.8, L – 2.8, H – 2.8 მმ) [12]. ნეირონული აქტიობის სტაბილიზაციის შემდეგ აღირიცხებოდა 60 წთ-იანი ფონური აქტიობა 10 წთ-იანი ინტერვალებით. შემდეგ, ცდის სერიიდან გამომდინარე, ვახდენდით კუდის ვენაში ფიზიოლოგიური ხსნარის ან ქ-მნნ-ის ინიექციას (ქვერცეტინი – 25 მგ/კგ. ერთ მოლეკულა რკინის ნანონაწილაკზე გათვლილი იყო ქვერცეტინის 100 მოლეკულა). ნივთიერებათა ინიექცია ხორციელდებოდა უნილატერალურად გსმვ-ის (1 თესლა) ტემპორალური წილის პროექციაზე 30 წთ-იანი ექსპოზიციის შემდეგ, რომლის წარდგენა გრძელდებოდა ინიექციის დასრულებიდან კიდევ 30 წთ-ის განმავლობაში. ცდებში გამოვიყენეთ 30 ნმ-ის დიამეტრის მქონე მნნ (Sigma, N747408) და ქვერცეტინი (Sigma, Q4951). გსმვ-ის გავლენით ტვინის სტრუქტურებში მნნ-ის გადაადგილების შესაფასებლად ჩატარდა მორფოლოგიური ექსპერიმენტები. ელექტროფიზიო-

ლოგიური მონაცემების რეგისტრაცია/ანალიზისთვის გამოვიყენეთ კომპიუტერული პროგრამა Chart 5.5. მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა პროგრამით PRIZMA.

ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ძ-მნნ-ის ეფექტები ჰიპოკამპის CA1 ველში შემაკავებელია: იწვევს ნეირონული აქტიობის ამპლიტუდის შემცირებას ბსმპ-ის ექსპოზიციისას, ბსმპ-ის გარეშე კი ძ-მნნ-ის იგივე დოზა არაეფექტურია. მორფოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობა მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს სტატისტიკურად სარწმუნოდაა გაზრდილი კონტრალატერალურ მხარესთან შედარებით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბსმპ იწვევს ძ-მნნ-ის ეფექტურ გადაადგილებას მაგნიტური ველის ექსპოზიციის ლოკუსისკენ, ზრდის ქვერცეტინის კონცენტრაციას ექსპოზიციის ლოკუსში და იწვევს ნეირონული აქტიობის შეკავებას.

საკვანძო სიტყვები: ქვერცეტინი, ნანონაწილაკი, მაგნიტური ველი, ჰიპოკამპი

მედიცინაში გამოყენებულ ბუნებრივ ნაერთებს შორის, რომელებიც სხვადასხვა ტიპის ნევროლოგიური დარღვევების მკურნალობას რეაქტიული უანგბადისა და ანთებითი პროცესების მოდულაციის გზით ახდენს, ქვერცეტინს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია [5]. ქვერცეტინი ხილსა და ბოსტნეულში ყველაზე უხვად წარმოდგენილი ფლავონოიდია. კარგადაა ცნობილი მისი ფარმაკოლოგიური აქტიობის ფართო სპექტრი ანტიიშემიურ, ანტიოქსიდანტურ და ნეიროპროტექტორულ მოქმედებასთან ერთად [6]. ქვერცეტინი ავლენს ანტიაპოფტოზურ თვისებებს სხვადასხვა ნევროლოგიური დარღვევების მკურნალობისას [2, 4, 6, 7, 14]. მიუხედავად მრავალი ბიოლოგიური ეფექტისა, ქვერცეტინის მოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე შეზღუდულია მისი წყალში ცუდი ხსნადობისა და ცუდი ბიოშეღწევადობის გამო [1, 3, 11]. ქვერცეტინი ცუდად გადის ჰემატოენცეფალურ ბარიერს, ამიტომ შემუშავებულია გარკვეული სტრატეგია ამ პრობლემის დასაძლევად და ქვერცეტინის თავის ტვინზე ზემოქმედების ეფექტურობის გასაზრდელად [1, 8]. ნანოტექნოლოგიაზე დაფუძნებული ნივთიერებათა მიწოდების სისტემები წარმოადგენს ახალ ეფექტურ და იმედისმომცემ მიდგომას ნივთიერებათა ბიოშეღწევადობის გაზრდის მიზნით. უფრო მეტიც, ნანოტექნოლოგიამ შესაძლებელი გახადა მოხდეს ნივთიერებათა მიმართული გადაადგილება და შენელებული გამოთავისუფლება შესაბამის ქსოვილებში. ნაჩვენებია, რომ ქვერცეტინის ნანოკაფსულირებული ფორმა მნიშვნელოვნად ამცირებს ცერებრალური იშემიით გამოწვეულ ოქსიდაციურ სტრესს მოდელურ ცხოველებში და ხელს უწყობს ნეირონთა გადარჩენას ჰიპოკამპურ ფორმაციაში [8]. ასევე ნაჩვენებია, რომ ქვერცეტინ-დაკავშირებული მუკოადჰეზიური ნანოემულსიის ინტრანაზალური მიწოდება ზრდის ქვერცეტინის ბიოშეღწევადობას და აადვილებს მის ჰემატოენცეფალურ ბარიერში განვლადობას [1]. ნანონაწილაკები ზოგადად განიხილება, როგორც არატოქსიკური, ბიოდეგრადირებადი და არაიმუნოგენური აგენტები [9]. ნანონაწილაკებს შორის მაგნიტური ნანონაწილაკები (მნნ) ფართოდ გამოიყენება, როგორც წამალთა ნანოგადამ-

ტანები კონტრასტული მაგნიტურ-რეზონანსული იმიჯინგისთვის და ლოკალური ჰიპერთერმიის მისაღებად. ამასთანავე, მაგნიტური ნანონაწილაკის ტრანსპორტი ორგანიზმში შესაძლოა მართული იყოს მაგნიტური ველის ექსპოზიციით [10, 15].

კვლევის მიზანს წარმოადგენდა გარე სტატიკური მაგნიტური ველის (ბსმვ) გავლენის შეფასება მაგნიტურ ნანონაწილაკებთან დაკავშირებული ქვერცეტინის (ქ-მნნ) ეფექტებზე ლაბორატორიული ვირთაგვების ჰიპოკამპში.

მასალა და მეთოდები

კვლევის ობიექტებად გამოყენებული იყო ველური ხაზის თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვები (ორივე სქესის, წონით 180-200 გ). In vivo ელექტროფიზიოლოგიური ექსპერიმენტები განხორციელდა ვირთაგვების 2 ჯგუფზე: 1. საკონტროლო ვირთაგვები, რომელთა კუდის ვენაში შეგვყავდა ფიზიოლოგიური ხსნარი და 2. ვირთაგვები ქ-მნნ-ის ინიექციით. ცდების სხვადასხვა სერიებში სულ შევისწავლეთ 18 ცხოველი. კეტამინით ანესთეზირებული ვირთაგვების მარჯვენა/მარცხენა ჰიპოკამპის CA1 ველში სტერეოტაქსულად ინერგებოდა მეტალის (კონსტანტანი) ტრიპოლარული ელექტროდები შემდეგი კოორდინატების მიხედვით: AP – 3.8, L – 2.8, H – 2.8 მმ [12]. ნეირონული აქტიობის სტაბილიზაციის შემდეგ, ჰიპოკამპის CA1 ველიდან ხდებოდა 60 წთ-იანი ფონური აქტიობის ჩაწერა 10 წთ-იანი ინტერვალებით. შემდეგ, ცდის სერიიდან გამომდინარე, ვახდენდით კუდის ვენაში ფიზიოლოგიური ხსნარის ან ქ-მნნ-ის ინიექციას. ქვერცეტინის საექსპოზიციო დოზად შეირჩა 25 მგ/კგ. ცხოველის წონის შესაბამისად, განისაზღვრა სააპლიკაციო ქვერცეტინის მოლეკულათა რაოდენობა. მრავალჯერადი ტესტირებით შეირჩა საინექციო ხსნარის სასურველი პროპორცია: ვირთაგვების წონიდან გამომდინარე (დაახლოებით 180 გ), საინიექციო ხსნარი შეიცავდა 54 მკლ ქვერცეტინს საბაზისო ხსნარიდან (300 მკლ DMSO-ში გახსნილი 25 მგრ ქვერცეტინი), 34 მკლ რკინის ნანონაწილაკიან ხსნარს (1 მგ/1მლ) და სრული გახსნისთვის ვამატებდით 45 მკლ DMSO-ს. რკინის ნანონაწილაკისა და ქვერცეტინის დაკავშირების შეფასება განხორციელდა არაპირდაპირი მიდგომით, კერძოდ, მორფოლოგიურ და ელექტროფიზიოლოგიურ ექსპერიმენტებში მათ ეფექტებზე დაკვირვებით დამატებით განხორციელდა DMSO-ში გახსნილი ქვერცეტინის, წყალში გახსნილი რკინის ნანონაწილაკებისა და ქვერცეტინ-დაკავშირებული-მნნ ხსნარების სპექტრული ანალიზი. მიღებული მონაცემები ქვერცეტინის მაგნიტურ-ნანონაწილაკებთან დაკავშირებაზე მიუთითებს.

კუდის ვენაში ნივთიერებათა ინიექცია ხორციელდებოდა ბსმვ-ის (1 თესლა) ტემპორალური წილის პროექციაზე უნილატერალურად 30 წთ-იანი ექსპოზიციის შემდეგ, რომლის წარდგენა გრძელდებოდა ინიექციის დასრულებიდან კიდევ 30 წთ-ის განმავლობაში.

ცდებში გამოვიყენეთ რკინაშემცველი 30 ნმ დიამეტრის მქონე მაგნიტური ნანონაწილაკი (Sigma, N747408 Fe(II, III) ოქსიდის წყალხსნარი) და ქვერცეტინი (Sigma, Q4951).

სისტემურად შეყვანილი მნნ-ის ბსმჭ-ის გავლენით ტვინის სტრუქტურებში გადაადგილების შესაფასებლად ჩატარდა მორფოლოგიური ექსპერიმენტები. ცხოველების დეკაპიტაცია ხდებოდა ნანონაწილაკის შეყვანიდან 1-1.5 სთ-ის შემდეგ. შედარდა რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობა ტვინის სტრუქტურებში მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარესა და კონტრალატერალურ ინტაქტურ მხარეს შორის. თავის ქალადან ამოღებული ტვინის ფიქსაციას ვახდენდით ბუენის საფიქსაციო სითხეში (შემადგენლობა: პიკრინის მჟავა, ფორმალინი, ყინულოვანი ძმარმჟავა 3:1:0.2). ფიქსაციის შემდეგ ხდებოდა მასალის ჰისტოლოგიური დამუშავება შემდეგი ეტაპების გავლით: გადატანა აღმავალი სიმაგრის სპირტებში (70°-96°), გაუწყლოვნება (სპირტ-ქლოროფორმი, სუფთა ქლოროფორმი, გატარება ქლოროფორმ-პარაფინის ფაფებში (42° და 56° თერმოსტატში) და ჩაყალიბება პარაფინ-ცვილის ნარევში, ჩაყალიბებული ბლოკებიდან მიკროტომზე 7-10 მიკრონიანი ანათლების მომზადება.

მინერალური რკინის შემცველობის დადგენის მიზნით ანათლების შეღებვა ხდებოდა პერლსის მეთოდით „პრუსიული ლურჯი“ (შემადგენლობა: 2%-იანი კალიუმის ფეროციანიდი და 2%-იანი HCL-ის ნარევი); დამატებით ანათლების შეღებვას ვახდენდით ნეიტრალურ წითელში უჯრედული სტრუქტურების გამოსავლენად. პერლსის მეთოდის და შეღებვისთვის საჭირო ქიმიური ნაერთების რეაქციის ხარისხის შემოწმების მიზნით, პარალელურად ვახდენდით ელენთის პარაფინიანი ანათლების მომზადება/შეღებვას (დადებითი კონტროლი) და საკონტროლო ვირთაგვების ტვინის ანათლების შეღებვას. პერლსის მეთოდით შეღებილ ანათლებში რკინის შემცველობის ვიზუალიზაცია და რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობრივი მაჩვენებლების დადგენა ხდებოდა ცხოველების ორ ჯგუფში: 1. მარჯვენა მხარეს მაგნიტური ველის ექსპოზიციით, და 2. მარცხენა მხარეს მაგნიტური ველის ექსპოზიციით.

რკინაშემცველი ჩანართების დათვლას ვაწარმოებდით თავის ტვინის ოთხ მიდამოში: ჰიპოკამპის CA1, CA3 ველებში, დაკბილულ ფასციაში (გარე და შიდა შრეებში და ჰილუსში) და ასევე დიდი ტვინის ქერქში. მაგნიტური ველის გავლენის შეფასების მიზნით, მიღებულ მონაცემებს ორივე ჯგუფის ცხოველებში ვადარებდით იმავე ანათალზე კონტრალატერალური ინტაქტური მხარის ჰიპოკამპის სტრუქტურებსა და ქერქში რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობას.

ელექტროფიზიოლოგიური მონაცემების რეგისტრაციისა და მათი ანალიზისთვის გამოვიყენეთ კომპიუტერული პროგრამა Chart 5.5. მიღებული მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა პროგრამა PRIZMA-ს მეშვეობით.

შედეგები და მათი განხილვა

ელექტროფიზიოლოგიურ ექსპერიმენტებში შევისწავლეთ ძ-მნნ-ის სისტემური ინიექციის გავლენა ჰიპოკამპის CA1 ველის სუმარულ ნეირონულ აქტიობაზე როგორც ბსმვ-ის ექსპოზიციის პირობებში, ისე ექსპოზიციის გარეშე. მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ სისტემურად შეყვანილი ძ-მნნ არ იწვევს ფონური ნეირონული აქტიობის ამპლიტუდური მაჩვენებლის სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებებს მაგნიტური ველის ექსპოზიციის გარეშე როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარის ჰიპოკამპში. სამაგიეროდ, სტატისტიკურად სარწმუნოდ ამცირებდა ამპლიტუდურ მაჩვენებელს, როცა მისი შეყვანა ხდებოდა ბსმვ-ის ექსპოზიციის ფონზე.



სურ. 1. მაგნიტური ველის გავლენა ძ-მნნ-ით გამოწვეულ ეფექტებზე მარჯვენა ჰიპოკამპის CA1 ველის ნეირონული აქტიობის ამპლიტუდურ მაჩვენებლებზე. მოცემულია ჰისტოგრამები, რომელიც გამოხატავს ნეირონული აქტიობის ამპლიტუდის საშუალო მნიშვნელობებს + საშუალო სტანდარტული გადახრები ფონში (პირველი ჰისტოგრამა), მაგნიტური ველის ზემოქმედების ფონზე (მეორე ჰისტოგრამა) და მაგნიტური ველის ზემოქმედების გარეშე (მესამე ჰისტოგრამა)

სურათიდან ჩანს, რომ საკონტროლო ცხოველებში ბსმვ-ის ექსპოზიციის ფონზე კუდის ვენაში ძ-მნნ-ის შეყვანა მარჯვენა ჰიპოკამპის CA1 ველში იწვევს სუმარული ნეირონული აქტიობის ამპლიტუდის სტატისტიკურად სარწმუნო შემცირებას – ***$p < 0.0001$ (ფონში საშუალო ამპლიტუდური მნიშვნელობა 12.6-მვ-დან ($n = 18$) შემცირდა 7.6 მვ-მდე, ანუ 40%-ით ($n = 14$), ხოლო ბსმვ-ის ექსპოზიციის გარეშე ძ-მნნ არ ცვლის ფონურ აქტიობას (აპლიკაციამდე მნიშვნელობა – 12.6 მვ ($n = 18$), აპლიკაციის შემდეგ კი – 15.8 მვ ($n = 4$).

საკონტროლო ცხოველებში ბსმვ-ის ექსპოზიციის ფონზე კუდის ვენაში ძ-მნნ-ის შეყვანა მარცხენა ჰიპოკამპის CA1 ველში იწვევს სუმარული ნეირონული აქტიობის ამპლიტუდის სტატისტიკურად სარწმუნო შემცირებას (ფონში საშუალო ამპლიტუდური მნიშვნელობა 3.7 მვ-დან (n = 18) შემცირდა 2.6 მვ-მდე, ანუ 30%-ით, n = 4)), ხოლო ბსმვ-ის ექსპოზიციის გარეშე ძ-მნნ არ იწვევს ფონური აქტიობის სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებას (აპლიკაციამდე მნიშვნელობა – 3.7 მვ (n = 18), აპლიკაციის შემდეგ კი – 2.9 მვ (n = 14)). ჰისტოგრამები გამოხატავს ველის პოტენციალების ამპლიტუდის საშუალო მნიშვნელობას ძ-მნნ-ის შეყვანის შემდეგ მაგნიტური ველის ექსპოზიციისას ან მის გარეშე.



სურ. 2. მაგნიტური ველის გავლენა ძ-მნნ-ით გამოწვეულ ეფექტებზე მარცხენა ჰიპოკამპის CA1 ველის ნეირონული აქტიობის ამპლიტუდურ მაჩვენებლებზე. მოცემულია ჰისტოგრამები, რომელიც გამოხატავს ნეირონული აქტიობის ამპლიტუდის საშუალო მნიშვნელობებს + საშუალო სტანდარტული გადახრები ფონში (პირველი ჰისტოგრამა), მაგნიტური ველის ზემოქმედების ფონზე (მეორე ჰისტოგრამა) და მაგნიტური ველის ზემოქმედების გარეშე (მესამე ჰისტოგრამა)

აღსანიშნავია, რომ მაგნიტური ველის თანაობისას, მარჯვენა და მარცხენა ჰიპოკამპში ძ-მნნ-ით გამოწვეული ეფექტები შემაკავებელია (ორივე შემთხვევაში ამცირებს ნეირონული განმუხტვების ამპლიტუდას), თუმცა ძ-მნნ-ის ეფექტების სიძლიერე განსხვავებულია: მარჯვენა ჰიპოკამპში ძ-მნნ-ით გამოწვეული ეფექტია 40%-იანი შემცირება ფონთან მიმართებაში, ხოლო მარცხენა ჰიპოკამპში აღინიშნა ამპლიტუდური მაჩვენებლების 30%-ით დათრგუნვა.

ელექტროფიზიოლოგიური ექსპერიმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ძ-მნნ-ით გამოწვეულ ეფექტებს ზრდის მაგნიტური ველის ექსპოზიცია. მორფოლოგიურ ექსპერიმენტებში ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რამდენად კორელირებს ძ-მნნ-ის ეს ეფექტები მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობასთან.

მორფოლოგიურმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ბსმვ-ის მარცხენა ჰიპოკამპის პროექციაზე წარდგენისას რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობა მეტია მარცხენა ჰემისფეროს სტრუქტურებში კონტრალატერალურ მხარესთან მიმართებაში. ამასთან, CA3 ველსა და დაკბილულ ფასციაში ეს განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოდაა გამოხატული (სურ. 3). რაც შეეხება განსხვავებას CA1 ველსა და ქერქში, ეს ცვლილებები არაა სტატისტიკურად სარწმუნო, თუმცა მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს მაჩვენებლები მეტია კონტრალატერალურთან შედარებით.



სურ. 3. ბსმვ-ის მარცხენა ექსპოზიციის გავლენა რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობაზე. წარმოდგენილია ჰისტოგრამები, რომელიც გამოხატავს მარჯვენა (R) და მარცხენა (L) ჰიპოკამპის CA1 და CA3 ველებში, დაკბილულ ფასციასა (DG) და ქერქში რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობის საშუალო მნიშვნელობებს + საშუალო სტანდარტული გადახრები

ბსმპ-ის მარჯვენა ჰიპოკამპის პროექციაზე წარდგენისას რკინაშემცველი ჩანართების საშუალო მაჩვენებელი მომატებულია მარჯვენა ჰემისფეროს სტრუქტურებში კონტრალატერალურ მხარესთან მიმართებაში. ამასთან, ახალ ქერქში ეს განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოდაა გამოხატული (სურ. 4). რაც შეეხება განსხვავებას CA1 და CA3 ველებსა და დაკბილულ ფასციაში, ეს ცვლილებები არაა სტატისტიკურად სარწმუნო, თუმცა მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს მაჩვენებლები მეტია, კონტრალატერალურთან შედარებით.



სურ. 4. ბსმპ-ის მარჯვენა ექსპოზიციის გავლენა რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობაზე. წარმოდგენილია ჰისტოგრამები, რომელიც გამოხატავს მარჯვენა (R) და მარცხენა (L) ჰიპოკამპის CA1 და CA3 ველებში, დაკბილულ ფასციასა (DG) და ქერქში რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობის საშუალო მნიშვნელობებს + საშუალო სტანდარტული გადახრები

გარე მაგნიტური ველით ნანონაწილაკ-დაკავშირებული ღეროვანი უჯრედების ეფექტური გადაადგილება ზურგის ტვინის დაზიანებული ლოკუსისკენ და მისი ინტეგრაცია აღნიშნულ ლოკუსში ნაჩვენებია სხვა მკვლევართა მიერაც [13]. ჩვენ მორფოლოგიური ექსპერიმენტებით ვაჩვენეთ, რომ რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობის მატება კორელირებს მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარესთან. ამასთან, მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს ვლინდება ძ-მნნ-ის ეფექტები, მაშინ როდესაც იგივე დოზით არც თავისუფალი ქვერცეტინი და არც ძ-მნნ არაა ეფექტური.

მიღებულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარე სტატიკური მაგნიტური ველი იწვევს კუდის ვენაში შეყვანილი ძ-მნნ-ის ეფექტურ გადაადგილებას მაგნიტური ველის ექსპოზიციის ლოკუსისკენ და ზრდის ექსპოზიციის ლოკუსში ქვერცეტინის კონცენტრაციას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ნეირონული აქტიობის შემცირებას.

კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის FR17_629 ფარგლებში.

ლიტერატურა

1. *Ahmad N., Ahmad R., Naqvi A.A. et al.* Artif. Cells Nanomed. Biotechnol., 2018, 46(4), 717-729.
2. *Ansari M.A., Abdul H.M., Joshi G., Opii W.O., Butterfield D.A.* J. Nutr. Biochem., 2009, 20(4), 269-275.
3. *Anwer M.K., Al-Mansoor M.A., Jamil S., Al-Shdefat R., Ansari M.N., Shakeel F.* Int. J. Biol. Macromol., 2016, 92, 213-219.
4. *Baghel S.S., Shrivastava N., Baghel R.S., Agrawal P., Rajput S.* World J. Pharm. Pharmaceutical Sci., 2012, 1(1), 146-160.
5. *Butler M.S.* Nat. Prod. Rep., 2008, 25(3), 475-516.
6. *Dajas F.* J. Ethnopharmacol., 2012, 143(2), 383-396.
7. *Du G., Zhao Z., Chen Y. et al.* Mol. Med. Rep., 2018, 17(6), 7859-7865.
8. *Ghosh A., Sarkar S., Mandal A.K., Das N.* PLoS One, 2013, 8(4), e57735.
9. *Hashemian M., Anissian D., Ghasemi-Kasman M. et al.* Prog. Neuropsychopharmacol. Biol. Psychiatry, 2017, 79, 462-471.
10. *Laurent S., Bridot J.-L., Elst L.V., Muller R.N.* Future Med. Chem., 2010, 2(3), 427-449.
11. *Nday C.M., Halevas E., Jackson G.E., Salifoglou A.* J. Inorg. Biochem., 2015, 145, 51-64.
12. *Paxinos and Watson.* The rat has arguably the most widely studied brain among all animals, with numerous reference atlases for rat brain having been published since. For example, many neuroscientists have used the atlases of Paxinos and Watson (PW, first published 1982).
13. *Tukmachev D., Lunov O., Zablotskii V., Dejneka A., Babic M., Syková E., Kubinová S.* Nanoscale, 2015, Mar 7, 7(9), 3954-8. doi: 10.1039/c4nr05791k.
14. *Türedi S., Yuluğ E., Alver A., Bodur A., İnce İ.* Exp. Ther. Med., 2018, 15(4), 3215-3224.
15. *Yallapu M.M., Othman S.F., Curtis E.T. et al.* Int. J. Nanomedicine, 2012, 7, 1761.

332

ВЛИЯНИЕ ВНЕШНЕГО СТАТИЧЕСКОГО МАГНИТНОГО ПОЛЯ НА ЭФФЕКТЫ КВЕРЦЕТИНА, СВЯЗАННЫЕ С НАНОЧАСТИЦАМИ ЖЕЛЕЗА В ГИППОКАМПЕ ЛАБОРАТОРНЫХ КРЫС

Мариам Курасбедиани, Гия Кутелия, Манана Чиковани, Буцико Чхартишвили, Роза Букия, Виссарион Парцвания, Нанули Дореули

Тбилисский государственый университет им. И. Джавахишвили, факультет точных и естественных наук, Грузия

РЕЗЮМЕ

Среди природных соединений, используемых в медицине, кверцетин занимает значительное место. Его действие на мозг ограничено из-за плохой растворимости в воде и плохой биопроницаемости. Системы доставки лекарств, основанные на нанотехнологиях, представляют собой новый подход для увеличения биопроницаемости веществ. Магнитные наночастицы (МНЧ) широко используются в качестве наноносителей лекарств, и их транспорт в организме может контролироваться магнитным полем.

Целью данной работы являлось определение электрофизиологических эффектов МНЧ-связанного кверцетина (к-МНЧ), систематически вводимого в CA1 поле гиппокампа и оценка влияния экспозиции внешнего статического магнитного поля (ВСМП) на вышеотмеченные эффекты.

В экспериментах были использованы белые дикие лабораторные крысы. Металлические электроды стереотаксически вводили в поле CA1 гиппокампа кетамин-анестезированных крыс (координаты – AP – 3.8, L – 2.8, H – 2.8 мм). После стабилизации нейронной активности в течение 60 мин. регистрировали фоновую активность с 10-минутными интервалами. Затем, исходя из серии экспериментов, в хвостовую вену вводили физиологический раствор или к-МНЧ (25 мг/кг кверцетина, одна молекула наночастицы железа была рассчитана на 100 молекул кверцетина). Инъекция веществ проводили унилатерально после 30-минутного воздействия ВСМП на проекцию височной доли (1 Тесла). Его представление продолжалось еще 30 минут после завершения инъекции. В наших экспериментах использовались МНЧ диаметром 30 нм (Sigma, N747408) и кверцетин (Sigma, Q4951). Для оценки перемещения МНЧ в структурах головного мозга при воздействии ВСМП были проведены морфологические эксперименты. Для регистрации / анализа полученных электрофизиологических данных использовалась компьютерная программа Chart 5.5. Статистическую обработку данных проводили с помощью программы ПРИЗМА.

Эксперименты показали, что эффекты к-МНЧ в CA1 поле гиппокампа являются ингибирующими: они вызывают уменьшение амплитуды нейронной активности при ВСМП экспозиции, тогда как без ВСМП экспозиции та же самая доза неэффективна. Морфологическое исследование показало, что количество железо-содержащих включений на стороне экспозиции магнитного поля статистически достоверно увеличено, по сравнению с контралатеральной стороной.

Итак, можно заключить, что ВСМП ведет к эффективному перемещению к-МНЧ в сторону локуса экспозиции магнитного поля, увеличивает концентрацию кверцетина в локусе экспозиции и вызывает ингибирование нейронной активности.

THE IMPACT OF EXTERNAL STATIC MAGNETIC FIELD ON QUERCETIN EFFECTS ASSOCIATED WITH IRON NANOPARTICLES IN THE HIPPOCAMPUS OF LABORATORY RATS

Mariam Kurasbediani, Gia Kutelia, Manana Chikovani, Butsiko Chkhartishvili, Roza Bukia, Besarion Partsvania, Nanuli Doreulee

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, the Faculty of Exact and Natural Sciences, Georgia

SUMMARY

Among the natural compounds used in medicine quercetin takes an important place. Its action on the brain is limited due to poor solubility in water and poor bio-permeability. Drug delivery systems based on nanotechnology appear to be a new approach to increasing the bio-permeability of substances. Magnetic nanoparticles (MNP) are widely used as drugs nanocarriers, and their transport in the organism may be managed by magnetic field.

The goal of this work was to determine the electrophysiological effects of systematically administered MNN-related quercetin (q-MNP) into CA1 field of the hippocampus and the evaluation of exposure impact of external static magnetic field (ESMF) on above-said effects.

White wild laboratory rats were used in our experiments. The metal electrodes were stereotaxically inserted into CA1 field of the hippocampus of ketamine-anesthetized rats (coordinates – AP – 3.8, L – 2.8, H – 2.8 mm). After the stabilization of neuronal activity 60 min. background activity with 10 min intervals were recorded. Then, proceeding from the experiment series, saline solution or q-MNP were injected into caudal vein (25 mg/kg of quercetin, one molecule of iron nanoparticle was calculated on 100 molecules of quercetin). The substances were injected unilaterally after 30 min exposure of ESMF on the temporal lobe projection (1 Tesla). Its presentation continued for another 30 minutes after the injection was completed. MNN with 30 nm diameter (Sigma, N747408) and quercetin (Sigma, Q4951) were used in our experiments. For the evaluation of MNP displacement in the brain structures under ESMF impact the morphological experiments were carried out. For the registration/analysis of the electrophysiological data a computer program Chart 5.5 was used. The data were statistically processed by means of PRIZMA program.

The experiments have shown that q-MNP effects in CA1 field of the hippocampus appear to be inhibitory: when exposed to an external static magnetic field, it leads to a decrease in the amplitude of neuronal activity, while without ESMF, the same dose of q-MNP is non-effective. The morphological investigation has shown that a number of iron-containing insertions statistically is reliably increased on the side of magnetic field exposure, as compared to contralateral side.

Thus, it can be concluded that ESMF leads to an effective displacement of q-MNP to the locus of magnetic field exposure, increases the concentration of quercetin in the locus of magnetic field exposure and evokes an inhibition of neuronal activity.

საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ბიომედ. სერია, 2020, ტ. 46, № 5-6 ISSN-0321-1665
Известия нац. АН Грузии, биомед. серия, 2020, т. 46, № 5-6
Proc. Georgian Nat. Acad. Sci., Biomed. Series, 2020, vol. 46, No 5-6

TRANSIENT RECEPTOR POTENTIAL CATION CHANNELS: TRANSDUCERS FOR SENSORY INFORMATION

Merab Tsagareli

Ivane Beritashvili Center for Experimental Biomedicine, Laboratory of Pain and Analgesia, Tbilisi, Georgia

This article is dedicated to centennial Professor Malkhaz Zaalishvili, one of the founders of biophysics and molecular biology in Georgia and greatly contributed in these research areas. This review focuses on the superfamily of Transient Receptor Potential (TRP) cationic channels, responsible to sensory-related processes in cells. The response of these proteins to specific agonists, their regulation by signaling pathways, as well as by protein-protein and lipid-protein interactions, and their structures and biophysical characteristics have been studied thoroughly. On the other hand, small molecule compounds modulating different TRP channels have all entered clinical trials for a variety of diseases and highlights the evidence supporting TRP channels as promising targets for new analgesics and other drugs for therapeutic intervention.

Key words: channelopathies, ion channels, nociception, pain, somato-sensation, structure-function

TRP CHANNELS: PROTEINS WITH CONFORMATIONAL FLEXIBILITY

It gives me a great pleasure to pay tribute to the fundamental important works of Professor Malkhaz Zaalishvili (1920-2016) in the study of basic mechanisms of muscle contraction and membrane processes. It is highly appropriate to dedicate this article on transient receptor potential (TRP) ion-permeable channels, proteins with high conformational flexibility.

The appearance of the plasma membranes of cells constituted a key event for life during evolution. These structures achieve pivotal functions for the cell, including transport of molecules, communication with the environment, and metabolic functions. The intrinsic hydrophobic nature of these structures renders them impermeable to the flux of charged molecules, a process necessary for cell-cell communication, activation of signaling pathways, as well as for the ability to respond to endogenous and exogenous signals. This issue is resolved by the presence of certain types of proteins in plasma membranes, called ion channels that allow for the passage of ions from one side to the other. The specific structure of one ion channel may differ substantially from another; however, all these proteins contain a pore that opens and closes to permit the flow of ions, mediating ionic

currents that, in turn, result in the generation of signals with distinct physiological consequences [18].

There is an intimate relationship between the structures and functions of ion channels, with their different component regions serving a specific role in the activity of these proteins. The study of the relationships between the structure and the function of these proteins has witnessed considerable advances in the last two decades using a combination of techniques, which include electrophysiology, optical approaches (i.e. patch clamp fluorometry, incorporation of non-canonic amino acids, etc.), molecular biology (mutations in different regions of ion channels to determine their role in function) and those that have permitted the resolution of their structures in detail (X-ray crystallography and cryo-electron microscopy).

The possibility of making correlations among structural components and functional traits in ion channels has allowed for more refined conclusions on how these proteins work at the molecular level. With the cloning and description of the superfamily of TRP channels, the understanding of several sensory-related processes has also greatly moved forward [18].

In the 1980-90s, when the patch-clamp recording technique was developed, it became possible to study the behavior of single ion channels in real time [3, 23, 32]. At the same time, with the advances seen in the areas of molecular biology, cloning and generation of knockout animal models, valuable methods have been provided to carefully determine the roles of ion channels in normal and under pathophysiological conditions [5, 14, 17]. As a result, a large variety of ion channels have been cloned and biophysically characterized and, in the past three decades, research-oriented towards determining the structure of ion channels has witnessed remarkable progress.

For the last few decades, the field of study of TRP channels has demonstrated increase an interest to mammalian homologs of the Drosophila *trp* channel clone and some of these have identified as temperature sensors [4, 10, 20]. A feature of these proteins is that several of these channels are polymodal that is, being activated by several distinct physical stimuli and more than one ligand. In some cases, different biophysical properties as well as distinct conformational changes in their pores, associated with interactions with different ligands, have been revealed.

In general, the TRP channels comprise seven related protein subfamilies, (1) TRP-canonical (TRPC), (2) TRP-vanilloid (TRPV), (3) TRP-melastatin (TRPM), (4) TRP-ankyrin (TRPA), (5) TRP-mucolipin (TRPML), (6) TRP-polycystic (TRPP) and (7) TRPN or ‘no mechanoreceptor potential C’ (NOMPC) [16]. Although the physiological functions of most TRP channels are not well known, their wide distribution indicates that the biological functions and activation mechanisms for these channels are diverse and very important. For instance, TRP channels are best recognized for their contributions to sensory transduction (vision, hearing, smell, taste, touch), response to temperature, nociceptive stimuli and itch, osmolarity, pheromones or odorants, and other stimuli from both within and outside the cell [10, 15, 20, 24, 35, 36].

PHYLOGENY AND STRUCTURAL CHARACTERISTICS OF TRP CHANNELS

Nociceptors, i.e. sensory neuronal cells tuned to detect noxious stimuli, are found in numerous phyla of the Animal kingdom and are often polymodal, responding to a variety of stimuli, e.g. heat, cold, pressure and chemicals, such as acid. Owing to the ability of protons to have a profound effect on ionic homeostasis and damage macromolecular structures, it is no wonder that the ability to detect acid is conserved across many species (Fig. 1). To detect changes in pH, nociceptors are equipped with an assortment of different acid sensors, some of which can detect mild changes in pH, such as the acid-sensing ion channels, proton-sensing G protein-coupled receptors (GPCR) and several two-pore potassium channels, whereas others, such as the TRPV1 ion channel, require larger shifts in pH [29].



Fig. 1. Schematic diagram of the basic structure of proton-sensitive receptors, with residues or regions important for proton sensitivity annotated. Functional ASICs, K2Ps and TRPs are multimeric, but for simplicity only one subunit of each receptor is shown. Abbreviation: ASICs, acid sensing ion channels; K2Ps, two-pore potassium channels; TRPs, transient receptor potential channels (adapted from Pattison et al., 2019 [29])

Nociceptive receptors/channels belonging to the TRP superfamily constitute the major group of molecular detectors/transducers. The phylogenic point of view, they are ancient, evolutionarily conserved proteins that function in a wide range of metazoan organisms. These include invertebrates, arachnids (e.g., ticks), insects (e.g., flies, mosquitoes and bees), and vertebrates such as zebrafish, mice, and humans. Today, there are more than hundred channels within this superfamily (invertebrate and vertebrate combined) organized by their sequence homology into seven subfamilies. There are 33 TRP channel genes of six subfamilies in mammals (Fig. 2), nearly 60 in zebrafish, 30 in sea squirts, 24 in nematodes, 16 in fruit flies, and 1 in yeast. They are subdivided into seven subfamilies on the basis of sequence similarity.

All seven subfamilies are represented in flies and worms, although these organisms have fewer TRP channels than humans. Nevertheless, the TRPA subfamily is the largest in insects, even though only one representative exists in mice and humans. This notable difference might reflect a particularly important role for TRPA channels in sensing

environmental chemicals and changes in temperature, because poikilothermic animals such as insects are particularly sensitive to heat and cold, and are subjected to a very complex repertoire of compounds in their surroundings [42].



Fig. 2. Phylogenetic tree of mammalian TRP channels based on their homology. In mammalian systems, TRP channels comprise six related protein subfamilies: TRPC, TRPV, TRPM, TRPA, TRPP, and TRPML (adapted from Takahashi et al., 2012 [34])

Combined molecular and physiological analyses of nociceptive transduction have revealed important mechanisms in a few species. Particularly, the TRP channels have demonstrated their importance for nociceptive transduction in both vertebrates and invertebrates [44].

The repertoires of temperature-gated TRP (or thermo-TRP) homologous have changed through vertebrate evolution. Because thermo-TRPs are involved in thermosensation, as well as other kinds of sensory detection, variability of repertoires may be associated with adaptation of the organisms to their respective habitat environments [4, 7, 31].

The structural point of view, the TRP complex membrane proteins made a huge leap forward through numerous high-resolution cryo-electron microscopy (cryo-EM) structures of near full-length TRP channels, beginning with TRP vanilloid 1 (TRPV1). Structures of near full-length ion channels are complemented nicely by structures from various soluble TRP channel domains [2, 11, 12, 14].

TRP channel architecture is similar to other ion channels. Most members of the TRP channel superfamily share a low level of structural similarity, but some channels (TRPC3

and TRPC7, as well as TRPV5 and TRPV6) are highly homologous to each other. Most of the TRP channels are predicted of a six-transmembrane helix topology (S1 through S6) with a reentrant loop between S5 and S6 forming the channel pore that is a recurring structural motif. These channels tetramerize to a 24-helix functional protein complex (Fig. 3) [34].



Fig. 3. Transmembrane topology (left) and the quartenary structure of TRP channels (right). The TRP protein has six putative transmembrane domains, a pore region between the fifth and sixth transmembrane domains and a TRP domain in the C-terminal region. The TRP protein assembles into homo-tetramers or hetero-tetramers to form channels (adapted from Takahashi et al., 2012 [34])

As observed for other ion channels, TRP channel function is strongly influenced by large intracellular domains, and the responsiveness to functional modulators, for example, regulation by phosphor-inositides, or inhibition by quaternary ammonium ions, and venom toxins, is conserved across ion channel families [12].

Many TRP channels form functional channels as homotetramers, although hetero-multimerization is not uncommon. The latter phenomenon may have important implications in drug discovery as it is crucial for understanding the endogenous subunit composition of the ion channels so that TRP can be appropriately targeted with a pharmacological agent.

Although all functional TRP channels are likely composed of four subunits (either homotetramers or heterotetramers), there is relatively low-sequence homology between family members, and the overall structure of the channels can diverge significantly [21].

Currently, structure models solved by cryo-EM are available for 48 TRP channels from 11 subfamilies (Fig. 4), and the number of structures is still growing. Benefiting from the potential of cryo-EM, to identify conformational heterogeneity by 2D and 3D classification methods, for almost all TRP channels, different conformational states were observed; for example, open and closed conformations, and inhibited or activated states. Moreover, in many structures, the channels show association with lipids [19].



Fig. 4. Phylogenetic similarity of TRP channels with resolved electron microscopy maps. The respective coordinates are shown as ribbon models, color ramping from N- (blue) to C-terminus (yellow). The gray rectangle indicates the extent of the membrane. (Reproduced from Madej and Zeigler, 2018 [19])

PHYSIOLOGICAL FUNCTIONS OF TRP CHANNELS

The TRP channels are involved in a great number of functions in cell biology, including migration, proliferation and survival. They play roles in carcinogenesis, immunological processes, tissue homeostasis, and are prominently present in pathways of sensory transduction and electrolyte homeostasis [43].

The TRP channels play a plethora of physiological and pathological roles in response to various extracellular and intracellular stimuli, such as changes in temperature, pH, or osmolarity, injury, depletion of calcium stores, as well as volatile chemicals and cytokines (Table 1). Once activated, TRP channels, with homo- or hetero-tetrameric configurations, function as an integrator of several signaling pathways to elicit a serial of responses. Some TRPs are involved in sensory functions such as smell, taste, pain, and pheromone sensing. Some are responsive to temperature and may help to avoid tissue-damaging noxious temperatures. Some TRPs are sensitive to natural compounds or their ingredients that have been used in medical practice.

In general, all TRP channels are cation permeable channels and exhibit at least some calcium conductance, exerting their function mostly by facilitating spatiotemporal

calcium signaling events (Fig. 5). It has been demonstrated that these TRP family members are involved in cell physiological functions and also in many hereditary and acquired diseases. Abnormalities in TRP channel function, as the result of alteration of protein expression levels, changes in channel properties, or changes in their myriad regulators, have been associated with numerous diseases ranging from chronic pain to cardiovascular disease, skeletal abnormalities, kidney diseases, brain diseases, and cancer, which provide numerous opportunities for therapeutic intervention [16].

Table 1

Function, activation and subunit interactions of TRP channels (Adapted from Aarts, Tymianski, 2005) [1]

Channel	Function	Activation/Regulation	Subunit Interactions
Canonical			
TRPC1	Capacitive calcium entry? CNS morphology	$[Ca^{2+}]_i$; G-protein; PLCβ; PLCγ; calmodulin	TRPC3, TRPC4, TRPC5, TRPPs
TRPC2	Pheromone sensing	G-protein; PLCβ; PLCγ	
TRPC3	Vasoregulation; airway regulation	G-protein; PLCβ; PLCγ; calmodulin; DAG	TRPC1
TRPC4	Vasoregulation; GI motility	G-protein; PLCβ; GTPγS; calmodulin	TRPC1, TRPC5
TRPC5	Growth cone morphology	G-protein; PLCβ; calmodulin	TRPC1, TRPC4
TRPC6	Vasoregulation; airway regulation	G-protein; PLCβ; calmodulin; DAG	TRPC3, TRPC7
TRPC7	Capacitive calcium entry? Constitutive activity?	G-protein; PLCβ; calmodulin; DAG	TRPC3, TRPC6
Vanilloid			
TRPV1	Capsaicin receptor; heat sensation	Capsaicin; T > 43°C	TRPV3
TRPV2	Noxious heat sensing	T > 53°C; insulin growth factor 1	
TRPV3	Heat sensing; pain	T > 30°C	TRPV1
TRPV4	Osmotic sensing; pressure sensing	Hypo-osmolarity; T > 24°C; arachadonic acid	
TRPV5	Ca^{2+} uptake in kidney	Constitutive	TRPV5
TRPV6	Ca^{2+} uptake in intestine	Constitutive	TRPV6
Melastatin			
TRPM1	Melastatin; tumor suppressor		
TRPM2	Metabolic stress sensor?	H_2O_2; ADP ribose; NAD	
TRPM3	Ca^{2+} uptake in kidney	Constitutive; hypo-osmolarity	
TRPM4	Membrane depolarization; monovalent selective channel	Voltage sensitive; increased $[Ca^{2+}]_i$	
TRPM5	Taste; monovalent selective channel	Voltage sensitive; G-protein; PLCβ; $[Ca^{2+}]_i$	
TRPM6	Mg^{2+} homeostasis; uptake in kidney	Intracellular Mg^{2+}	TRPM7
TRPM7	Mg^{2+} homeostasis? Extracellular Ca^{2+} sensing? Trace ion regulation?	PIP2; PLCβ; PLCγ; tyrosine phosphate; ROS; decreased $[Ca^{2+}]_i$	TRPM6, TRPM2?
TRPM8	Noxious cold sensing	T < 25°C; methanol	

A large number of TRP channels can be activated directly by the binding of specific ligands, such as vanilloid compounds, endogenous lipids, ATP, and select medications, to binding pockets on the channel surface. Indirect activation that arises downstream of receptor-mediated signaling, either *via* G-protein coupled receptors (GPCR) or receptor tyrosine kinases, also controls the activity of many TRP channels. Finally, several TRP channels are activated by biophysical mechanisms such as voltage, temperature and stretch (Fig. 5). Interestingly, mechanical gating, caused by deformation of the plasma

membrane, was proposed recently as a universal activation mechanism for all TRP channels [43].



Fig. 5. General mechanisms of TRP channels' activation by extracellular (stretch, pressure, tension, potential, temperature and chemical agonists) and intracellular signalizations. Namely, activation of G-protein coupled receptors (GPCR) activates the phospholipase C (PLC) pathway that induces the hydrolysis of phosphatidylinositol-4,5-bisphosphate (PIP2) to diacylglycerol (DAG) that activates protein kinase C (PKC), which in turn phosphorylates TRP channels. In parallel, the generation of inositol 1,4,5-trisphosphate (IP3) promotes the release of Ca^{2+} from the endoplasmic reticulum (ER) (adapted from Duitama et al., 2020 [9])

